გამოცდები 2015

ზოგადი უნარების ტესტი

# NAEC.ge

ივნისი 2015



## რა სურს თინათინს? გვ. 16

## ნუ გეშინიათ, თუ თეატრი არ გიყვართ! გვ. 30

## სიმსუქნის პრევენცია ქართველ ბავშვებში გვ. 57

## ხელით წერის სიყვარული გვ. 40

## ვინ და რატომ გასცა 1832 წლის შეთქმულება? გვ. 26

SAN DIEGO STATE UNIVERSITY
Georgia

მიიღე ამერიკული განათლება და დიპლომი საქართველოში!

S SCIENCE
T TECHNOLOGY
E ENGINEERING
M MATH

Tel.: +995 322 29 08 20
Cell: +995 593 49 85 12
www.georgia.sdsu.edu

# სარჩევი


| რუბრიკა | გვერდი | სათაური |
| --- | --- | --- |
| **რედაქტორის სვეტი** | 4 | |
| **პროფესია** | 5 | „უსაზღვრო პატივი ეცი ადამიანის სიცოცხლეს“ |
| **ჩვენი ისტორია** | 9 | „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ!..“ |
| **გამოცდები 2015** | 12 | ინფორმაცია 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაწილეთათვის |
| | 14 | სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო |
| **ზოგადი განათლების პრობლემები** | 16 | რა სურს თინათინს? |
| **ფოტორეპორტაჟი** | 22 | უბრალო ცხოვრების წამი |
| **საავტორო სვეტი** | 26 | ვინ და რატომ გასცა 1832 წლის შეთქმულება? |
| **ნომრის სტუმარი** | 30 | ნუ გეშინიათ, თუ თეატრი არ გიყვართ! |
| **პუბლიცისტიკა** | 36 | გუბერნატორის არჩევნები |
| **ხელოვნება** | 40 | ხელით წერის სიყვარული |
| **მეცნიერება** | 44 | ევგენიკა – მეცნიერება თუ პოლიტიკური დოქტრინა? |
| **ლიტერატურული გვერდი** | 54 | სახლების მოშინაურება |
| **ერთი პრობლემის შესახებ** | 57 | სიმსუქნის პრევენცია ქართველ ბავშვებში<br>პური ჩვენი არსობისა – აკრძალული პროდუქტი |
| **ტესტები** | 60 | ზოგადი უნარების ტესტი |



უპირველეს ყოვლისა, ოცნებების ასრულება მინდა ვუსურვო ჩვენს აბიტურიენტებს, რომლებსაც სულ ცოტა ხნის შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ელით და ვურჩიო, დაკვირვებით წაიკითხონ ამ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა – „ინფორმაცია 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაწილეთათვის“ და თუკი ისინი ყველა იმ წესსა და რეკომენდაციას გაითვალისწინებენ, რომლებიც ამ მასალაშია მოცემული, დარწმუნებული ვარ, არავითარი პრობლემა არ შეექმნებათ მისაღები გამოცდების დროს. რა თქმა უნდა, წესების დაცვასთან ერთად „ცოტაოდენი“ ცოდნაც კი არის საჭირო, მაგრამ მის არსებობაში ეჭვიც არ მეპარება!

ჟურნალის ეს ნომერი გამოცდების წინ საკუთარი შესაძლებლობების კიდევ ერთხელ შემოწმების საშუალებასაც აძლევს აბიტურიენტებს: დაწერეთ ზოგადი უნარების ტესტი, დაინიშნეთ დრო, გადაამოწმეთ პასუხები და დარწმუნდით, რომ ამ სავალდებულო გამოცდისათვის რიგიანად ხართ მომზადებულნი.

თუმცა, ცხადია, ცხოვრება მხოლოდ გამოცდებით არ შემოიფარგლება და მე-7 ნომერი უამრავ სხვაგვარ მასალასაც გთავაზობთ: აქ თქვენ ორ გამორჩეულ ადამიანს გაიცნობთ, რომლებმაც თავიანთ სფეროებში, მედიცინასა და რეჟისურაში, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს; ასევე გაიგებთ, ვინ და როგორ გასცა 1832 წლის შეთქმულება; გადაშლით საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გმირულ და ტრაგიკულ ფურცელს – შეხვდებით 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს; შეიტყობთ, რა არის ევგენიკა – ჭეშმარიტი მეცნიერება თუ საშიში და ცრუ მოძღვრება...

განსაკუთრებით მინდა გამოვყო თქვენი თანატოლის, ჟურნალის ფოტოკონკურსის გამარჯვებულის, ანა შეთეკაურის ნამუშევარი, რომელსაც ამ ნომერში გთავაზობთ და გთხოვოთ – მიიღეთ მონაწილეობა ჟურნალ „Naec.ge“-ს ფოტოკონკურსში და თქვენს ნამუშევრებსაც სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ შემდეგი ნომრების ფურცლებზე.

კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და შეგახსენებთ, რომ ახლის გაგებამ, რაიმეს შეცნობამ თუ შექმნამ უდიდესი სიხარული შეიძლება მოუტანოს ადამიანს!



# „უსაზღვრო პატივი ეცი ადამიანის სიცოცხლეს“

ავტორი: თეიკო ანჯაფარიძე

*ახალგაზრდა ქირურგის ისტორია, რომელიც საქართველოში სამედიცინო განათლების მისაღებად ჩამოსულ სტუდენტებს სპეციალობასთან ერთად ექიმის სტატუსის ღირსეულად ტარებასა და საკუთარი პროფესიის პატივისცემასაც ასწავლის.*

**იოსებ მგალობლიშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართველ და უცხოელ სტუდენტებს ლექციებს უკითხავს. იგი 25-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, არის საქართველოს ქირურგთა ასოციაციისა და რადიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ევროპის ქირურგთა კონგრესისა და საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე. ექიმი და პედაგოგი სამეცნიერო მუშაობას და პრაქტიკულ საქმიანობას ერთმანეთს უთავსებს. წლების განმავლობაში თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკურ საავადმყოფოს პრაქტიკოსი ქირურგის და „ჯი პი აი ჰოლდინგის“ - ვენის სადაზღვევო ჯგუფის სამედიცინო ექსპერტის თანამდებობებზე მუშაობს.**

**იოსებ მგალობლიშვილი naec.ge-ს სტუმარია. იგი ექიმის წარმატების საწყისად ადამიანის სიყვარულს ასახელებს. საუბარში აქცენტს არჩევანის მნიშვნელობასა და თავისუფლებაზე აკეთებს. აბიტურიენტებს კი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღების დროს რამდენიმე ფაქტორზე ურჩევს ყურადღების გამახვილებას.**



## არჩევანი

პროფესიის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო არჩევანია. ეს არის გადამწყვეტი მომენტი, რომელიც მომავალ ცხოვრებას განსაზღვრავს. ალბათ, ამაზე უკვე შუა კლასებიდან იწყებ ფიქრს და აზრის საბოლოო ჩამოყალიბებაში რამდენიმე ფაქტორი მონაწილეობს: ერთ-ერთი ფაქტორი ოჯახის წევრების მოსაზრებაა, თუმცა ვურჩევ უფროსკლასელებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღონ, გადაწყვეტილება, რომელიც მათი სურვილიდან, წარმოდგენიდან მომდინარეობს. ხშირად ყოფილა, როდესაც ადამიანი ირჩევს ამა თუ იმ გზას და შემდეგ მიმართულებას რადიკალურად იცვლის, ესეც აბსოლუტურად მისაღებია და ამის მაგალითები ჩვენს

ცხოვრებაში მრავლად არსებობს. **მთავარია, ნებისმიერ არჩევანში ადამიანმა საკუთარი თავი იპოვოს და ის საქმე, რომელსაც აკეთებს, ვალდებულებასთან ერთად უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდეს.**

## პროფესია – ექიმი

**ამ გადასახედიდან რთული განსასაზღვრია, რამ განაპირობა ჩემი არჩევანი. ექიმების ოჯახში გავიზარდე. მამა, გურამ მგალობლიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. მას საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის მედიცინის განვითარებაში.** არის 50-მდე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ავტორია სახელმძღვანელოსიც. 50 წელი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. წლების განმავლობაში საქართველოს ექიმთა ასოციაციის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ყოველთვის სიამაყითა და ღირსებით ატარებდა ექიმის წოდებას. ამჟამად ერთ საინტერესო წიგნზე მუშაობს, რომელიც სამხედრო სამედიცინო აკადემიაში ქართველი სამხედრო ექიმების მოღვაწეობას ეხება. ფაქტია, რომ ოჯახის წევრების საქმიანობა ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ სფეროში მოღვაწეობის მიუხედავად, ისინი ჩემს არჩევანს დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან. ჰუმანიტარული საგნებისადმი მიდრეკილების გამო ჩემს მომავალს უფრო სხვა სფეროში ხედავდნენ. მთავარი ის არის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მე მივიღე და ეს არასდროს მინანია. ანალოგიურად მოვიქცევი მეც ჩემს შვილებთან დაკავშირებით. მშობლებს შეგვიძლია მხოლოდ რჩევა მივცეთ. დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება ადამიანმა ადრეული ასაკიდან უნდა შეძლოს.



მამა, გურამ მგალობლიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## სტუდენტობა და ექიმობის პირველი წლები

სტუდენტობა ჩემთვის ერთ-ერთი საოცარი მოგონებაა. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, სასწავლო პროცესი მიტინგების პარალელურად მიმდინარეობდა. ამ გარემოებების მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ სწავლებაში რაიმე დეფექტი იყო ან სათანადო ცოდნა ვერ მივიღეთ. ეს იყო ორი მთავარი კომპონენტისაგან შემდგარი პროგრამა: პრაქტიკული და აკადემიური, სამეცნიერო ხასიათისა. ორივე ძალიან მნიშვნელოვანია.



**იმისათვის, რომ პროფესიონალად ჩამოყალიბდე, ყველა პოზიციაზე უნდა იმუშაო.** სწავლის პარალელურად ვმუშაობდი სანიტრად, ექთნად. არ დამავიწყდება სამხედრო ჰოსპიტალი, რომელმაც ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. უკვე გამოცდილი ექიმები დიდ მედიცინასაც მაზიარებდნენ და თანაც ახალგაზრდა კადრებს გულშემატკივრობდნენ. 1998 წელს დავიწყე მუშაობა საუნივერსიტეტო კლინიკაში ზოგადი ქირურგიის კათედრის ლაბორანტად, შემდეგ მოწვეულ პედაგოგად, ხოლო 2003 წელს ასისტენტ-პროფესორის წოდება მოვიპოვე. გავიხსენებდი პერიოდსაც, როდესაც ერთ-ერთ სამედიცინო კომპანიაში დავიწყე მუშაობა. კომპანია სამედიცინო მომსახურებას უწევდა საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ჩემი ცხოვრების ეს ნაწილიც საინტერესო გამოცდილება იყო. როგორც უკვე გითხარით, ჩემს შრომით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავაია სამეცნიერო მუშაობას. ჩემი თემის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პროფესორ რამაზ შენგელიას ძალისხმევით მოვიპოვე სამეცნიერო გრანტი ლონდონის „სამეფო კოლეჯში“. რადენიმე თვის განმავლობაში საუკეთესო სამეცნიერო ცენტრებში ძალიან საინტერესო კვლევაში ვიყავი ჩართული.

## პედაგოგობა

პასუხისმგებლობაა პედაგოგობაც. ის, რა გამოცდილებაც და პროფესიული ღირსებაც გაქვს, სხვას უნდა გადასცე ისე, როგორც შენ გადმოგცეს თავის დროზე. ეს წრე არ უნდა დასრულდეს და არც უნდა ჩაიკეტოს. **ლექციაზე შესვლა ყოველთვის ახალი გამოწვევაა. ერთი მხრივ, ასწავლი და, მეორე მხრივ, თავად სწავლობ. სწავლობ თითოეული სტუდენტისაგან.** არ გაქვს უფლება, რომ აუდიტორიაში მოუმზადებელი შეხვიდე, მით უმეტეს თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, როდესაც ცხოვრებას აჩქარებული ტემპი აქვს, მუდმივად საკუთარ თავზე უნდა იმუშაო. ამ მთავარ პრინციპს ვასწავლი ჩემს სტუდენტებსაც – მუდმივი შრომა. შრომისმოყვარეობა ნიჭიერებას უტოლდება იმიტომ, რომ ესეც ერთ-ერთი მთავარი ნიჭია



ანა და ალექსანდრე მგალობლიშვილები

## უცხოენოვანი სტუდენტები

ლექციას ვუკითხავ იმ სტუდენტებსაც, რომლებიც განათლების მისაღებად სპეციალურად საქართველოში ჩამოვიდნენ. ინგლისურენოვან ჯგუფში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან. ერთი მთავარი, რაც მათ გამოარჩევთ – ეს არის მოტივაცია. ხშირ შემთხვევაში ისინი



მართლაც განსაკუთრებულად მოტივირებულები არიან. სწავლის პროცესი – ეს არის უნიკალური შესაძლებლობა წარმატებას მიაღწიო და აკეთო ის, რაც გინდა. **სტუდენტებს უჭირთ იმის გაცნობიერება, რომ დრო ძალიან სწრაფად მიდის და ის, რაც ახლა და აქ უნდა გააკეთო და ვერ აკეთებ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, უკვე დაკარგული შანსი და არარეალიზებული შესაძლებლობაა.** ხშირად სტუდენტები ამბობენ: „ამის სწავლა რად გვინდა, ეს ხომ არ გამოგვადგება...“ მე მაინც ვფიქრობ, საბაზისო ცოდნა მთავარი საძირკველია. და კიდევ ერთი – სანამ პირველ ოპერაციას დამოუკიდებლად გააკეთებ, იმაზე მეტად უნდა იყო დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, ვიდრე შენი პედაგოგები შენში.

## ჰიპოკრატეს ფიციდან ჟენევის კონვენციამდე

„უსაზღვრო პატივი ეცი ადამიანის სიცოცხლეს“ – ექიმი სულითხორცამდე უნდა იყოს ექიმი. ეს ის დარგია, რომელსაც ყოველმხრივი ცოდნა და დადებითი პიროვნული თვისებები სჭირდება. პირველ რიგში, მას უნდა უყვარდეს თავისი საქმე, ჰქონდეს თავდადება და ერთგულება. ის უნდა იყოს პატიოსანი და მიმტევებელი. **ცოდნის მიუხედავად, მედიკოსად ვერ შედგები მაშინაც, თუ არ გაქვს მთავარი – ადამიანის სიყვარული.** საექიმო ეთიკის პირველი ნორმატიული აქტი ჰიპოკრატეს ფიცია. ღირებულებები საუკუნეების შემდეგაც არ შეცვლილა. ექიმისა და პაციენტის დამოკიდებულებაა მთავარი, ამ ურთიერთობის მამოძრავებელი ძალა კი, როგორც უკვე აღვნიშნე, სიყვარულია.

# „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ!..“

ავტორი: მიხეილ ბახტაძე

1923 წლის 20 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე თხუთმეტი ქართველი მამულიშვილი დახვრიტეს. საბჭოთა პრესა წერდა, „ანტანტის კაპიტალისტების აგენტების დანარჩენი მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის ღალატის გამო ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ დამთავრებულ გამოძიებით, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საგანგებო კომისია ადგენს, მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი: ანდრონიკაშვილს ალექსანდრე სიმონის ძე 51 წლის გენერალი, წულუკიძეს ვარდენ გიორგის ძე 57 წლის გენერალი, ხიმშიაშვილს გიორგი ნიკოლოზის ძე 31 წლის პოლკოვნიკი, მუსხელიშვილს როსტომ ილიას ძე 35 წლის პოლკოვნიკი, აბხაზს კონსტანტინე ნიკოლოზის ძე 55 წლის გენერალი, ზანდუკელს ნიკოლოზ მიხეილის ძე 39 წლის, ბაგრატიონ-მუხრანსკის სიმონ ლევანის ძე 27 წლის, ყარალაშვილს ფარნაოზ რევაზის ძე 24 წლის, კერესელიძეს იასონ მათეს ძე 40 წლის, ქუთათელაძეს ივანე გრიგოლის ძე 40 წლის, ჭიაბრიშვილს სიმონ ეგორის ძე 42 წლის, მაჭავარიანს ალექსანდრე მიხეილის ძე 51 წლის პოლკოვნიკი, გულისაშვილს ელიზბარ ზაქარიას ძე 32 წლის პოლკოვნიკი, კლიმიაშვილს ლევან ირაკლის ძე 26 წლის, ჩრდილელს დიმიტრი ნიკოლოზის ძე 29 წლის.“



გიორგი ხიმშიაშვილი

თხუთმეტი ქართველი ვაჟკაცის „დანაშაული“ სამშობლოს სიყვარული და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. ის, რასაც


ვარდენ წულუკიძე

საბჭოთა ხელისუფლება „ბანდიტურ მოძრაობას და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის ღალატს“ ეძახდა, სინამდვილეში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოქმედება დაიწყეს პარტიზანულმა რაზმებმა (მაგ., კახეთში ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მეთაურობით, ქართლში – მიხეილ ლაშქარაშვილის, გურიაში – მანწკავას და სხვ.). ამ შეიარაღებული რაზმების მოქმედების კოორდინაციისა და მომავალში დიდი ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადების მიზნით შეიქმნა გაერთიანებული სამხედრო ცენტრი. სწორედ ამ სამხედრო ცენტრის წევრები იყვნენ: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (1918-1921 წლებში სხვადასხვა დროს იყო: გენერალური შტაბის უფროსი, სამხედრო სკოლის უფროსი, თბილისთან ბრძოლისასა კოჯორ-ტაბახმელას ფრონტის სარდალი), ვარდენ წულუკიძე (1918-1921 წლებში იყო არმიის მესამე ბრიგადის მეთაური), გიორგი ხიმშიაშვილი (1918-1921 წლებში იყო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის მეთაური), როსტომ მუსხელიშვილი (1918-1921 წლებში იყო გენერალური შტაბის ოფიცერი), კონსტანტინე აბხაზი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე), ნიკოლოზ ზანდუკელი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე, ივანე ქუთათელაძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, ლევან კლიმიაშვილი და დიმიტრი ჩრდილელი.

1923 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა სპეცსამსახურებმა შინაგამცემის დახმარებით შეძლეს სამხედრო ცენტრის წევრთა დაპატიმრება. 19 მაისს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელთა გაერთიანებული სხდომა ჩატარდა. სხდომას ესწრებოდნენ: მოგილევსკი, პანკრატოვი, აშუკინი, კვანტალიანი, ბერია, ორახელაშვილი, მიქელაძე, ელიავა. სხდომამ სამხედრო ცენტრის წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. საგანგებოდ აღინიშნა, რომ განაჩენი 24 საათში უნდა აღსრულებულიყო.

გიორგი ხიმშიაშვილის ძმა, ალექსანდრე, რომელიც იმავე საპატიმროში იმყოფებოდა, რომელშიც სამხედრო ცენტრის წევრები იყვნენ, ასე იხსენებს 18-19 მაისის ამბებს: „გამოჩნდა კაპიტანი მიტო ჩრდილელი, გამხდარი – ხალათის გასწორებით, დადგა ჩემი საკნის კარების წინ გაუბედავად. შემდეგ მტკიცე გადაწყვეტილების მიღებით, სწრაფად მობრუნდა და აღელვებული ხმით ხმამაღლა წამოიძახა: „უთხარი მათ, რომ მე დამხვრიტეს. ვკვდები, როგორც შეშვენის ნამდვილ ქართველს“... დერეფნის ბოლოში ლანდებივით მოსჩანდნენ კოტე აფხაზი და ვარდენ წულუკიძე... გონზე მომიყვანა სატუსაღოს ეზოში ამტყდარმა ყვირილმა – „გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, მშვიდობით ძმებო! გვხვრეტენ ამაღამ“, ხმამაღლა ყვიროდა სიმონ ბაგრატიონ-მუხრანი და მის სიტყვებს მოჰყვა იასონ კერესელიძის მძლავრი ხმით დაწყებული „დიდება“, რომელსაც აჰყვნენ სხვებიც... დასუსტებული ნაბიჯით ნელა მოვდიოდი დერეფანში და ვიყურებოდი ჩვენებისკენ. ყველანი ისე მომჩერებოდნენ, თითქოს რაღაც უნდოდათ ეკითხათ. სევდიანად გამიღიმა კოტე აფხაზმა და შემომახვედრა გამამხნევებელი თვალები... ჩამავალი მზის სხივით განათებული და სულის



კონსტანტინე აბხაზი

შინაგანი სიმტკიცით გასხივოსნებული სახე აძლევდა მას მოციქულის შეხედულებას მოწაფეთა შორის. მთელი ჯგუფი რაღაც გაურკვეველ მოლოდინში გაქვავებულიყო, ვეღარ ვიკავებდი მისუსტებულ გრძნობებს და მინდოდა მივვარდნილიყავი მასთან: „ბატონო კოტე! ბატონო!“ ნერვიულად წამოვიძახე... „ყოჩაღად იყავი შვილო!“ გადმომიგდო სიტყვა კოტე აფხაზმა“.

20 მაისს გამთენიისას სიკვდილმისჯილები საკნებიდან გამოიყვანეს და ეზოში ერთად შეკრიბეს. „კითხულობენ სასიკვდილო განაჩენს. ერთი წუთით მძიმე დუმილი ჩამოვარდება. მას არღვევს პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, რომელიც წინ წამოდგება და ამბობს: „ჩვენ ვიცით, რისთვისაც გვკლავთო. თქვენც კარგად იცით, რომ ბანდიტები არა ვართ, მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანებით მოგთხოვთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს!“ ხიმშიაშვილის შემდეგ ჯალათებს მიმართავს გაჭაღარავებული, რაინდული გარეგნობით და სულით გენერალი წულუკიძე ვარდენ: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! ჩვენი სიკვდილი საქართველოს გათავისუფლების თავდებია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასათ გაამრავლებს მებრძოლთ. გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით ქართველ პატრიოტებს შეჰფერის.“ გენერალი კოტე აბხაზი: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს.“ ბოლოს მშვიდი, მუდამ აუღელვებელი გენერალი ანდრონიკაშვილი ესვრის მტერს: „სახეზე გატყობთ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე, იქნებ ქართველი ყველა ამისთანა (მიუშვერს კვანტალიანზე) გეგონათ? მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს.“ დიმიტრი ჩრდილელი: „რუსეთში დაივიწყეს იდეისათვის თავგანწირულად სიკვდილი. წადით და უთხარით მათ, თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსთვის“.

ჯალათებმა სიკვდილმისჯილებს ხელები შეუკრეს, ორ სატვირთო ავტომანქანაზე დაყარეს და დახვრეტის ადგილისაკენ დაიძრნენ. გიორგი ხიმშიაშვილმა გენერალ კოტე აფხაზისა და მაიორ დიმიტრი ჩრდილელის დახმარებით ხელები გაიხსნა, ბადრაგს იარაღი წაართვა და მანქანიდან გადახტა. სამწუხაროდ, გადახტომისას რევოლვერი ხელიდან გაუვარდა. ცხენოსნები დაედევნენ და სროლისას ფეხში დაჭრეს. ორმა ჯალათმა – ამიროვმა და აბაზოვმა – დაცხრილეს და  წინასწარ გამზადებულ ორმოში ჩააგდეს. შემდეგ სხვებიც დახვრიტეს.

ძალიან ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება, რომ დავიწყებას მისცემოდა ქართველ მამულიშვილთა სახელები, თუმცა სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა. დაინგრა საბჭოთა იმპერია, აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და შთამომავლობამ ღირსეულად დააფასა სამშობლოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირულ მამულიშვილთა ხსოვნა.

# ინფორმაცია 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაწილეთათვის




ავტორი: თეიკო ანჯაფარიძე

**საგამოცდო პროცესი**

## სად მიიღებენ აბიტურიენტები საგამოცდო ბარათებს?

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები საგამოცდო ბარათებს უშუალოდ სკოლებში მიიღებენ, სკოლადამთავრებული აბიტურიენტები კი რეგისტრაციისას თავად ირჩევენ ბარათის მიღების ადგილს შესაბამისი ჩამონათვალიდან.

ბარათზე მითითებული იქნება:

- საგამოცდო ცენტრი;
- თითოეული გამოცდის თარიღი და რეგისტრაციის დაწყების დრო.

**საგამოცდო ბარათი პირადობის მოწმობასთან ერთად იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.**

## სად და როდის უნდა გამოცხადდეს აბიტურიენტი გამოცდაზე?

- აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათში მითითებულ დროსა და მისამართზე.

**რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება!**

## რა უნდა იქონიოს თან აბიტურიენტმა გამოცდაზე გამოცხადებისას?

- საგამოცდო ბარათი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- წყალი (პლასტმასის ბოთლით) და პირადი ჰიგიენის ნივთები.

## როგორ მიმდინარეობს საგამოცდო პროცესი?

გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, ინსტრუქციას, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ყველა საგამოცდო სექტორში დამონტაჟებული იქნება ვიდეოკამერა, ჩაიწერება მთელი საგამოცდო პროცესი.

- აბიტურიენტი რეგისტრაციის გავლის შემდეგ იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს შესაბამის სექტორში;
- მუშაობის დაწყებამდე აბიტურიენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ტესტი არ არის დაზიანებული, არ აკლია გვერდები და გარკვევით იკითხება;
- ტესტთან ერთად აბიტურიენტი მიიღებს

პასუხების ფურცელს. ანონიმურობის უზრუნველსაყოფად მასზე დაიკვრება ინდივიდუალური შტრიხკოდი;

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მათი დაზიანება, რაიმე ჩანაწერის გაკეთება (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს). **სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**
- დაუზიანებელი ტესტისა და პასუხების ფურცლის მიღებას აბიტურიენტები დაადასტურებენ სექტორის უწყისში ხელმოწერით.



საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში კურატორი ამოწმებს ტესტის რვეულის, პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც აბიტურიენტი ადასტურებს უწყისში ხელმოწერით, რის შემდეგაც კურატორს აბარებს ნამუშევარს. პასუხების ფურცლები ილუქება და იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

## 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები - სიახლეები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტებს შემდეგ სიახლეებს სთავაზობს:

- 2015 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ არჩევით საგნად სამოქალაქო განათლებაც ჩააბარონ. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საგნის სწავლება IX-X კლასის ჩათვლით სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება.

- სიახლეა გეოგრაფიის გამოცდაშიც: ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო 2 საათი და 30 წუთი იქნება. ტესტის მაქსიმალური ქულა გახდა 60 (ნაცვლად 70 ქულისა).

- ისტორიის ტესტი 70 ქულიანი იქნება ნაცვლად 80-ისა და არ შეიცვლება გამოცდის ხანგრძლივობა (2 საათი და 30 წუთი).

- უცხოური ენის გამოცდაზე მოსმენის ნაწილში მოცემული იქნება 10 დავალება (ნაცვლად 8 დავალებისა). გამოცდაზე 15 წუთი იქნება გამოყოფილი იმისათვის, რომ აბიტურიენტმა მოისმინოს ტექსტი შესაბამის ენაზე და შემდეგ შეასრულოს მოცემული დავალება. მე-8 დავალება (გრამატიკა) შემცირდა და 14-ის ნაცვლად იქნება 12 საკითხი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გისურვებთ წარმატებას! www.naec.ge

San Diego State University
Georgia

# მიიღე ამერიკული განათლება და დიპლომი საქართველოში!



2015 წლიდან ამერიკული განათლებისა და დიპლომის მიღება უკვე საქართველოშია შესაძლებელი!

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში, 2015 წლიდან სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე (ABET, ACS, WASC[1]) საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში. კურსდამთავრებულები მიიღებენ ამერიკულ დიპლომს. აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს საქართველოში საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას.

## ბაკალავრიატის პროგრამები

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრამები განხორციელდება საქართველოს სამ სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

2015 წელს, გთავაზობთ შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს:

**ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- ქიმია/ბიოქიმია - (კოდი 0010112)
- ელექტრული ინჟინერია - (კოდი 0010111 )
- კომპიუტერული ინჟინერია - (კოდი 0010111 )

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- ელექტრული ინჟინერია - (კოდი 0100405)
- კომპიუტერული ინჟინერია - (კოდი 0100405)

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

- ქიმია/ბიოქიმია - (კოდი 0031102)
- ელექტრული ინჟინერია - (კოდი 0031101)
- კომპიუტერული ინჟინერია - (კოდი 0031101)

2016 წლიდან დაემატება საბაკალავრო პროგრამები: კომპიუტერულ მეცნიერებებში, სამშენებლო ინჟინერიაში და სამოქალაქო ინჟინერიაში.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებს მოამზადებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში წარმატებული პროფესიული კარიერისათვის. პროგრამებისთვის განკუთვნილი სასწავლო აუდიტორიები, საინჟინრო, სამეცნიერო და კომპიუტერული ლაბორატორიების აღჭურვილობა და სტანდარტები, ასევე სტუდენტებისათვის შეთავაზებული ტექნოლოგიები იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კრიტერიუმების შესაბამისი.

სწავლება განხორციელდება ინგლისურ ენაზე და ლექციებს SDSU-ს ამერიკელი პროფესორები ჩაატარებენ.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
სან დიეგო, კალიფორნია



[1] ABET - საინჟინრო პროგრამების აკრედიტაციის ამერიკის საბჭო; ACS - ამერიკის ქიმიკოსთა ასოციაცია; WASC - სკოლებისა და კოლეჯების დასავლეთის ასოციაცია.



სტუდენტების ინგლისურ ენაში სათანადო მომზადებისთვის, საერთაშორისო განათლების ცენტრთან თანამშრომლობით, SDSU-საქართველომ დააფუძნა ინგლისური ენის აკადემია (English Language Academy - ELA), რომელიც აბიტურიენტებს სთავაზობს ინგლისური ენის მოსამზადებელ კურსებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხესა და სხვა ქალაქებში.

## სწავლის ღირებულება და ფინანსური დახმარება

საქართველოს მოქალაქეებისთვის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ღირებულება წელიწადში 7500 დოლარს შეადგენს. SDSU-საქართველოს პროგრამებზე ჩაბარების შემთხვევაში (სახელმწიფო სასწავლო გრანტის გარდა) შეგიძლიათ მოიპოვოთ სრული (100%-იანი) ან ნაწილობრივი (75%-იანი, 50%-იანი და 25%-იანი) დაფინანსება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. დაინტერესებულმა აბიტურიენტებმა და სტუდენტებმა უნდა შეავსონ SDSU-საქართველოს ფინანსური დახმარების განაცხადის ელექტრონული ფორმა:
http://georgia.sdsu.edu/sub/financeform.html .
შევსების პროცედურებთან დაკავშირებით ან დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 5 93 49 85 12

**წელს ჩარიცხული სტუდენტებიდან 150-ზე მეტი სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდება!**

## გაცვლითი პროგრამები

SDSU-საქართველოს სტუდენტებს აგრეთვე ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ერთი სემესტრით ან ერთი წლით სწავლა განაგრძონ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კალიფორნიის კამპუსში. სტუდენტები ამ შემთხვევაში გადაიხდიან სწავლის იგივე საფასურს, რასაც საქართველოში. გამოყოფილი იქნება დამატებითი სტიპენდიები გაცვლითი პროგრამებისთვის.




**საკონტაქტო ინფორმაცია:**
ტელ: +995 32 229 08 20, 593498512
Email: Georgiainfo@mail.sdsu.edu
ვებგვერდი: http://georgia.sdsu.edu
https://www.sdsu.edu
SDSU.Georgia




კენ უოლში, Ph.D.,
SDSU საქართველო, დეკანი




პროფესორ სტენლი მალოის, Ph.D.,
საჯარო ლექცია საქართველოში



პროფესორ ალან სვიდლერის, Ph.D.,
საჯარო ლექცია საქართველოში



ქიმიის ლაბორატორია, სან დიეგოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი, SDSU

San Diego State University

### SDSU-ს მიღწევები და აღიარება:

წარმოადგენს *21*-ე საუკუნის ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფო კვლევით უნივერსიტეტს ამერიკაში

აღიარებულია, როგორც საუკეთესო მზარდი და ინოვაციური ცვლილებების დამნერგავი სასწავლებელი ამერიკაში - *"U.S. News & World Report"*-ის მიერ

გამოყოფილია *115* მილიონი ამერიკული დოლარი წელიწადში კვლევითი გრანტებისა და კონტრაქტების სახით

ითვლება აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან უნივერსიტეტად სტუდენტების შემადგენლობის მიხედვით

პროექტი ხორციელდება აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის ფინანსური მხარდაჭერით.

# რა სურს თინათინს?

ავტორი: ნაირა ცხვედიანი
ილუსტრაციები: მამუკა თავაქარაშვილისეული მინიატურები, XVII საუკუნე

*ეს წერილი არის მცდელობა პასუხისა მოსწავლის შეკითხვაზე: „რატომ ვერ ისვენებს თინათინი, რატომ იწყებს უცხო მოყმის ძებნას, როცა მეფემაც და ავთანდილმაც ის უკვე დაივიწყეს?“*

ის უძლიერესი ქვეყნის მეფის ასულია, თან – ულამაზესი. პოემის დასაწყისშივე გვეუბნება რუსთაველი: **„მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული“.** შემდეგ მამამისიც, არაბთა მეფე როსტევანიც, დაუფარავი სიამაყით ამბობს ვეზირებთან: **„ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.** ვეზირებიც ერთხმად აღიარებენ თინათინის გამორჩეულობას და მომავალი მეფის შესამკობად სახოტბო სიტყვებს არ იშურებენ: **„სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“.**

თინათინი მხოლოდ ლამაზი არაა. იგივე ვეზირები მის მშვენიერებასთან ერთად მის გონიერებასაც განსაკუთრებით აღნიშნავენ: **„შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია“.** არ გეპირფერებით, სახელმწიფოს მართვა შეუძლია, უთქვენოდაც ბევრჯერ გვითქვამს ამის შესახებო, ეუბნებიან მეფეს.

თინათინი ლამაზიცაა და ჭკვიანიც, ეს მამამისმაც მშვენივრად იცის და მისი გამეფებაც



შოთა რუსთაველი

ამიტომ გადაწყვიტა. მეფედ კურთხევის რიტუალზე თინათინის ბევრი ღირსება თვალნათლივ გამოჩნდა. არაბეთის ახალი მეფე თავმდაბალია (**„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა...“**), ემოციური (**„ამად სტირს, ბაღი ვარდისა**

**ცრემლითა აივსებოდა“)**, გონიერი **(„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა“)**, უხვი **(„გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“)**... ასული ბევრი რამით ჰგავს მამას. თუ პირველივე სტროფში: **„იყო არაბეთს ...“** როსტევანის სახელს თინათინით ჩავანაცვლებთ, ბევრი არაფერი შეიცვლება. მხოლოდ ერთი რამ არ შეუძლია მეფის ასულს, იყოს: **„თვით მეომარი უებრო...“** სწორედ ეს ადარდებს როსტევანსაც. თინათინის გამეფების ნადიმზეც ამაზე წუხილმა „დაუღრიჯა“ სახე. ლოგიკურად, ეს თინათინისთვისაც სერიოზული პრობლემა უნდა იყოს.

უებრო მეომრის ნიშას ახალი მეფე ვერასდროს დაიკავებს. მაინც ვერ არის **„ლეკვი ლომისა სწორი“.** ყველაზე კარგად ეს როსტევანმა იცის, ამიტომაც არ ბრაზდება ავთანდილის არც თუ თავმდაბლურ ნათქვამზე: **„ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა“.** როგორც ჩანს, მეფეს არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ ავთანდილი მასზე უკეთესი მოასპარეზე აღმოჩნდება და გულს საგულეში დაიგულებს. ასე რომ არ იყოს, ვინ ვინ და ჩვენ ხომ კარგად ვიცით, როგორი გაბრაზება იცის როსტევანმა. ავთანდილის ფორმალური მოწიწებაც შემდეგ: **„მიწაცა თქვენი ავთანდილ“**, ბევრს აღარაფერს ნიშნავს. სულ მალე ვნახავთ, რომ სპასპეტს ეს თავმდაბლური სიტყვები მხოლოდ მეფისათვის არ ემეტება. ამავე სიტყვებით იწყებს შემდეგ თავისი  ყმებისადმი მიწერილ წერილს: **„მიწაცა თქვენი ავთანდილ, ისმინეთ, გიწერ მე რასა...“**

მართლაც, მშვენიერი ქვეყანაა არაბეთი – მეფესაც და ყმასაც ერთნაირად შეგიძლია მიმართო.

ავთანდილმაც კარგად იცის, რომ თინათინს ქვეყნის სრულყოფილად მართვისთვის ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც ყველა სიკეთით შემკული ქალის გვერდით უებრო მეომრის ადგილს დაიკავებს. ჭკვიანი კაცი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს, მით უფრო, თუ ყურებამდე შეყვარებულია. არც ავთანდილს დაუხანებია როსტევანისთვის (ალბათ, თინათინისთვისაც) თავისი როლი და ფუნქცია დაენახვებინა, უებრო მეომრის გამოსავლენად შეჯიბრება შესთავაზა. მეფემ მშვენივრად გაიგო ავთანდილის შეთავაზების ქვეტექსტი, ამიტომაც არც არაფერი წყენია, არც განრისხებულ-გამწყრალა და არა თუ აიკლო ქვეშევრდომი, სიცილით უთხრა: **„თუ არ გასწბილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედად-რე“.**

ახლა პირველობის მაძიებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს – ბედი სწყალობს თუ – არა. როგორც არაბეთში იტყვიან: „ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!“ **(„გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“).**



თინათინის დასმა ტახტზე



თინათინის გამეფება

ავთანდილი საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებულია, ამიტომაც გამოცხადდა პაექრობაზე საზეიმო ფერებში მორთული: თეთრ ცხენზე ამხედრებულს წითელი მოსასხამი და ოქროსფერი რიდე უხდება. აშკარაა, სპასპეტი ტრიუმფისთვის ემზადება. არც ტრიუმფს დაუხანებია, მაგრამ ბედმა მაინც ვერ გაუღიმა. ყველაზე ამაღელვებელ წუთებში, როცა თვითონაც ზეიმობდა, მეფეც (**„მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა“**) და ლაშქარიც თვალებში შესციცინებდა, ვიღაც უცხო ჭაბუკმა მათრახის ერთი მოქნევით მისი უებრო მეომრობის მითი ფარსად აქცია.

როსტევანი თავზარდაცემულია. ურჩევნია უცხო ჭაბუკი ეშმაკეული და უხორცო იყოს, ვიდრე რეალური და მიწიერი. ღმერთის სასჯელზე ალაპარაკდა: **„უცილოდ ღმერთსა მოვძულდი აქამდე მე მხიარული“.** მეფეს იმისი დაჯერებაც არ უნდა, რომ არაბეთის განთქმულ ლაშქარს ბდღვირი ხორციელმა კაცმა ადინა და მეფეც და სპასპეტიც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. არადა, რა იდეალურად იყო ასხმული არაბეთის სამეფოს მარგალიტის მძივი სულ ცოტა ხნის წინ: რეალურ მეფეს, ფორმალურ მეფესა და უებრო მეომარს შეეძლოთ შეხმატკბილებულად ემართათ ქვეყანა.

ავთანდილი ახალგაზრდა კაცია, როგორც ჩანს, ბედნიერი და უდარდელი. მართალია, დამწუხრებულ მეფეს პირისპირ უზის, რომ დამარცხების ელდა ერთად გაინაწილონ, მაგრამ დიდად არ უნდა აწუხებდეს მომხდარი, ყოველ შემთხვევაში მის განცდებზე საუბარს რუსთაველი საჭიროდაც არ მიიჩნევს. როგორც ჩანს, სპასპეტი ჯერ კიდევ მეფის დაჯაბნის ტკბილ ბურანშია და მასაც, როსტევანის მსგავსად, ურჩევნია უცხო ჭაბუკი ეშმა იყოს და არა ხორციელი კაცი. ეშმასთან დამარცხება ხომ მათ ღირსებას არ შელახავს.

თინათინი ჭკვიანი ქალია. ის მშვენივრად ხვდება, რომ მეფეს რეალობისათვის თვალის გასწორება არ უნდა. არაბთა ამწიოკებლის ერთწლიანი უშედეგო ძებნაც, სავარაუდოდ, მალამოსავით მოეცხო როსტევანისა და ავთანდილის გაღიზიანებულ პატივმოყვარეობას. მეფემ თავი დაირწმუნა (და თინათინიც დაიმოწმა): **„მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო“**, სასწრაფოდ მომღერლებს, ჯამბაზებსა და აკრობატებს უხმო. სასახლეში ცხოვრება გატკბა, ძველი დრო დაბრუნდა – მშვენიერი და საამო.

არც ავთანდილის სასახლეშია გლოვა-წუხილი. მოშილიფებულ სპასპეტს წინ ჩანგი დაუდგამს და ღიღინებს. რატომაც არა, ცხოვრება მშვენიერია.

არაბეთი აშკარად ბედნიერი ქვეყანაა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ერთ დამწუხრებულ კაცს თავის გემოზე ტირილიც არ აცალეს. ეტყობა, არაბეთში სატირლად არავის აქვს საქმე. როგორც ჩანს, იმ მტირალმა კაცმაც კი იგრძნო მაშინ ეს

და წლების შემდეგ ავთანდილს უთხრა: **„რას მაქმნევდით, რად გინდოდი, ერთმანეთსა რათა ვჰგვანდით. თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით“**. მანამდე კი ამ კაცის უცნაური ქცევით გაოცებული და დაბნეული როსტევანი ქალიშვილს ლამის ებოდიშებოდა მომხდარის გამო: მე მხოლოდ მისი ამბის გაგება მინდოდა, რატომ ტიროდა, რა აწუხებდა, ის კი არც მოვიდა და კაცურად არ გადამკოცნაო. ამ სიტყვებში თითქოს ფარულად ჟონავს დანაშაულის გრძნობა თავისთვის მოტირალი კაცის წინაშე. როგორც ჩანს, როსტევანს ისიც აწუხებს, რომ მისი კეთილი სურვილი „უცხო კაცის“ სევდის გაზიარებისა, არაბთა მხრიდან ძალადობის მაპროვოცირებელი გახდა.

არაბეთი ბედნიერი ქვეყანაა. ჰოდა, როსტევანსა და ავთანდილს ამ ბედნიერ ქვეყანაში ბედნიერად ცხოვრება სურთ. მათ უსიამოვნების დავიწყება უნდათ.

მაგრამ, რა სურს თინათინს?

თინათინი მამის მსგავსად არ ფიქრობს. მას არც ერთი წლის წინ სჯეროდა უცხო ჭაბუკის ეშმა-დევობისა და, მით უფრო, ღმერთის მიერ როსტევანის ბოროტი ძალის მეშვეობით დასჯისა. აკი, უთხრა კიდეც მამას: **„ჰე მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა? რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა? ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“.** შემდეგ, როცა უცხო ჭაბუკის მოსაძებნად კაცების გაგზავნის იდეა შესთავაზა, რადიკალურად არ დაპირისპირებია მამის მოსაზრებას და ტაქტიანად აღნიშნა: **„ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი“.** როცა მოყმის ამაოდ მძებნელნი დაბრუნდნენ, არც შემდეგ ჩანს, რომ თინათინი მომხდარს ღვთის რისხვად მიიჩნევს. ჭკვიანი ქალია და ხვდება – ისეთი შესაძლებლობების კაცის მოძებნას, როგორიც უცხო ჭაბუკი იყო, ჩვეულებრივი მონა-ქვეშევრდომნი ვერ შეძლებდნენ. ტყუილად ცდილობს როსტევანი ქალიშვილის სიტყვები: **„ადრე სცნობ...“**, თავისი ვარაუდის უეჭველ არგუმენტად მოიყვანოს. თუ



უცხო მოყმე

თინათინიც მამასავით ფიქრობს, მაშინ რატომღა იწყებს იგი **„უშობელის“** ძებნის ახალ ოდისეას?

ფაქტია, თინათინს ეჭვიც არ ეპარება, რომ **„იგი ყმა“** ხორციელი კაცია, სამაგიეროდ მასთან ავთანდილის დამარცხებამ თავისი სპასპეტის უებრო მეომრობაში დააეჭვა. თინათინს კი გვერდით, სპასპეტადაც და მიჯნურადაც, ძლიერი ადამიანი სჭირდება.

იმ დროს, როცა ავთანდილი ჩანგზე მღერის, თინათინი სამომავლო გეგმას სახავს. ამ გეგმაში სპასპეტსა და მიჯნურს თავისი როლი და ფუნქცია ექნება განსაზღვრული და მის მომავალსაც, სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტს. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ თინათინთან მიწვეული **„ლაღი და უკადრი“** ავთანდილი **„დაღრეჯით“**

მჯდომი ქალის პირისპირ აღმოჩნდა: **„იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შვენოდა“**. კიდევ უფრო საინტერესოა სიტყვები, რომლებითაც თინათინი ავთანდილს მიმართავს: **„მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა, რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიხდილი ცნობისა?“**

თინათინს რომ „დაღრეჯა“ გამოსავლად არ მიაჩნია, ეს კარგად ჩანს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მამისათვის ნათქვამ სიტყვებში: **„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვექვ, ქმუნვასა ესე სჯობდეს“.** მაშ, ახლა თვითონ მიეცემოდა უსაგნო ურვა-წუხილს?

ავთანდილი ან ვერ ხვდება მეფის წუხილის მიზეზს, ან მოხერხებულად არიდებს თავს პასუხს. უნდა თინათინისაგან გაიგოს, ზუსტად რა სურს მას, რომ იმის მიხედვით იმოქმედოს: **„თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების“.**

თინათინს კი რა შეიძლება სურდეს მაშინ, როცა ვიღაც უცხო ჭაბუკმა არაბთა სახელოვანი ლაშქარი გაანახევრა, როცა მეფე და სპასპეტი მათსავე სამეფოში შერცხვენილი დატოვა და ისე გაქრა, რომ მისი კვალიც ვერსად იპოვეს? მხოლოდ ერთი რამ – ავთანდილმა თავისი „უებრო მეომრობა“ რეალურად დაამტკიცოს. მისი ვაჟკაცობის საპირწონე სანადიროდ გამოსული როსტევანი კი არა, უცხო ჭაბუკი უნდა იყოს, უძლეველი და მოუხელთებელი. აკი, ეუბნება კიდეც ავთანდილს: **„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა, ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა? მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა...“.** წესით ავთანდილმა მშვენივრად უნდა გაიგოს ამ სიტყვების ქვეტექსტი – იმ სამარცხვინო დღის შემდეგ მე სულ ამ ამბავზე ვფიქრობ და შენ რასა იქმ?...

შეფარული საყვედური დიპლომატიური რევერანსით გრძელდება: **„შენ გენუკვი მონახვასა...“**

გენუკვი?

თინათინის მოთხოვნა მკაფიო და ნათელია: ავთანდილმა უცხო მოყმე უნდა იპოვოს, მოახერხოს და მისი წუხილის მიზეზი შეიტყოს (რასაც მიზანში


თინათინისა და ავთანდილის შეხვედრა

კარგად სროლა კი არა, ჭკუა-გონება სჭირდება). მხოლოდ ასე შეძლებს სიყვარულის გამყარებას. თინათინისა და ავთანდილის სიყვარულს, გარდა ელვარე გრძნობებისა, სხვა დუღაბიც სჭირდება.

რა შეიძლება აწუხებდეს არაბეთის ჯერჯერობით ფორმალურ, მაგრამ სამომავლოდ რეალურ მეფეს: რატომ ტიროდა „უცხო ვინმე“ თუ რა შეუძლია ავთანდილს?

იქნებ, ერთიც და მეორეც.

რა თქმა უნდა, თინათინი მშვენივრად ხვდება, რომ, როცა ასეთი ძლიერი და ლამაზი კაცი ტირის, ქვეყანაში, რომელიც ღმერთმა **„ჩვენ, კაცთა, მოგვცა“**, რაღაც კარგად არ არის. იქნებ არაბთა ძალადობაც აწუხებს ამ კაცის წინაშე, რომელიც თავისთვის იჯდა და ტიროდა, მეომრები დაინახა და გაცლას აპირებდა. მათრახი მხოლოდ მაშინ მოიმარჯვა, როცა შეპყრობა დაუპირეს.

ფაქტია, არაბეთში შურისძიებაზე არავინ

საუბრობს, თითქოს ყველას აწუხებს დანაშაულის გრძნობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ქალებმა ყოველთვის ზუსტად იციან – რა სურთ მათ და როცა კაცები ამას ვერ ხვდებიან, თავად მიანიშნებენ ხოლმე.

ახლა ავთანდილმა უნდა დაამტკიცოს, რომ ღირსია ამ არაჩვეულებრივი ქალის გვერდით დადგეს **„ვით მეომარი უებრო“**, რათა ერთად მართონ არაბეთი, რომელიც მართლაც დიდებული ქვეყანაა, აქ უცხო კაცის ცრემლსაც კი ფასი აქვს და ზემდგომსაც და ქვეშევრდომსაც შეგიძლია ერთნაირად მიმართო: **„მიწაცა თქვენი ავთანდილ...“**

ახლა ავთანდილმა საკუთარი და არაბეთის ღირსება უნდა დაიცვას. შეუძლია კი უწვერულ ჭაბუკს ეს?

პოემის დასაწყისში იგი ერთი ლამაზი ბიჭია, რომელსაც გამზრდელი მეფის ასული უყვარს, თუმცა თქმას ვერ უბედავს. სპასპეტი კი არის, მაგრამ მაინცდამაინც მკაფიოდ არ ჩანს – რა დამსახურების გამო. იმიტომ ხომ არა, რომ სპასალარის ძეა? მეფეც თითქოს ცოტა აგდებულად მოიხსენიებს მის შესაძლებლობებს ნადიმის დროს: **„ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.** რომ არა ნადირობაში დამსახურებული გამარჯვება, ერთი ზომაზე მეტად თამამი და ამბიციური ჭაბუკის შთაბეჭდილებას დატოვებდა. მისი ფერად-ფერადი ტანსაცმელი და **„კაბა... მჯობი ყოვლისა ჭრელისა“** კი შესაძლოა გამაღიზიანებელიც ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს კაცი არაბეთის სპასპეტია.

ბედნიერი შედის იგი თინათინის სასახლეში და, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ატირებული და დარეტიანებული გამოდის იქიდან. არადა ის აუხდა, რასაც ნატრობდა, საოცნებო ქალმა სიყვარული აუხსნა, ერთგულება შეჰფიცა, გვერდით დაისვა, ელაღობა. თინათინთან მისვლამდე, სანამ მისი გრძნობების შესახებ არაფერი იცოდა, სპასპეტი **„იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“**, თინათინისაგან წამოსვლის შემდეგ, როცა ბედნიერებისაგან ცას ხელით უნდა მისწვდომოდა – **„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების“.**

მართლაც, ვერაფერს გაუგებ ამ ცხოვრებას. მხოლოდ მიჯნურთან სამწლიანი დაშორება შეიძლება იყოს მიზეზი ამგვარი ემოციებისა? მით უფრო, თუ ქალი გეუბნება: **„ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი“.** როგორც ჩანს, ავთანდილმა ზუსტად გაიგო, ეს სამი წელი რის დასამტკიცებლად მისცა მიჯნურმა, რეალურად რა აწუხებს თინათინს. მეტი რაღა ეთქვა, როცა ლამის შეემუდარა: **„რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე“.**

რისგან გათავისუფლებას სთხოვს თინათინი ავთანდილს, რა ეშმაკი უღრღნის გულს? იქნებ იმ ეჭვისაგან, რომ მისი მიჯნური ვერ არის **„მეომარი უებრო“.** არადა, რუსთაველის კრიტერიუმებით ნამდვილი მიჯნურის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება ხომ **„მძლეთა მებრძოლთა მძლეობაა“.** არაბეთში კი რუსთაველის შეგონებანი, სავარაუდოდ, ძალიან კარგად იციან.

ავთანდილმა ისიც კარგად გაიგო, რომ ეს დავალება მარტომ უნდა შეასრულოს, სხვათა დახმარების გარეშე, ისევე მარტომ, როგორც ის უცხო მოყმე იყო, მსახურიც კი არ უნდა იახლოს. ყველაფერი ერთიერთზე უნდა გადაწყდეს. ამაოდ ემუდარება შერმადინი ავთანდილს: **„სჯობს ორნივე გავიპარნეთ...“** ჯერ ერთი, შერმადინმა არაბეთში ავთანდილობა უნდა გასწიოს, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ავთანდილი მას მაინც არ წაიყვანდა. სპასპეტი თინათინის სასახლიდან, როგორც ხმალი გავარვარებული ქურიდან, სხვაგვარად ნაწრთობი გამოვიდა. მიხვდა, რომ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ვერაფერს მიიღებს, ამიტომაც ეუბნება შერმადინს: **„მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“.**

თინათინმა უნდა დაინახოს – რა შეუძლია ავთანდილს.

ავთანდილს კი ბევრი რამ შეუძლია.

რუბრიკა: ფოტორეპორტაჟი

# უბრალო ცხოვრების წამი

ავტორი: ანა შეთეკაური

მე ამ სახლში, ამ კედლებში გავიზარდე და ყველაზე მეტად ჩვენი ნესტიანი ხის იატაკის და დაღლილი დედის ოფლის სუნი მიყვარდა. ყოველ ლუკმას ერთმანეთს ვუყოფდით და იმედი გვქონდა, რომ მეორე დღეს მაინც გვექნებოდა ჩვეულებრივი პური „მჭადი პურის“ ნაცვლად...



















# ვინ და რატომ გასცა 1832 წლის შეთქმულება?

ავტორი: თამაზ ჯოლოგუა

გავრცელებულია ვერსია, თითქოს თანამოაზრეთა დავალებით ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეთქმულების ამბავი იასე ფალავანდიშვილის ძმას, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, გაუმჟღავნა, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, აიძულა იასე, გამცემის როლი ეკისრა. ეს ვერსია გვხვდება მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“, თუმცა ამ შემთხვევაში მხატვრული ტექსტი (მწერლის ფანტაზიის ნაყოფი), რასაკვირველია, დოკუმენტური მასალის მაგივრობას ვერ გასწევს. ასევე უცნობია, რა წყაროებს ეყრდნობოდა იონა მეუნარგია, რომელსაც ერთ თავის დაუმთავრებელ ტექსტში („ალექსანდრე ჭავჭავაძე“) უწერია: „ამ ყმაწვილების (შეთქმულთა – თ. ჯ.) განზრახვა შეიტყო თბილისის გუბერნატორის ძმამ ფალავანდიშვილმა. ფალავანდიშვილმა ეს საიდუმლო შეატყობინა გუბერნატორს და გუბერნატორმა მაშინდელ მთავარმართებელს როზენს“ (ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. თბ.: 1954, გვ. 22; **განმარტებისთვის**: იასემ

შეთქმულების ამბავი კი არ **„შეიტყო“**, არამედ ერთი იმათგანი იყო, ვინც „ფარული საზოგადოების“ პრაქტიკულ საქმეებს **ხელმძღვანელობდა**). საყურადღებოა ალექსანდრე ორბელიანის ერთი გვიანდელი მოგონებაც, რომელსაც გიორგი გოზალიშვილი იმოწმებს: „ღუბერნატორმა ნიკოლოზ ფალავანდოვმა დაგვღუპა ყველანი“ (გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფ.: 1935: 94, 127), თუმცა გ. გოზალიშვილი იქვე დასძენს: „მაშინდელი საგუბერნიო არქივის საგანგებოდ გადასინჯვის დროს ამის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა“ (გოზალიშვილი... ტ. I, გვ. 94).

საკითხის გარშემო მსჯელობისას ყველაზე საინტერესო მაინც ალ. ორბელიანის 1833 წლის 1 სექტემბრის ჩვენებაა – იასემ მითხრა, „ჭავჭავაძეს და ჩემს ძმას კარი შეკეტილი ჰქონდათო და ორი საათი მეტი ლაპარაკობდნენ და, ვგონებ, რომ ამ ჩვენს განძრახვასა ზედა ლაპარაკობდნენ“ (გოზალიშვილი... ტ. III, თბ.: 1976, გვ. 399). მაგრამ, ჯერ ერთი, იასე დარწმუნებით ვერ ამბობს („ვგონებო“), თუ რაზე ლაპარაკობდნენ „შეკეტილი“ ალ. ჭავჭავაძე და ნიკ. ფალავანდიშვილი (ეს საუბარი მართლაც შეთქმულთა დავალებით რომ შემდგარიყო, ალ. ორბელიანსაც და იასესაც, როგორც შეთქმულების ხელმძღვანელი ბირთვის წევრებსა და, ამდენად, ყველა წვრილმანის ზედმიწევნით მცოდნეებს, ზუსტად ეცოდინებოდათ საუბრის მიზანი). ამას გარდა, ზოგადად ალ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ფალავანდიშვილის საუბრები სულაც არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი, რამდენადაც იმ პერიოდში



იასე ფალავანდიშვილი



ფიცი, რომელიც შეთქმულების ახალმიღებულ წევრს უნდა წარმოეთქვა

ერთიცა და მეორეც (ისევე, როგორც თვითონ იასე) ერთსა და იმავე სახლში – „სახელმწიფო სახლის ოთახებში“ – ცხოვრობდნენ (გოზალიშვილი... I, გვ. 257; გოზალიშვილი... II. თბ.: 1970, გვ. 309).

ასე რომ, ვერსიას შეთქმულების გაცემაში რაიმე ფორმით ნიკოლოზ ფალავანდიშვილის მონაწილეობის შესახებ დოკუმენტური საფუძველი არ ეძებნება. უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილი წყაროების მიხედვით, ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა შეთქმულების არსებობა მხოლოდ მისი გამომჟღავნების შემდეგ შეიტყო. საკითხის გარშემო არსებული დოკუმენტური მასალიდან კი სხვაზე უფრო სანდო ჩანს 1833 წლის 8 იანვრის ჩვენება, რომელშიც იასე ფალავანდიშვილი საგამომძიებლო კომისიას აცნობებს: „პირველს (ნიკ. ფალავანდიშვილს – თ. ჯ.) ამიტომ არ გამოვუცხადე, რომ ამ ჩემს ჩვენებაში ურევია იმისთანა გვამნი, რომ არის იმათი დიდი გულითადი მეგობარი და იმათგანისა იყო სიმამრი და ვშიშობდი, რომ არ მივეცი პასუხისმგებლობაში, ვითარცა არა ერთ გზის ვარ მისგან უბედურად დაშთენილი“ (გოზალიშვილი... I. გვ. 258; იასეს არ უყვარდა თავისი ძმა და აჯანყების ღამეს მის მოკვლას თვითონ კისრულობდა, თუმცა შეთქმულები ნიკოლოზ



სოლომონ დოდაშვილის მიერ შედგენილი პროკლამაციის შავი ვარიანტი



შეთქმულთა საიდუმლო ანბანი

ფალავანდიშვილს არას ერჩოდნენ და გამარჯვების შემთხვევაში მისთვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობის შეთავაზებას აპირებდნენ).

ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს – ნიკოლოზ ფალავანდიშვილს შეთქმულების გაცემაში რაიმე წვლილი რომ ჰქონოდა შეტანილი, ეს ყველაზე უკეთ თვითონ საგამომძიებლო კომისიას ეცოდინებოდა და, შესაბამისად, კომისიას არც იმის გამორკვევა დასჭირდებოდა, რატომ არ გაუმჟღავნა იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულების ამბავი საკუთარ ძმას.

ასე რომ, დოკუმენტური მასალის მიხედვით, შეთქმულების გაცემა იასე ფალავანდიშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყო, ხოლო ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა საერთოდ არაფერი იცოდა შეთქმულების შესახებ.



საიდუმლო ანბანით დაწერილი წერილი

რამ აიძულა იასე, გამცემის როლი ეკისრა?

თვითონ იასე თავის ჩვენებებში რამდენჯერმე ამბობს – შეთქმულების ყოველი წვრილმანის გაგება მინდოდა, რათა შემდეგ ეს ყველაფერი ხელისუფლებისთვის მეთქვაო (სხვათა შორის, შეთქმულებაში თავის მონაწილეობას ასეთი „არგუმენტით“ სხვა შეთქმულებიც ამართლებდნენ – ზ. ჩოლოყაშვილი, ს. რაზმაძე და სხვ.): „რასაც მელაპარაკებოდნენ, როდესაც წავიდოდნენ,



თათრის მოედანი, საიდანაც შეთქმულებს აჯანყების პირველი ღამის ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ

მაშინათვე დავჯდებოდი რას თვეში და ან რომელს რიცხვში რას მელაპარაკებოდნენ, ან ადრე რა ჰქონდათ დაწყობილება, ამას ვნიშნავდი, რომ არ დამავიწყდეს და ვაცნობო, ვითარცა ერთგულმა ხელმწიფე იმპერატორის ყმამ, სადაც ჯერ იყოს“ – წერს იასე თავის ერთ-ერთ ჩვენებაში (გოზალიშვილი... I. გვ. 258). სხვა ჩვენებაში კი იგი ამბობს: „სხვა არაფერი განმაღვიძებელი მიზეზი არა მქონია რა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იმის მეტი, რომ ყველაფერი დაწვრილებით შემეტყო და მთავრობისათვის მეცნობებინა, რაც კიდევაც შევასრულე“ (გოზალიშვილი... II. გვ. 310) და ა. შ.; ალექსანდრე ორბელიანთან დაპირისპირებისას იასემ მას პირში მიახალა: „მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავი თქვენში. რაც თქვენში განზრახვა იყო, უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა...“ (გოზალიშვილი... I. გვ. 127). მაგრამ ასეთი და ამის მსგავსი გატრაფარეტებული „ვერსიებისა“ არც ალ. ორბელიანს სჯეროდა და, რაც მთავარია, – არც საგამომძიებლო კომისიას, რომელმაც, თავის მხრივ, დაასკვნა და მთავარმართებელ გრ. როზენის პირით 1833 წლის თებერვალში რუსეთის სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვს აცნობა: „[იასე ფალავანდიშვილისთვის შეთქმულების] გაცემა უნდა აეძულებინა ბორჩალოს თათართა შორის გავრცელებულ ხმებს ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერის თაობაზე, რამაც შეაშინა იგი, ამ შემთხვევით მთავრობას შეთქმულება არ აღმოეჩინა“ (გოზალიშვილი... III. გვ. 455).

საგამომძიებლო კომისიის მასალები ადასტურებს

ამ უკანასკნელი ვერსიის საფუძვლიანობას – იმისათვის, რომ ხალხმრავალ შეკრებაში ხელისუფლებას რაიმე საეჭვო არ დაენახა, შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ, აჯანყება დაემთხვიათ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობისათვის, რომელიც 1832 წლის 20 ნოემბერს უნდა გამართულიყო. ასეთ ყრილობებზე, ჩვეულებრივ, ქართლ-კახეთის რჩეული არისტოკრატია იკრიბებოდა და გუბერნიისა და ცალკეული მაზრების წინამძღოლებს („მარშლებს“) ირჩევდა. არჩევნებთან დაკავშირებულ და იმავე საღამოს გამართულ საზეიმო ნადიმზე, ლუარსაბ ორბელიანის სახლში, რუსი და ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო ხელისუფალნი უნდა მოეწვიათ, ყველანი დაეპატიმრებინათ და სპეციალურ ნიშანზე (შუშხუნების გასროლაზე) აჯანყებაც უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ყრილობა რამდენჯერმე გადაიდო და, შესაბამისად, რამდენჯერმე გადაიდო აჯანყების დღეც, საბოლოო თარიღად კი 20 დეკემბერი დადგინდა. ამასობაში სპარსეთში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკი ჩავარდა ბორჩალოში და იქ მაშინვე ხმა გავრცელდა მოსალოდნელი არეულობების შესახებ. ამ ხმამ თბილისში სწრაფად ჩამოაღწია და შეთქმულთა საქმიანობაში დეზორგანიზაცია შეიტანა. იასე ფალავანდიშვილმა გადაწყვიტა, აჯანყების საქმე განწირულიაო და თავი რომ გადაერჩინა, გამოცხადდა კავკასიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, გენერალ ვოლხოვსკისთან, გასცა შეთქმულების ამბავი, დაწერა დასმენის ტექსტი და ა. შ.


Получено 11го Декабря 18[illegible] года

იასე ფალავანდიშვილის დასმენის წერილის პირველი გვერდი



სამხედრო ყაზარმები, რომლებშიც შეთქმულები ისხდნენ (შენობები გორაკზე)

საინტერესოა, რომ შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ არ გაითვალისწინა იასე ფალავანდიშვილის „დამსახურება“, იგი ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ მიიჩნია, საქართველოდან სამუდამო გადასახლება მიუსაჯა და ეს თავისი გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა – სინამდვილეში საკუთარი ტყავის გადარჩენა სურდა, თორემ შეთქმულების გაცემის სურვილი რომ ჰქონოდა, ამას ორი წლის წინაც მოახერხებდაო (Акты, собранные Кавказской археографической комиссиею. т. VIII. Тифлис: 1881, с. 407).

დასასრულ, იასე ფალავანდიშვილის შემდგომი ბედის შესახებ: ჰელსინგფორსის (დღევანდელი ჰელსინკის) დისციპლინარულ ბატალიონში სასჯელის მოხდის შემდეგ იასე არხანგელსკის გუბერნიის პეჩორის მხარის სოფელ უსტ-ცილმაში მოხვდა, იქ გაატარა ცხოვრების დარჩენილი წლები, იქვე გარდაიცვალა (სავარაუდოდ 1871-1886 წლებს შორის) და იქვეა დაკრძალული.

# ნუ გეშინიათ, თუ თეატრი არ გიყვართ!

## ნომრის სტუმარია რობერტ სტურუა

ავტორები: ნათია ბენდელიანი, მარიამ აკობია

„შეხვალ, იქნები ბედნიერი, გამოხვალ და კარები აღარ არის!“ – ამბობს რობერტ სტურუა შექსპირის შესახებ მოსწავლეებთან და სტუდენტებთან შეხვედრისას და მათ თავისი შექსპირის სამყაროში ამოგზაურებს.

„სტურუას შექსპირის სამყარო“ – სწორედ ასე ეწოდება იმ პროექტს, რომელმაც დააკავშირა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. პროექტი, რომლის „პრემიერა“ სამი წლის წინ შედგა სახელწოდებით „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“, დღესაც წარმატებით ხორციელდება. პროექტის პირველი წელი უშუალოდ მიმდინარეობდა თსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების მონაწილეობით. პროექტის ფარგლებში რუსთაველის თეატრში დაცული უნიკალური ექსპონატების გამოფენა გაიმართა, რომელიც რობერტ სტურუას შექსპირული დადგმების ფოტო, ვიდეო და სხვა ისტორიულ მასალას მოიცავდა. შედგა დიალოგი სტუდენტებსა და სახელოვნებო ჯგუფს შორის, მსახიობებთან, კომპოზიტორ გია ყანჩელთან და თავად რობერტ სტურუასთან. ერთ-ერთი სტუდენტი ამბობს:

**„ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის, ეს პროექტი მართლა ბევრის მომცემი იყო, ამ პროექტმა შეცვალა ჩვენი რუტინული სტუდენტური ცხოვრება, გააცოცხლა და სხვანაირად დამანახვა ის წარმოდგენები, რომლებიც კითხვის დროს შემექმნა, ყველაფერი, რაც შექსპირის ირგვლივაა, უფრო საინტერესო გახდა“.**



2014 წელს ჩატარებული „სტურუას შექსპირის სამყარო“ კი იმით იყო საინტერესო, რომ არა მხოლოდ ხელოვანები იღებდნენ მონაწილეობას, არამედ კონკრეტული დარგის სპეციალისტებიც ჩაერთნენ დისკუსიებში – ფილოსოფოსები, მწერლები და ფსიქოლოგები განიხილავდნენ იმ თემებს, რომლებიც შექსპირთან და, კონკრეტულად, სტურუას შექსპირთან არის გამოკვეთილი. პროექტის დასკვნითი ღონისძიების ფარგლებში ხელი მოეწერა მემორანდუმს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს შორის.

პროექტის მესამე ეტაპი უშუალოდ სკოლების ჩართულობით ჩატარდა. „სტურუას შექსპირის სამყარო სკოლებში“ იმით იყო გამორჩეული, რომ მათთვის ლექციები წაიკითხეს უნივერსიტეტის იმ სტუდენტებმა, რომლებიც კვლევებს აწარმოებდნენ რუსთაველის თეატრის მუზეუმში. მოსწავლეებს დაევალათ ესეების დაწერა სტურუას შექსპირის სამყაროში ასახული მათთვის საინტერესო თემების შესახებ. გამოვლინდნენ საუკეთესო ნამუშევრების ავტორები.

პროექტის იდეის ავტორი და მოდერატორი

თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი დავით მაზიაშვილი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს პროექტს საგანმანათლებლო სივრცისათვის: **„სკოლის მოსწავლეები ხდებიან საუნივერსიტეტო და თეატრალური სივრცის წევრები ისევე, როგორც თეატრალური და საუნივერსიტეტო სივრცე ხდება სკოლის სივრცის ნაწილი და ეს პროექტი აკავშირებს მათ და ჯაჭვურ რეაქციას იძლევა".**

ცხადია, რომ პროექტი საგანმანათლებლო პროცესს უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის – მოსწავლეები და სტუდენტები ხდებიან არა მხოლოდ გემოვნებიანი მაყურებლები, არამედ ისინი კვლევით საქმიანობასაც ეწევიან ამ მიმართულებით, რაც თეატრის პოპულარიზაციასთან ერთად თეატრალური პრობლემატიკის შესწავლასაც უწყობს ხელს, ეს კი, თავის მხრივ, კარგად გამოვლინდა სხვადასხვა სტუდენტურ კონფერენციაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სამომავლოდ პროექტი გაფართოვდება და მასში რეგიონებიც ჩაერთვებიან, რათა ისინიც იმ სივრცის ნაწილი გახდნენ, რასაც სტურუას შექსპირი ჰქვია.

როგორც ბატონი დავით მაზიაშვილი ამბობს: **„შექსპირი არ არის მხოლოდ ინგლისის საკუთრება, არამედ ის არის კაცობრიობის საკუთრება და ის საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ყველა ერს, ყველა ეროვნებისა თუ კულტურის ადამიანს ეხება."** ამდენად, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა, სტუდენტებმა თუ ამ პროექტში ჩართულმა სხვა ადამიანებმა შეიტყონ არა მხოლოდ შექსპირის უკვდავი მემკვიდრეობის შესახებ, არამედ გაეცნონ იმ ტრადიციასაც, რომელიც ქართულ შექსპირიანაში არსებობს, განსაკუთრებით კი – რობერტ სტურუას შემოქმედებას.



**თეატრი არის ემოცია, გრძნობა, რომელსაც მიჰყავხარ თავისუფლებამდე, აქ კარი ყველასათვის ერთნაირად იღება, მაგრამ ყველასათვის ერთნაირად არ იხურება. ზოგი შესვლისთანავე გრძნობს, რომ ეს მისი სამყარო არ არის, ზოგი კი – სამუდამოდ რჩება იქ. რობერტ სტურუაც სწორედ ამ კარებთან იდგა დიდი ხნის წინ ოქროს ატესტატით ხელში... შევიდა და დარჩა, ალბათ, სამუდამოდ...** როცა მკითხველი გადაშლის გვერდს, შეიძლება იფიქროს – რატომ სტურუა? რატომ თეატრი? და რატომ ჩვენ? გეტყვით მარტივად: სტურუა იყო ის, ვინც მიგვიყვანა თეატრამდე და გახადა იგი ჩვენი. შეიძლება ამბიციურებად მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთხელ უნდა გაბედო, რომ სხვასაც დაანახვო, სხვასაც რომ გააბედინო.

მაშ ასე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რობერტ სტურუას სამყაროში, სადაც მასპინძლობას გაგიწევთ ჩვენ, მისი შემოქმედების თაყვანისმცემელი ორი სტუდენტი:

***მივიდვართ მასთან ამაყები, ბედნიერები, მაგრამ, ამავდროულად, გვაქვს მისდამი კრძალვა, დიდი რიდი, შიშნარევი განცდები: ნეტა რა მოხდება? ვინ დაგვხვდება იქ – რობიკო თუ ბატონი რობერტი? და საერთოდ, რატომ არსებობს მისდამი ასეთი კრძალვა და რიდი? გადავწყვიტეთ საუბარი სწორედ ამით დაგვეწყო.***

„მეც მიკვირს, რატომ არის ასე. ერთხელ გურამ საღარაძემ დამიძახა: ადოლფ ბესარიონოვიჩ ბერია, ამ სამი საშინელი ადამიანის სახელი ერთმანეთთან შეაერთა... რა თქმა უნდა, ეს ხუმრობით, მაგრამ მე



რომ ვიღაც რეჟისორზე წამეკითხა, ასე ეძახიანო – ტირანი და სისხლისმსმელი წარმომიდგებოდა თვალწინ. თუმცა ერთი ვიცი, რომ პოპულარული ვარ. ერთხელ კახეთში წავიყვანე მსახიობები, კვეტერა – არის ასეთი ეკლესია, ამბობენ თითქოს არსუკიძემ აუშენა შორენასო, ძალიან ლამაზია. როცა ვბრუნდებოდით, ვნახეთ გზაზე იყიდებოდა კალათებით მარწყვი, ჟოლო – ძალიან მიყვარს. მანქანა გავაჩერეთ და მანქანიდანვე ვეკითხები გლეხს, საკმაოდ მოხუც კაცს, რა ღირს-მეთქი? ფული არ გვქონდა, გვქონდა, მაგრამ საქეიფოდ შენახული. იმან შემომხედა და შენ ისე წაიღეო. ძალიან გამიკვირდა, მაშინ მივხვდი, რომ ძალიან პოპულარული გავხდი. მეგონა, რომ ის გლეხი აბსოლუტურად არ მიცნობდა, მაგრამ რატომ, არ ვიცი...“

***„ნუ გეშინიათ, თუ არ გიყვართ თეატრი“, ამბობს ბატონი რობერტი, საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს და ერთგვარად გვამხნევებს კიდეც:***

„სიმართლე გითხრათ, ბავშვობაში, როგორც ყველას, მიყვარდა თეატრი, მაგრამ მერე შემძულდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ სამყაროს უფრო ფართოდ და მნიშვნელოვნად შევხედეთ, ამას დაემთხვა „ფრანგული ახალი ტალღის“ დაბადება. ძალიან ცნობილი კინორეჟისორები აღმოჩნდნენ საქართველოში: თენგიზ აბულაძემ და რეზო ჩხეიძემ გადაიღეს „მაგდანას ლურჯა“, ოთარ იოსელიანმა – „გიორგობისთვე“ და ბუნებრივი იყო, რომ ახალგაზრდა კაცს უფრო უყვარდა კინო, ვიდრე თეატრი. თეატრში მე ვხედავდი რაღაც ცრუ, ყალბ ხელოვნებას. მსახიობები თამაშობდნენ რაღაც პათოსით და ამიტომ არ მიყვარდა ის. ჩვენთან სკოლაში ოთარ იოსელიანს ჰქონდა დრამწრე და მინდოდა გავმხდარიყავი მისი წევრი, მაგრამ არ მიმიღო, ჩათვალა, რომ უნიჭო ვარ. შემდეგ, ეტყობა, ნაცნობობით იმოქმედეს მასზე და დამაკავა ზანგის როლზე. პიესა რასიზმზე იყო, მე უსიტყვო როლი მქონდა, შავად შემღებეს – ბიჭუნა ზანგი გავხდი. როცა მერევე კლასში ვიყავი, ელენე ახვლედიანმა გადაწყვიტა დაედგა გოგოლის „რევიზორი“, მე ვთამაშობდი გოროდნიჩის, ხოლო ხლესტაკოვს – ელენეს მეგობრის, რიხტერისა და დორლეაკის, ცნობილი პიანისტის და მომღერლის დისშვილი, რომელიც რუსეთიდან ჩამოუყვანეს მას გამოსასწორებლად. თუმცა მგონია, რომ მე-8 კლასელები ვერ მოახერხებდნენ მის დადგმას და კრახით დამთავრდა ეს მცდელობა.

ერთი იყო კიდევ... მამაჩემი, რომელიც სანდრო ახმეტელის შვილის მეგობარი იყო, ხშირად მიყვებოდა მასზე და მის შემოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, რომ საშიშროება იყო, რადგან მას შემდეგ, რაც ახმეტელი დახვრიტეს, ყველა სურათზე შავი საღებავი იყო გადასმული, როგორც ხალხის მტრისა, აკრძალული იყო მისი სახის ჩვენებაც კი.“

***შეიძლება არასდროს გაგჩენიათ კითხვა – ვინ იქნებოდა ის, რომ არა რეჟისორი? დიახ, რთულია წარმოვიდგინოთ რობიკო თეატრის გარეშე და თეატრი რობიკოს გარეშე? თუმცა, როცა ამ შეკითხვით მივმართეთ, ძალიან საინტერესო რამ შევიტყვეთ.***

„მოსკოვში არ გამიშვეს კინოფაკულტეტზე, თბილისში კი მაშინ არ იყო. ოქროს ატესტატით ვიდექი ზემელის კუთხეში და ვფიქრობდი, საით წავიდე – თეატრალურ ინსტიტუტში თუ უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკურზე-მეთქი? ამ დროს შემხვდა ჩემი ძალიან ახლო მეგობარი, ებრაელი ნამთალიშვილი და ვკითხე, თუ სად ჩააბარა ატესტატი, ფიზიკა-მათემატიკურზეო, მითხრა. ხოლო როცა თვითონ მკითხა, შენ სად ჩააბარეო, ჯინაზე ვუთხარი – თეატრალურზე-მეთქი, თუმცა ატესტატი ჯიბეში მქონდა. ასე ჯინიანობით აღმოვჩნდი თეატრალურ ინსტიტუტში.“

***„ასულნი“ ეს ის სპექტაკლია, რომელმაც ბევრჯერ მოგვაბრუნა უკან, დაგვაფიქრა, განგვაცდევინა და გვაგრძნობინა.. .ვიხილეთ წარსული, აწმყო და გაგვიჩნდა მომავლის შიში... ახლაც ჩაგვესმის ყურში სიტყვები „წყვდიადი არ დასრულდება.“ ნუთუ მართლა ფიქრობს რეჟისორი, რომ წყვდიადი არ დასრულდება?***

„ხშირად რეჟისორს და მწერალს უხდებათ ცოტა გააზვიადონ სურათი, ადამიანს ატკინონ გული, ცოტა დააფიქრონ, ცოტა გააბრაზონ კიდეც. ბევრი ამბობს: „რა არის, რა პესიმიზმია.“ ეს ტერმინები მესმის ხალხისგან, თეატრმცოდნეებისგან. მახსენდება მამარდაშვილის ნათქვამი: ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხვალ იქნება უკეთესი მდგომარეობა. ის ამბობს, რომ პრინციპში არაფერი შეცვლილა, გრძელდება ერთი და იგივე, ჩვენ ვუცდით რაღაც უკეთესს, ის კი არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრაზა შექსპირს ეკუთვნის, მას ვერ დააბრალებთ, რომ არ უყვარდა ცხოვრება, პირიქით, ის სავსე იყო ვნებებით, ეს იმისთვის არის ნათქვამი, რომ გონს მოვეგოთ.

**ის თემები, რომლებიც ამ სპექტაკლშია, თქვენგან არის წამოსული და ჩემში, როგორც სარკეშია არეკლილი. შეიძლება თქვენ არ შეგიძლიათ, როგორც მე არ შემიძლია, ისეთი ანალიზი გავუკეთო იმიტომ, რომ ეს ისე ახლოა და მტკივნეული, ისეთ ემოციებს ბადებს ჩვენში, რომ გვიშლის გააზრებას ამ მოვლენების, მაგრამ უბრალოდ არ შემეძლო, ამაზე არ მელაპარაკა...“**

***როცა რობერტ სტურუას შემოქმედების შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებელია, ვახსენოთ შექსპირი, რადგან ის მისი შემოქმედების მთავარი შემოქმედია... სადაც რიჩარდი, ჰამლეტი, მეფე ლირი, მაკბეტი ახალ, განსხვავებულ სახეებად გარდაიქმნებიან რეჟისორის მიერ... რა იქნებოდა, რომ არა შექსპირი?***

„რომ არა შექსპირი? არ ვიცი, ალბათ მოვძებნიდი რამე სხვას... **პირველი შექსპირი,**



**რომელიც დავდგი, რიჩარდ მესამე იყო და უნდა გითხრათ, რომ სპექტაკლი არ გამომივიდა... მაგრამ მერე მოხდა საოცრება, რაც შეიძლება მხოლოდ თეატრში მოხდეს...** გია ყანჩელმა ამ დროს შექმნა მუსიკა „ხანუმასთვის“, რომელიც გიორგი შენგელაიას უნდა გადაეღო, სადაც სოფიკო ჭიაურელს უნდა ეთამაშა. ამ დროს სოფიკო გაეყარა გიორგის და გაჰყვა ცოლად კოტე მახარაძეს, ამიტომ ეს ფილმი არ გადაიღეს და დარჩა მუსიკა, რომელიც შემდეგ გიამ მე მომასმენინა. ჩვენ მას პირობითად დავარქვით რექტაიმი, მე ის გამოვიყენე რიჩარდ მესამის მთავარ თემად და უეცრად ამ სპექტაკლში აღმოჩნდა საოცარი იუმორი. შექსპირის მცოდნე ერთი ინგლისელი წერდა, რომ ეს არის ყველაზე მხიარული ტრაგედია და ეფექტი ამ ტრაგედიისა იმაშია, რომ რიჩარდი უზიარებს თავის საშინელ გეგმებს მაყურებელს, ეუბნება, რომ მე ახლა მოვკლავ ჩემს ერთ ძმას, მერე მეორეს, მერე ავალ ტახტზე; მაყურებელი ხდება მისი კრიმინალური გეგმის მესაიდუმლე და უკვე ამაშია დიდი ირონია. მუსიკამ ის ცინიზმი, რომელიც აქვს მთავარ გმირს უფრო მკვეთრად და მხიარულად წარმოაჩინა. რიჩარდი ხომ არ თვლის, რომ ის ბოროტია, ის ამბობს, რომ კუზიანი ვარ, მე არავინ არ მცემს პატივს, მე დამცინიან, მაგრამ მე ვიქნები ყველაზე პირველი. საერთოდ, თუ თეატრში ჩაგივარდა რაღაც, მერე იქიდან გააკეთო კარგი სპექტაკლი, ძალიან რთულია.“



***რიჩარდ მესამე ახსენა და უცებ გაგვახსენდა მისი ცნობილი ფრაზა: „ღმერთია მოწმე, არ მინდოდა, თქვენ მაიძულეთ!“ საინტერესოა, თავად რობიკოს რა არ უნდოდა და აიძულეს?!***

„ასეთი რამე არ იყო. მე ბევრი პიესა დავდგი შეკვეთით, რადგან თეატრში მოვედი ძალიან ახალგაზრდა, მხატვრული ხელმძღვანელი მეუბნებოდა – მოდი, ეს დადგი... თუ არ მომწონდა, მე არ ვდგამდი. მაგალითად, ახლა მახსენდება პირველი პიესა, რომელსაც ერქვა „იზუზუნე ფუტკარო“, ეს იყო ქართულ ფუტკარზე, რომელსაც ყველაზე გრძელი ნესტარი ჰქონდა, კოლმეურნეობაში ხდებოდა მოქმედება, სადაც სკები დგას. ნუ, წარმოუდგენელი რაღაცა იყო და უარი ვთქვი. ეს, რაც მახსოვს... ბევრ რამეზე მითქვამს უარი. „სეილერის პროცესი“, „ხანუმა“ ბევრი სპექტაკლი დავდგი იმიტომ, რომ თეატრს სჭირდებოდა, შეიძლება არავინ არ მითხრა ეს, მაგრამ როცა თეატრს რაღაც სჭირდება, გარკვეულ მსხვერპლზე მიდიხარ. სიმრთლე გითხრათ, არ მომწონდა პიესა „ხანუმა“, მაგრამ მერე, როდესაც დავიწყეთ მუშაობა, აღმოჩნდა, რომ იგი იყო მსახიობებისთვის რაღაც გენიალური მასალა. მათ აქ ასი პროცენტით გამოავლინეს საკუთარი ნიჭი... ეროსი მანჯგალაძემ, რამაზ ჩხიკვაძემ, სალომე ყანჩელმა, ჯემალ ღაღანიძემ, ბელა მირიანაშვილმა, ტრისტან ყველაიძემ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგეს იმ სამყაროში, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია.“

***როგორც თავად სტურუა ამბობს, „თეატრში სიარული ეს კულტურის ნაწილი უნდა გახდეს. ჯერ უნდა მიხვიდე თეატრში, შემდეგ იგრძნო და შეიყვარო!“ მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? რა არის ის ძალა, რომელმაც ადამიანი შეიძლება მიიყვანოს თეატრამდე?***

„მახსოვს, ბებიაჩემი თითქმის ყოველ დღე ყიდულობდა ბილეთებს დილის სპექტაკლებზე. შემდეგ, როცა გავიზარდე, მცირე პენსიის გამო ყიდულობდა მხოლოდ ერთს, ჩემთვის და მიშვებდა მარტოს. ასე გავიგე, რა არის თეატრი. უცბად შეიყვარო ის, არ არსებობს, რაღაცამ უნდა მოგცეს ბიძგი. მე ვგულისხმობ იმ ბავშვობას, რომელშიც შენ უნდა დაიწყო გაცნობა ისეთი ხელოვნების, როგორიც არის თეატრი. მარტო ხელოვნებაც ხომ არ არის – ის გვიყვება მშობლიურ ენაზე იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც შეიძლება  ვერც ამჩნევ ცხოვრებაში.“

***ჩვენს შემთხვევაში ეს ბიძგი იყო საგანმანათლებლო-სახელოვნებო პროექტი „სტურუას შექსპირის სამყარო“, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რუსთაველის თეატრი ახორციელებს სამი წელია და წელს უკვე მასში სკოლებიც ჩაერთნენ. მოდის მაესტრო, სტუდენტებსა და მოსწავლეებს ესაუბრება მისეულ შექსპირულ დადგმებზე... მოგვეცა საშუალება, რომ გვეკითხა, რატომ აკეთებს ამას, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის ჩვენთან შეხვედრას?***

„მე არასდროს მყოლია სტუდენტები, არასდროს არ მყავდა კურსი... ერთხელაც დამიძახეს დადგიო სპექტაკლი... ასეთი პრაქტიკაა თეატრალურ ინსტიტუტში, რომ შენი პედაგოგი დგამს პირველ სადიპლომო სპექტაკლს, ხოლო მეორეს დგამს მოწვეული რეჟისორი, რომ ბავშვებს, სტუდენტებს გაეხსნათ აზრი, რომ არსებობენ კიდევ სხვა რეჟისორები, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ. დამიძახეს დასადგმელად, თამარ ჩიხლაძის პიესა იყო „როლი დამწყები მსახიობი გოგონასთვის.“ მაშინ ერთ რამეს მივხვდი, როცა შენ ასწავლი, ამავე დროს შენც სწავლობ რაღაცას. ხშირად ახალგაზრდებმა არ იციან საკუთარი იდეების ძალა, სამაგიეროდ, მე უფრო ვხვდები ამას, ვაკეთებ კორექტურას და მეც ვახალგაზრდავდები. ისინი

ჩემგან რაღაც ცოდნას იღებენ, მაგრამ მე ვიღებ შეიძლება უფრო მეტს... **ამიტომაც, როცა მოვიდვარ თქვენთან, მე მოვდივარ არა მარტო იმისათვის, რომ დავიკმაყოფილო რაღაც ამბიციები, რომ როგორც მენტორი, ვდგავარ სცენაზე და რაღაცას გიხსნით და საოცრებებს გიყვებით, არამედ ეს, რაც თქვენ მოგაქვთ, აი, ეს უფრო მაინტერესებს მე... მე ჩემ გამო მოვდივარ თქვენთან და არა მხოლოდ თქვენ გამო.“**



***თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ საქართველოში ზოგადად განათლების დონე იკლებს, რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?***

„როცა მე ვამბობ, რომ განათლების დონე იკლებს, მე ვგულისხმობ, რომ დღეს ლიტერატურას ნაკლებად კითხულობენ და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას... მართალია, ახლა უკვე შესანიშნავად თარგმნიან, მაგრამ კითხულობენ კი? სამი დღის წინ ვიყავი წიგნის მაღაზიაში და უბრალოდ განვცვიფრდი, ისე მომეწონა წიგნები, რომლებსაც უშვებს საქართველო...

**ხშირად ჟურნალისტები მოდიან პრემიერის წინ და შეკითხვები, რომლებიც მათგან მესმის, ძალიან მაღიზიანებს, ამიტომაც ხშირად უხეშად ვპასუხობ ხოლმე. მათ არ იციან, ვინ არის დრამატურგი, ეს რა პიესაა, თხოულობენ, რომ შეხვდნენ მსახიობს, რომელიც დიდი ხანია გარდაიცვალა...** აი, სწორედ აქედან გამომაქვს ეს დასკვნა. შეიძლება მე მეშლება, არ არსებობს თაობა, რომელიც არ ამბობდა, ჩვენ დროს უფრო მეტს ვკითხულობდითო. როცა ახალგაზრდა ვიყავი, იგივე ფრაზები მესმოდა ბებიაჩემისგანაც, რასაც მე ვამბობ ახლა. მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩემს სიტყვებში გარკვეული სიმართლე არის, ეს ხომ ჰაერშიც იგრძნობა?“

***გადის დრო და მაესტრო ისევ შექსპირს უბრუნდება. იულიუს კეისარი – სპექტაკლი, რომელმაც რობიკოს შექსპირის სამყარო კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა. რით განსხვავდება ის ადრეული დადგმებისაგან?***

„ჟანრი ასეთია, იულიუს კეისარი – ფრაგმენტები. მე მთელ სპექტაკლს არ ვდგამ, უბრალოდ, სცენა იქნება, როგორ მოკლეს იულიუს კეისარი და სულ რაღაც 10 წუთიანი სცენა მას შემდეგ... ეს უკვე თავისებური დიდი სიახლეა ამ პიესის დადგმაში. პიესაში მკვლელობის შემდეგ გატარებულია იდეა, რომ თუ შენ ჩაიდინე რამე მკვლელობა, უსათუოდ უნდა დაგსაჯოს ღმერთმა, აქ არასდროს არ იმარჯვებს კრიმინალური გმირი... მოქმედება გადატანილია ჩიკაგოში, აი, იმ ბანდიტურ პერიოდში, როცა სახელმწიფოს შეებრძოლა მისი კოპიო კრიმინალური სამყარო. ეს ყველაფერი დაიწყო იმ კანონის გამო, რომ აიკრძალა ალკოჰოლური სასმელები და ჩამოყალიბდა ძალიან საშიში მაფიოზური სტრუქტურები. ამერიკამ მოახერხა იქიდან გამოსვლა, მაგრამ მე მგონია, ამ რევოლუციის შედეგად კიდე დიდი უბედურება გველის ყველას. ამას ვეხები ამ პიესაში. ვადარებ პოლიტიკას მაფიურ სტრუქტურებს.“

ინტერვიუ დასასრულს უახლოვდებოდა, ჩვენ კი მისი უშუალობით აღფრთოვანებულები ვერ ვმალავდით ემოციებს... უცებ წამოგვცდა: „აცნობიერებთ, ბატონო რობიკო, რომ უკვდავი ხართ?“ გაეცინა, თავმდაბლობა არჩია და „არა, რას ბრძანებთო“, გვიპასუხა.

რუბრიკა: პუბლიცისტიკა



# გუბერნატორის არჩევნები

ავტორი: მარკ ტვენი

ამ რამდენიმე თვის წინათ დამოუკიდებელთა პარტიამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა ნიუ-იორკის დიდი შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე. კენჭი უნდა მეყარა მისტერ ჯონ სმიტისა და მისტერ ბლენკის წინააღმდეგ, რომელთა კანდიდატურები სხვა პარტიებმა წამოაყენეს. ვგრძნობდი, რომ ამ ჯენტლმენებთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა მქონდა – შეუბღალავი რეპუტაცია. უბრალოდ რომ გადაგეკრათ თვალი გაზეთებისათვის, მიხვდებოდით, რომ თუკი ოდესმე ჰქონდათ ჩემს მეტოქეებს კარგი სახელი, ეს დრო უკვე წარსულს ჩაბარებოდა: ათასი ჭუჭყი მოსცხებოდათ ამ ბოლო წლებში. თავი მომქონდა ჩემი უპირატესობით და გახარებული ვიყავი. თუმცა ერთ რამეზე მაინც მეთანაღრებოდა გული – ჩემი გვარი ყალთაბანდებთან ერთად უნდა ეხსენებინათ. სულ უფრო და უფრო მაწუხებდა ეს ფიქრი. ავდექი და ბებიაჩემს მივწერე ასე და ასე-მეთქი. პასუხს არ დაუგვიანია, ბებია მწერდა:

„მთელი შენი დღე და მოსწრება პატიოსნად და სინდისიერად იქცეოდი; ძეხორციელს ვერ ნახავ, თუნდაც ერთი ბეწო უსინდისობა ახსოვდეს შენი. ეგ შენი მეტოქეები ხომ ხედავ, რა ხალხიც ყოფილან – გაზეთებში ჩაიხედე და გაიგებ. შენ თვითონვე განსაჯე – გეკადრება კი თავი დაიმციროა და საჯაროდ შეებრძოლო მაგისთანა ხალხს!“

მეც ეს არ მტანჯავდა? მთელი ღამე თეთრად გავათენე, თვალი არ მომიხუჭავს. მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და მეც თანხმობა განვაცხადე, გადავწყვიტე გამარჯვებამდე მებრძოლა.

დილით, საუზმეს რომ შევექცეოდი და უგულისყუროდ ვათვალიერებდი გაზეთებს, უცებ ასეთ შენიშვნას მოვკარი თვალი და სახტად დავრჩი.

„**ც რ უ  მ ო წ მ ე!** იქნებ ახლა მაინც ინებოს ბატონმა მარკ ტვენმა, როგორც გუბერნატორობის კანდიდატმა, და გულწრფელად აღიაროს – როგორ მოხდა, რომ 1863 წელს კოხინ ჩაინას ქალაქ ვაკავაკში ოცდათოთხმეტმა მოწმემ ამხილა მისი სიყალბე და ცრუ ფიცი: თურმე უმწეო ქვრივი დედაკაცისათვის ერთი უბადრუკი მიწის ნაკვეთის წართმევა ეწადა, რომელზედაც რამდენიმე ბანანის ხე იდგა. ეს იქნებოდა სრული განადგურება საბრალო დედაკაცისა, რადგან მის ღარიბ ოჯახს იმ მწირი მიწით ედგა სული, სხვა არაფერი ებადათ. მისტერ ტვენი ვალდებულია, განუმარტოს ეს ხალხს, რომლის მხარდაჭერასაც იგი ელის არჩევნებში. გაბედავს?“

ლამის გული გამისკდა! რა საშინელი, არაადამიანური ცილისწამებაა! კოხინ ჩაინა თვალით არ მენახა! ვაკავაკი პირველად მესმოდა! ბანანის ხე და კენგურუ ჩემთვის ერთნაირი ცნება იყო. აღარ ვიცოდი, რა მექნა. სიბრაზისაგან ღონე წამერთვა. ის დღე ისე მიიწურა, რომ ვერაფერი ვიღონე. მეორე დღეს იგივე გაზეთი წერდა:

„**ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო  ა მ ბ ა ვ ი!** – უნდა შევნიშნოთ, რომ კოხინ ჩაინას ცრუ ფიცთან დაკავშირებით მისტერ ტვენი საეჭვოდ დუმს“.

(ამ დღიდან მოკიდებული, საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე ეს გაზეთი სულ „შერცხვენილ ფიცისგამტეხ“ მისტერ ტვენს მიწოდებდა).

ამას მოჰყვა მეორე გაზეთის ცნობაც:

„**ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ა  გ ა ვ ი გ ო თ**, ინებებს თუ არა გუბერნატორობის ახალი კანდიდატი, განუმარტოს თავის ამომრჩევლებს (რომელთაც თავი უნდა გადადონ და ხმა მისცენ მას!) მონტანას წვრილმანი ამბები, სადაც ჯარის ამხანაგებს ათასი რამე ეკარგებოდათ და მერე კი ყოველთვის ან მისტერ ტვენის ჯიბეში ან მისივე „ჩემოდანში“ (ერთ ძველ გაზეთში, რომელშიაც ის თავის ხარახურას ინახავდა) აღმოაჩენდნენ ხოლმე. ბოლოს ამხანაგებმა თავს იდვეს მეგობრული სამსახური გაეწიათ და ჭკუა ესწავლებინათ მისთვის – კუპრში ამოთხვარეს, გარედან ბუმბულები მიაყარეს, ჯოხზე გააკრეს და მთელი ქალაქი შემოატარეს; მერე კი ურჩიეს, სხვა ოთახში გადაბარგებულიყო. საინტერესოა, ინებებს თუ არა მისტერ ტვენი ამის განმარტებას?“

ასეთი საძაგლობა გაგონილა?! ჩემს დღეში არა ვყოფილვარ მონტანაში.

(იმ დღიდან მოყოლებული, სულ „მონტანელ ქურდ“ ტვენს მიწოდებდა ეს გაზეთი).

ამის შემდეგ ისეთი შიშითა და სიფრთხილით ვიღებდი გაზეთს ხელში, რა სიფრთხილითაც საბანს გადასწევს კაცი, რომელსაც ლოგინში შხამიანი გველი ეგულება.

ერთხელ ასეთ შენიშვნას მოვკარი თვალი.

„**ც ი ლ ი ს მ წ ა მ ე ბ ე ლ ს  ნ ი ღ ა ბ ი  ჩ ა მ ო ხ ს ნ ე ს!** ფაივ-პოინტსელმა ესკვაირმა მაიკლ ოსფლანაგანმა და უოლსტრიტელმა მისტერ კეტი მალიგანმა და მისტერ სნაბ რაფერტიმ ფიცით დაადასტურეს, რომ მისტერ ტვენის მტკიცება, თითქოს ჩვენი ღირსეული კანდიდატის მისტერ ჯონ სმიტის პაპა ყაჩაღობისთვის ჩამოეხრჩოთ, თავიდან ბოლომდე მოჭორილია. განა შემაძრწუნებელი არ არის, რომ ზოგიერთი კარიერისტი ეგოისტური

მიზნების განსახორციელებლად აღარაფერს ეპუება და მიცვალებულსაც კი არცხვენს! ამას ვერ მოითმენს პატიოსანი ხალხი. ვურჩევთ შეურაცხყოფილ და დამცირებულ ხალხს, საკადრისად გაუსწორდნენ ცილისმწამებელს!“

ბოლო ფრაზამ მალე გამოიღო შედეგი. იმავე ღამეს იძულებული შევიქენი ლოგინიდან წამოვმდგარიყავი და უკანა კარებიდან გავპარულიყავი. „შეურაცხყოფილ-დამცირებული“ ხალხი კი ჩემს სახლში შეიჭრა, მინები ჩაამსხვრია და ზოგ-ზოგი რამე აწაპნა.

ღმერთმა ხომ იცის, მისტერ სმიტის პაპისათვის ცილი არასოდეს დამიწამებია. მართალი თუ გინდათ, არც კი ვიცოდი – ასეთი კაცი თუ არსებობდა ქვეყანაზე.

იმ დღიდან მოკიდებული ეს გაზეთი სულ „საფლავების შემგინებელ“ ტვენს მიწოდებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ თვალში მეცა კიდევ ახალი შენიშვნა:

„**ს ა ნ უ კ ვ ა რ ი   კ ა ნ დ ი დ ა ტ ი**. – მისტერ მარკ ტვენი წუხელ გამანადგურებელი სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, მაგრამ დამოუკიდებელთა პარტიის გაფართოებულ მიტინგზე სულაც არ გამოცხადებულა! მისი ექიმი დეპეშით იტყობინებოდა, გაქანებული ეტლის ქვეშ ჩავარდა, ფეხი ორგან აქვს გადატეხილი და ჯოჯოხეთური ტკივილები სტანჯავსო, და სხვა ამნაირი მონაჩმახები. დამოუკიდებელთა პარტიის წევრები ბევრს ეცადნენ, მიეჩქმალათ საქმის ნამდვილი არსი და გამამართლებელი მიზეზები ეპოვნათ იმ სუბიექტისათვის, რომელსაც ისინი მებაირახტრობას აკისრებენ.

მაგრამ წუხელვე შეუნიშნავთ სიმთვრალისაგან სახეშეშლილი ვიღაც კაცი როგორ წვალებით შებარბაცდა მისტერ ტვენის სასტუმროში. დამოუკიდებლები ვალდებული არიან დაამტკიცონ, რომ ეს გამოლენჩებული პირუტყვი მარკ ტვენი არ ყოფილა. როგორც იქნა, ნიღაბი მოეხსნათ! ამ ფაქტს სადღა დაემალებიან! ხალხის ხმა ჰქუხს და პასუხს მოითხოვს – ვინ იყო ეს კაცი?“

დაუჯერებელი იყო, წარმოუდგენელი! როგორ შეიძლებოდა ჩემზე ასეთი სიბილწე ეფიქრათ! სამი წელი ისე მიიწურა, ერთი წვეთი ღვინო არ ჩამიკარებია პირში, არც ელი, არც ლუდი, არც სხვა რამ სასმელი.

მაგრამ დრომ მართლაც თავისი ქნა – სულაც არ მწყენია, როცა ამოვიკითხე „გამოუსწორებელი ლოთი ტვენი“; ვიცოდი, რომ არჩევნების დამთავრებამდე შემრჩებოდა ეს სახელი.

ამასობაში დაიძრა და წამოვიდა ჩემი მისამართით ანონიმური წერილები, დახლოებით ასეთი შინაარსისა:

„იმ უბედურ დედაბერზე რას იტყვით, რომელმაც მოწყალება გთხოვათ, და თქვენ კი პანღური ამოჰკარით?

**პ ო ლ   პ რ ა ი**“.

ანდა:

„ზოგ-ზოგი თქვენი ბნელი საქმე ჩემს მეტმა არავინ იცის. რამდენიმე დოლარს თუ არ გამოიმეტებთ, ყველა გაზეთი გაიგებს.

**ჰ ე ნ დ ი   ე ნ დ ი**“.

მალე რესპუბლიკელების მთავარმა გაზეთმა ამომრჩეველთა დაქრთამვაში დამდო ბრალი, ხოლო დემოკრატების ორგანომ ფულის გამოძალვა დამწამა (ამრიგად, ორი ახალი სახელი შევიძინე: „ტვენი – ბილწი გაიძვერა“ და „ტვენი – საზიზღარი ყალთაბანდი“).

ბოლოს ისეთი აურზაური ატეხეს გაზეთებმა და ისეთი დაჟინებით მოითხოვდნენ ჩემგან პასუხის გაცემას წამოყენებულ ბრალდებებზე, რომ დუმილი აღარ შეიძლებოდა, ჩვენი პოლიტიკური კარიერა საბოლოოდ დაიღუპებოდა. მეორე დღეს ერთ-ერთ გაზეთში მართლაც დაიბეჭდა ასეთი შენიშვნა:

„**ა მ   ვ ა ჟ ბ ა ტ ო ნ ს   ვ ე რ   უ ყ უ რ ე ბ თ!** – დამოუკიდებელთა პარტიის კანდიდატი დაჟინებულ დუმილს არჩევს. ან კი რა უნდა ქნას, რაც

ბრალდებები წაუყენეს, სულ დადასტურდა. მაშ, რატომ სდუმს ასე?! ამ ვაჟბატონს ვერ უყურებთ – ამ შერცხვენილ ფიცის გამტეხს, მონტანელ ქურდს, საფლავების შემგინებელს, გამოუსწორებელ ლოთს, ბილწ გაიძვერას და საზიზღარ ყალთაბანდს!

კარგად დააკვირდით, ყოველი მხრიდან შეხედეთ და მერე თვითონვე ბრძანეთ – მაინც მისცემთ თქვენს პატიოსან ხმებს ამ გაიძვერას, რომელმაც თავისი ბნელი საქმეების გამო ამდენი ბინძური მეტსახელი დაიმსახურა და ენაც ვერ დაუძრავს, რომ ერთი ბრალდება მაინც უარყოს“.

სხვა გზა აღარ იყო, დავჯექი და საპასუხო წერილების წერას შევუდექი.

მაგრამ წერა არც კი დამემთავრებინა, რომ ახალი საშინელი ცილისწამება მომიგონეს: ბრალს მდებდნენ საგიჟეთის დაწვაში, რომელიც ჩემი სახლის წინ იდგა და, თითქოს, ფანჯრიდან ხედს მიმახინჯებდა, ხალხიც შიგ გამობუგაო. გავმწარდი კაცი. მერე დამწამეს – ალალი ბიძა მოწამლა გაძარცვის მიზნითო. თავგამოდებით მოითხოვდნენ გვამის გაკვეთას. შიშმა შემიპყრო, არ გავგიჟდე-მეთქი. ესეც არ მაკმარეს.

ერთ დღეს ერთ-ერთ წინასაარჩევნო კრებაზე სხვადასხვა ფერის ცხრა ჩამოძონძილი ბალღი მომისიეს. ჩამომეკიდნენ ეს ბავშვები ფეხებზე და მორთეს ჩხავილი – „მამა, მამაო!“

დავთმე! დროშა დავუშვი და იარაღი დავყარე. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო კამპანიის ჩატარება ჩემს ძალღონეს აღემატებოდა. დავჯექი და დავწერე – ჩემს კანდიდატურას ვხსნი-მეთქი, და ხელი მოვაწერე.

„პატივისცემით, თქვენი ოდესღაც პატიოსანი, ამჟერად კი შ. ფ., მ. ქ., ს. შ., გ. ლ., ბ. გ., და ს. ყ.

**მ ა რ კ  ტ ვ ე ნ ი**“.

*ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ*

ამერიკული ნოველა (ორ ტომად). შეადგინა ციალა თოფურიძემ. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1967.

# ხელით წერის სიყვარული

ავტორი: ქეთი კვიტატიანი



დღეს ალბათ ადამიანები ყველაზე ნაკლებად ცუდი კალიგრაფიის გამო დარდობენ. ყველამ ზუსტად იცის, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მათგან მხოლოდ ბეჭდურ ტექსტებს მოითხოვენ და მთელი ცხოვრების განმავლობაში შესაძლოა ხელით სულ რამდენიმე სიტყვის ან ფრაზის ჩანიშვნა მოუწიოთ. წერის კულტურა ყოველდღიურობას ჩამოშორდა და ერთგვარ გატაცებად თუ არტთერაპიად იქცა. ადამიანებს, რომლებიც ხელით წერის „ტრადიციას“ ინარჩუნებენ, სხვადასხვა კონკურსიდან თუ გაიცნობ, განსაკუთრებული მზრუნველობითა და შემოქმედებითი მუხტით შექმნილ მათ ნაწერ-ნახატებს კი – გამოფენებიდან... ასე გავიცანით კონკურსის – „ქართული კალიგრაფია“ – ერთ-ერთი ფინალისტიც ნიკა ღუნაშვილი, რომელიც 15 წლისაა და რუსთავის 22-ე საჯარო სკოლაში სწავლობს. ნიკა წელს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ რჩეული გახდა, როგორც ამ კონკურსის მონაწილე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კალიგრაფი. ის 8 წლის ასაკში დაინტერესებულა ასოების ლამაზად და მოხდენილად გამოყვანის ხერხებით, ყველაზე მეტად ე. წ. კიდურყვავილოვანი გელათური სტილი ხიბლავს, საზედაო ასოების გასაფორმებლად დღემდე ამ სტილს მიმართავს. „თითოეული საზედაო ასოს დამუშავებას დაახლოებით 10-15 წუთი სჭირდება.



სტანდარტული სიტყვების გამოყვანას მაქსიმუმ 3-4 წუთი. ყველაფერი კარგად უნდა გათვალო, რომ ასო



ლამაზი და დახვეწილი გამოვიდეს. კალიგრაფობა ჩემთვის იდუმალებაა, ის ჰობიზე მეტია. წერის დროს საოცარი გრძნობა მეუფლება ხოლმე. ამ დროს ჩემ თვალწინ იშლება ქართული დამწერლობის კულტურა, რომელმაც განვითარების ბევრი საფეხური გაიარა, და ყველა ეტაპზე ლამაზი და მოხდენილია. რთულია ამის სიტყვებით აღწერა... მსოფლიოში არაა ისეთი ქვეყანა, რომელსაც სამი დამწერლობა აქვს, თან სამივე ასეთი დახვეწილი. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, ქართულ კალიგრაფიასა და დამწერლობას სათანადო მოფრთხილება და დაფასება სჭირდება“ (ნიკა ღუნაშვილი).

„ნიკა 8 წლისა იყო, კალიგრაფიის წრეზე რომ შევიყვანე რუსთავის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სამრევლო სკოლაში, მანამდე გალობაზე, საღვთო სჯულის წრეზე და ხატვაზე დადიოდა, მაგრამ ყველაზე მეტად კალიგრაფის პროფესია შეიყვარა და დღემდე ვერ წყდება ამ საქმეს“ (ნიკას დედა – ნონა ბორტიშვილი).



„კალიგრაფიის სკოლა, რომელშიც მე ქართული დამწერლობის ხელოვნებას ვეუფლები, 2009 წელს დაარსდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს უბრალოდ სკოლაა, სადაც მხოლოდ ასოების ლამაზად წერას ვსწავლობთ, ერთი დიდი ოჯახი ვართ, გვიხარია ერთმანეთის წარმატება, ყოველთვის გვერდში ვუდგავართ და ვგულშემატკივრობთ ერთმანეთს. ამ სკოლის კიდევ ერთი ხიბლი ის არის, რომ ნებისმიერ მსურველს შეუძლია კალიგრაფია და არა მარტო კალიგრაფია, სრულიად უსასყიდლოდ შეისწავლოს. ამ დაწესებულებამ დიდი როლი ითამაშა კალიგრაფად ჩემს ჩამოყალიბებაში და ამიტომ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მის დამფუძნებლებსა და მასწავლებლებს“ (ნიკა ღუნაშვილი).





**– კალიგრაფობა საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა, როდის იცლი ტექსტების გადასაწერად, რომელი ნაწარმოებების გადაწერა გიყვარს და რა სიხშირით?**

– კალიგრაფია ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ხელნაწერებს თითქმის ყოველ კვირას ვქმნი. ქართველი პოეტებისა და მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს ვწერ ხოლმე ხშირად. ხან თუ რაიმე ფრაზა მომეწონება, იმის წერას ვიწყებ. შემიძლია მთელი დღე თავაუწევლად ვიმუშავო, მართალია, ვიღლები იმიტომ, რომ ეს ძალიან შრომატევადი საქმეა, მაგრამ პროცესი იმდენად სასიამოვნოა, რომ ამას ყურადღებას ველარ ვაქცევ. ძირითადად მხედრულ, ნუსხურ და ასომთავრულ კალიგრაფიაზე ვმუშაობ, გარდა ამისა, ვამუშავებ უცხოურ დამწერლობებსაც.

„ტექნოლოგიების ეპოქაში მოზარდის ხელით წერით, კალიგრაფიული ნიმუშების შექმნით გატაცება თითქოს გასაკვირია, თუმცა ეს საქმიანობა თვითგამოხატვის, საკუთარი ინდივიდუალობის გამოვლენის წარმატებულ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ. წერის სწავლის პირველივე წუთებიდან ესმის ბავშვს მშობლებისა და მასწავლებლებისაგან: „ლამაზად წერე!" შემდეგ აქებენ, როცა კარგად გამოუვა თითოეული ასოს გრაფიკული მოყვანილობა, შემდეგ ცდილობს, კიდევ მეტად მოინდომოს, რომ გარშემომყოფთა აღფრთოვანება



დაიმსახუროს და ამასობაში აღმოაჩენს, რომ ეს ის საქმიანობაა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს. ერთი რამ ცხადია, მხოლოდ იმ საქმიანობით შეიძლება გამოავლინო მაქსიმალურად საკუთარი შესაძლებლობები, შექმნა ახალი, გასაქანი მისცე შემოქმედებით უნარებს, რომლის კეთებაც სიამოვნებას განიჭებს. მოხატულ ასოთა გრაფიკულ გამოსახულებებში თითოეული კალიგრაფის ინდივიდუალობის ამოკითხვაა შესაძლებელი. ლამაზად წერის ხელოვნების მიღმა ორიგინალური შემოქმედებითი აზროვნება შეიძლება აღმოვაჩინოთ. გარდა ამისა, კარგად განვითარებული სივრცითი, ვიზუალურ-მოტორული უნარები ლამაზად წერის ხელოვნებაში მნიშვნელოვანი დასაყრდენია. შესაბამისად, ხელით წერის ხელოვნების წახალისების სასარგებლო არგუმენტად სწორედ ჩამოთვლილი უნარები შეგვიძლია მოვიშველიოთ და კალიგრაფიით გატაცებულ მოზარდს სამომავლოდ იმ პროფესიათა ფართო არჩევანი შევთავაზოთ, რომლებშიც აღნიშნულ უნარებს გამოიყენებს“ (ფსიქოლოგი თეონა ლოლია).

**– როგორ ფიქრობ, რა პროფესიას აირჩევ მომავალში?**

– ჯერჯერობით კონკრეტულად არ მაქვს გადაწყვეტილი, თუ რა პროფესიას გავყვები მომავალში. არქიტექტორობას ვფიქრობ, თუმცა ასე დანამდვილებით მაინც არ ვიცი, ვნახოთ, რა იქნება მომავალში... მაგრამ კალიგრაფია რომ ყოველთვის იქნება ჩემი მეორე პროფესია, ამაში ეჭვი არ მეპარება. მე ყოველთვის დავუთმობ დროს კალიგრაფიული ცოდნის გაღრმავებასა და ამ ცოდნის გაზიარებას.

# ევგენიკა – მეცნიერება თუ პოლიტიკური დოქტრინა?

ავტორი: აივენგო შათირიშვილი

*„ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“*
***იულიუს ფუჩიკი***

ყოველთვის არსებობს საშიშროება მეცნიერული აღმოჩენების არამართებულად გამოყენებისა, რასაც ზოგჯერ ტრაგიკულ შედეგებამდე მივყავართ. ამის დამადასტურებელი ფაქტები საკმაოდ მრავლად მოიპოვება. გენეტიკის ისტორიაში ერთ-ერთი ამდაგვარი შავი ლაქა არის ევგენიკური მიმდინარეობა. ევგენიკას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც ჩარლზ დარვინის **ბუნებრივი გადარჩევის** თეორია მრავალმა მეცნიერმა აღიარა, მცენარეთა და ცხოველთა სელექციამ კი საოცარ წარმატებებს მიაღწია. ამ პერიოდში ჩაისახა სელექციური, კერძოდ, ხელოვნური გადარჩევის მეთოდებით ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესების იდეაც, რომლის განსახორციელებლად წარმოიშვა „მეცნიერება“ **ევგენიკა** (ბერძნ. eugenus – კარგი გვარისა). ევგენიკურ შეხედულებებს მყარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა, მაშასადამე, ევგენიკა ცრუ ანუ ფსევდომეცნიერებას წარმოადგენდა.

ევგენიკის სამეცნიერო ღირებულების განხილვამდე თვალი გადავავლოთ ისტორიას. მოსაზრება ადამიანის ბუნების კორექტირების შესახებ პირველად გამოთქმული აქვს ძველ




ევგენიკა - სიკეთე თუ ბოროტება?

ევგენიკა და მეცნიერების სხვა დარგები

ბერძენ ფილოსოფოს პლატონს (ძვ. წ. 428-347) ნაშრომში „პოლიტიკოსი“. მისი შეხედულებით, ქორწინებები სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს. ამავე ნაშრომში იგი მსჯელობს ცოლქმრული წყვილების შერჩევის პრინციპების შესახებ, კერძოდ, რა შემთხვევაშია შესაძლებელი ფიზიკურად და ზნეობრივად სრულყოფილი შვილების დაბადება. ევგენიკური იდეა ჩანასახის სახითაა მოცემული პლატონის მეორე ნაშრომშიც, კერძოდ,

„სახელმწიფოში“. პლატონის მოსაზრებით, დაუშვებელია სახელმწიფოში მესამე, დაბალი ფენის (დემოსის) წევრების ქორწინება მაღალი ფენის (ფილოსოფოსებისა და მეომრების) წარმომადგენლებთან. იდეალურმა საზოგადოებამ რჩეული მამაკაცისა და ქალის დროებითი კავშირი უსათუოდ უნდა წაახალისოს, რათა მათ სრულყოფილი შთამომავლები დატოვონ.

ძველ სპარტაში იყენებდნენ ადამიანთა კარდინალურ სელექციას – უფსკრულში ყრიდნენ ყველა ახალშობილს, რომელთაც მომავალი მეომრისათვის დამახასიათებელი თვალსაჩინო ნიშნები არ გააჩნდა. გადაწყვეტილება ამის თაობაზე გამოჰქონდათ სპარტელ უხუცესებს.

ევგენიკა  დააფუძნა გამოჩენილმა ინგლისელმა ბუნებისმეტყველმა **ფრენსის გალტონმა**, ჩ. დარვინის ნათესავმა (გალტონიცა და დარვინიც გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ერაზმუს დარვინის, შვილიშვილები იყვნენ). ფ. გალტონმა დაამკვიდრა ტერმინი „ევგენიკაც“ (1885). ევგენიკა მიზნად ისახავდა ადამიანთა მემკვიდრული ბუნების გაუმჯობესებასა და სრულყოფას სასარგებლო ნიშან-თვისებათა დაგროვებისა და საზიანო ნიშან-თვისებათა აღმოფხვრის გზით. ამის მისაღწევად, ფ. გალტონის აზრით, საჭირო იყო, ერთი მხრივ, ნიჭიერი ადამიანების გამრავლებისათვის ხელის შეწყობა (პოზიტიური ევგენიკა), მეორე მხრივ კი, დევიაციური ქცევის (ასოციალურ) პირთა რეპროდუქციის შეზღუდვა (ნეგატიური ევგენიკა).



უხუცესთა მიერ ახალშობილის ავკარგიანობის შემოწმება



ფრენსის გალტონი – ევგენიკის დამფუძნებელი

გალტონი აღიარებული ანთროპოლოგი და ფსიქოლოგი გახლდათ. მან საფუძველი ჩაუყარა ადამიანის გენეტიკას და შეიმუშავა მრავალი მეთოდი (გენეალოგიური, ტყუპთა, დაქტილოსკოპიის, თითების ანაბეჭდებისა და დერმატოგლიფიკისა), რომელთაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავთ.

ყოველთვის არსებობდა დარვინის მოძღვრების პოლიტიკურ მსოფლმხედველობად გადაქცევის საფრთხე. გალტონი ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ეს საფრთხე რეალობად აქცია. იგივე შეიძლება ითქვას ცნობილ ფილოსოფოს ჰერბერტ სპენსერზეც, რომელმაც დააფუძნა სოციალდარვინიზმის მიმართულება. სპენსერმა დარვინისეული **„უკეთ შეგუებულთა გადარჩენის“** იდეა ადამიანთა საზოგადოებას მოარგო და სრულიად სხვა შინაარსი მისცა.

დარვინის მოძღვრების მიხედვით, ახალ სახეობათა წარმოქმნა, ისევე, როგორც მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების შექმნა, სელექციური გადარჩევის შედეგია. გალტონი და სპენსერი მიიჩნევდნენ, რომ ანალოგიურად, ხანგრძლივი სელექციით შესაძლებელია ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესებაც. გალტონი წერდა: „მოგვეცით საშუალება გავაუმჯობესოთ ჩვენივე მოდგმა იმგვარადვე, როგორც სხვა ჯიშები. დაე, არსებობა გააგრძელონ კაცობრიობის რჩეულმა და არა უარესმა წარმომადგენლებმა“. სპენსერის თავგამოდებული მიმდევარი იყო კარლ პირსონი – რადიკალური სოციალისტ-უტოპისტი და ბრწყინვალე მათემატიკოსი. მან ევგენიკას ვულგარული, რადიკალურად პატრიოტული შინაარსი შესძინა. მისი სიტყვებით, სელექციას უნდა დაექვემდებარონ არა ცალკეული ადამიანები, არამედ დიდი ჯგუფები – მთელი ერები. გალტონისა და პირსონის მიხედვით, ევგენიკა აღარაა პოლიტიზებული მეცნიერება, ის მეცნიერების მსგავსი პოლიტიკური დოქტრინაა.

1900 წელს ევგენიკური იდეები მასობრივად გავრცელდა. ეს იდეა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ფართოდ მსჯელობდნენ ცოლქმრული წყვილების მეცნიერულად




ევგენიკური კლუბის წევრთა შეკრება

შერჩევის შესახებ. ყალიბდებოდა ევგენიკური წრეები და საზოგადოებები. თავდაპირველად მოვლენები მშვიდობიანად ვითარდებოდა. მართავდნენ დებატებს ევგენიკური პრინციპების გათვალისწინებით ოჯახის შექმნაზე. ძალიან მალე ევგენიკის მომხრეებმა აქცენტი რადიკალურად შეცვალეს – ისინი მოითხოვდნენ იმ პირთა ქორწინებების აკრძალვას, რომლებიც, მათი შეხედულებით, საზოგადოების მომავალს საფრთხეს შეუქმნიდნენ. ამ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ მენტალური და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირებს, ლოთებს, მეძავებს, კრიმინალებს, ძალადობაში მსჯავრდებულებს, ეპილეფსიით დაავადებულებს.

მოგვიანებით რიგ ქვეყნებში ევგენიკური პროგრამა ძლიერ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორად მოგვევლინა. მან არაჰუმანური და საშიში სახე მიიღო.

აშშ-ში ევგენიკა ძლიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალად იქცა. შემუშავდა კანონები, რომლებითაც ნებადართული იყო „გენეტიკურად არასრულყოფილი“ ადამიანების იძულებითი სტერილიზება. 1907 წელს ჯერ ინდიანას შტატში, 1911 წელს კი უკვე ექვს შტატში დააკანონეს ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების იძულებითი სტერილიზაცია, მოგვიანებით კი თითქმის ნახევარ ამერიკაში კანონით დააწესეს „გონებაშეზღუდულთა,

იდიოტთა, ძალადობაში მსჯავრდებულთა და კრიმინალური ელემენტების კასტრაცია“. 1931 წელს ამ კატეგორიას დაუმატეს „სექსუალურად გარყვნილები, ლოთები, ეპილეფსიით დაავადებულები“. ამგვარად, ამერიკა გადაიქცა ევგენიკური იდეების ფლაგმანად – 1910-1935 წლებში ამ ქვეყნის 30 შტატში 100000-მდე ადამიანის იძულებითი სტერილიზაცია განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ევგენიკური შეხედულებები ხელოვნების ნაწარმოებებშიც აისახა. ცნობილი ინგლისელი მწერლის, ბერნარდ შოუს, ნოველის – „ადამიანი და სუპერმენი“ – ერთ-ერთი გმირი ამბობს: „შიშის გამო ფილანთროპის ფარდით ვემიჯნებით ბუნებრივ გადარჩევას. სიზარმაცის გამო ვიმიზეზებთ უხერხულობასა და მორალს და ხელოვნურ გადარჩევაზე ვამბობთ უარს“. მეორე ინგლისელი მწერალი, ჰერბერტ უელსი, ხოტბას ასხამდა ევგენიკას და დასძენდა: „ზედმეტი ადამიანების მოცილება ოპიუმით უმტკივნეულოდაა შესაძლებელი“.




ᲐᲜᲢᲘᲔᲕᲒᲔᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ

XX საუკუნის დასაწყისში შეიმუშავეს ადამიანში გონებრივი შესაძლებლობების განსაზღვრის მეთოდები – ე. წ. ინტელექტის კოეფიციენტი IQ. გავრცელდა მცდარი მოსაზრება, რომ აშშ-ს თეთრკანიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის უშუალო წინაპრები – ჩრდილოეთი ევროპის მკვიდრი მცხოვრებნი (ანგლო-საქსები) გონებრივად უფრო განვითარებულნი არიან, ვიდრე აფრო-ამერიკელები, ებრაელები, სამხრეთი და აღმოსავლეთი ევროპის მკვიდრი მოსახლეობა.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგ, ევროპიდან ამერიკისაკენ ემიგრანტთა დიდი ტალღა დაიძრა. ემიგრანტთა ძირითად მასას შეადგენდნენ ღარიბ-ღატაკი, ნაკლებად განათლებული პირები. იმის შესაფასებლად, თუ რომელი მათგანი რა სფეროში იქნებოდა გამოსადეგი ამერიკისათვის, იყენებდნენ IQ-ტესტირებას, რომელიც არ ითვალისწინებდა მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკას. ამის გამო ემიგრანტები ტესტირების შედეგებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ ჩრდილოეთი ამერიკის ანგლოსაქსური წარმომავლობის მოსახლეობას, რაც არ იყო გასაკვირი – ღარიბ, დაბალი განათლების ემიგრანტებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ IQ-ტესტირებასა და ზოგიერთ ტესტურ დავალებაში მოცემული საკითხების შესახებ. მართლაც, საიდან უნდა სცოდნოდათ ევროპის პროვინციებში მცხოვრებთ, რომელთაც არაფერი სმენოდათ ჩოგბურთის ან ბეისბოლის შესახებ, რომელ მათგანში იყენებდნენ ბადეს ან როგორ გამოიყურებოდა სათამაშო მოედანი? მოგვიანებით აშშ-ში მიიღეს საკანონმდებლო აქტები და დააწესეს განსხვავებული კვოტები სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტთათვის, ხოლო 1924 წელს მიიღეს კანონი იმიგრაციის შეზღუდვის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ზუსტი გენეტიკური მეთოდებით არ იყო დადასტურებული მემკვიდრეობის გავლენა სოციალურ ქცევაზე, გავრცელდა შეხედულება, რომ დევიანტური ქცევები განისაზღვრება გენებით. ევგენიკური მეთოდებით ცდილობდნენ განეკურნათ „სოციალური“ დაავადებები, შეეწყვიტათ მენტალური დარღვევებისა თუ ასოციალური ქცევების მქონე ადამიანების გამრავლება.

ამდაგვარი პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ უხეშად არღვევდა ადამიანის უფლებებს, ხელს უწყობდა

საზოგადოებაში ნიშან-თვისებათა გენეტიკური ბუნების შესახებ არამართებულ შეხედულებათა ფორმირებას. ევგენიკის მომხრეებს მცდარად მიაჩნდათ, რომ „გამორჩეული ნიჭისა" და „არასრულყოფილების" ნიშნებს ყოველთვის აკონტროლებს გენები. შესაძლებელია პოპულაციიდან არასრულყოფილების განმსაზღვრელი გენების ელიმინაცია გადარჩევის (სტერილიზაციის) გზით. ამით ისინი სრულიად უგულებელყოფდნენ სოციალური გარემოს როლს პიროვნების ფორმირებაში.

ევგენიკური მიმდინარეობის ერთ-ერთ უპირველეს ლიდერს, ამერიკას, არც სხვა სახელმწიფოები ჩამორჩნენ. ასე მაგალითად, შვედეთში იძულებით დაასტერილეს 60000-ზე მეტი ადამიანი. მსგავსი კანონები აამოქმედეს და ადამიანთა იძულებით სტერილიზაციას მიმართავდნენ კანადაში, ნორვეგიაში, ფინეთსა და ესტონეთში. ევგენიკა აღიქმებოდა მოწინავე ფილოსოფიად, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბაქანალიაში წამყვან როლს ასრულებდნენ პოლიტიკოსები, ქვეყნის მმართველები და არა მეცნიერები, რომელთაც ვულგარული ევგენიკური მოსაზრებებისა და ჰიპოთეზებისათვის მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ.

XX საუკუნის 30-იან წლებში ევგენიკას ფართო ასპარეზი მიეცა ნაცისტურ გერმანიაში. თავდაპირველად საუბარი იყო ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანების იძულებითი სტერილიზაციის შესახებ, შემდგომ კი ალაპარაკდნენ ქვეყნის გაწმენდაზე ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისაგან, კერძოდ, ებრაელებისა და ბოშებისაგან. ჰიტლერულმა ნაციზმმა ევგენიკური პრინციპები „არასრულყოფილ" ადამიანთა პოპულაციების გასანადგურებლად გამოიყენა. 40-იან წლებში ამ მიმართულებით გერმანიამ მსოფლიო ლიდერობა მოიპოვა: ნაცისტებმა დააკანონეს იძულებითი სტერილიზაციისა და დანაშაულებრივ მკვლელობათა პოლიტიკა. ერები დაყვეს „უმაღლეს" („არიული სისხლის") და „უმდაბლეს" რასებად; გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე „რასობრივი ჰიგიენის" პრინციპებიდან გამომდინარე, მოეწყო საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც მასობრივად ანადგურებდნენ „არასრულფასოვან", ე. წ. დაბალი რასის ადამიანებს. ამ წლებში გერმანიასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოახდინეს 400000-მდე ადამიანის იძულებითი სტერილიზაცია, ჰოლოკოსტის (მასობრივი გენოციდის) მსხვერპლი გახდა მილიონობით ადამიანი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 18 თვის განმავლობაში გაზის კამერებში მოაშთეს 70000 ფსიქიკური დარღვევის მქონე იძულებით სტერილიზებული ადამიანი, რათა ჰოსპიტლებში ადგილი გაეთავისუფლებინათ დაჭრილი ჯარისკაცებისათვის.



„რასობრივი ჰიგიენის" მსხვერპლნი



ბავშვთა საკონცენტრაციო ბანაკი

მეტად საინტერესო თემაა ევგენიკა და

საბჭოთა იმპერია, თუმცა ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება ობიექტურად შესასწავლი და გასაანალიზებელი. გასაბჭოების პირველ ეტაპზე ევგენიკურმა იდეებმა გაიტაცა მრავალი გამოჩენილი რუსი გენეტიკოსი (მაგ., სერებროვსკი, კოლცოვი, ფილიპჩენკო და სხვ.), მათგან ზოგიერთი გამოთქვამდა მოსაზრებას ადამიანთა ახალი მოდგმის გამოყვანის შესახებ. ესენი უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები, რომლებიც ხუთწლედით გათვალისწინებულ გეგმას ორ წელიწადში შეასრულებდნენ. მეცნიერთა შეხედულებით, ასეთი შთამომავლობის მისაღებად საჭირო იყო სათანადოდ შერჩეული საბჭოთა ქალების ხელოვნურად განაყოფიერება პროლეტარიატის ბელადების სპერმით (უნდა აღინიშნოს, რომ სპერმით ხელოვნური განაყოფიერების მეთოდს სელექციონერები ფართოდ იყენებენ მეცხოველეობაში!).

რუს საბჭოთა ევგენიკოსთა ენთუზიაზმი და ფანტასმაგორიული იდეები გასაკვირად არ ჩაითვლება, თუკი გავითვალისწინებთ იმ პერიოდის საბჭოთა იდეოლოგიასა და რეალიებს. ბოლშევიკებმა ევგენიკა 30-იან წლებში სასტიკად ჩაახშვეს. იგი ოფიციალურად გამოცხადდა ნაცისტურ მეცნიერებად. საბჭოთა იმპერიის ბელადები – ლენინი, სტალინი, ტროცკი და მათი თანამზრახველები, ფართო გაგებით, ნეგატიურ ევგენიკურ პოლიტიკას ატარებდნენ. „პროლეტარიატის დიქტატურის“ ლოზუნგით ირღვეოდა ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ფუნდამენტური უფლებები. საბჭოთა ტერიტორიაზე მოსახლე ერები დაიყო „თანასწორუფლებიან“ მოძმე ერებად. „უფროსი ძმის“ ფუნქცია რუსეთმა „იტვირთა“. მის ნება-სურვილს ემორჩილებოდნენ „უმცროსი ძმები“ (შეადარეთ ნაცისტების მიერ ადამიანთა „უმაღლეს“ და „უმდაბლეს“ რასებად დაყოფას!). მოსახლეობაში ეძებდნენ და მასობრივად პოულობდნენ „ხალხის მტრებს“. მათი გამოვლენა და მშრომელი მოსახლეობის „გაწმენდა“



საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკი ციმბირში – „ხალხის მტრებს“ სამუშაოდ მიერეკებიან



პოლიტპატიმრები ციმბირში „კომუნიზმის მშენებლობაზე“

სუკ-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) პრეროგატივა იყო. დღის წესრიგში დადგა ახალი ტიპის – „საბჭოთა ადამიანის“ (სოლჟენიცინის ტერმინით, **Homo soveticus**) შექმნა. აიკრძალა კლასიკურ გენეტიკაში მუშაობა და მისი სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იგი ცრუ, რეაქციულ-ბურჟუაზიულ მეცნიერებად მონათლეს.

შეიქმნა ფსევდომიმართულება გენეტიკაში ე. წ. **„მიჩურინული გენეტიკა“**. საბჭოთა იმპერიის რეპრესიულ მანქანას მილიონობით უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.

დღევანდელი თვალსაწიერიდან ძნელია ითქვას, რომელი მათგანი უფრო დანაშაულებრივია – ფაშისტურ გერმანიაში „წმინდა არიული რასის“ გამოყვანის მცდელობა ევგენიკური მეთოდებით, თუ საბჭოთა იმპერიაში „საბჭოთა ადამიანის შექმნა“ სოციალური ძალადობით. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ექსტრემისტული მიდგომა სადღეისოდ ისტორიის კუთვნილებაა, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს საშიში იდეა ბოლომდე მაინც არ გამქრალა.



პოლიტპატიმრები ციმბირში „კომუნიზმის მშენებლობაზე“

ევგენიკის საწინააღმდეგოდ მრავალი არგუმენტის მოყვანაა შესაძლებელი. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

1. რთული თვისობრივი ნიშნები, როგორებიცაა ინტელექტი, ქცევა, ინდივიდურობა და სხვ., მხოლოდ გენეტიკური სტრუქტურით – გენოტიპით არ ყალიბდება. მნიშვნელოვანია სოციალური გარემოს როლი.

2. დასახელებული რთული თვისობრივი ნიშნები ერთი გენით (დომინანტური ან რეცესიული ალელით) არ განისაზღვრება. გენოტიპი ერთიანი, რთული სისტემაა და ნიშნის ჩამოყალიბება მრავალი გენის თანამოქმედებით ხორციელდება.

3. ევგენისტების შეხედულებით, ადამიანთა პოპულაციას მოეპოვება იდეალური გენოტიპის მქონე წევრები. მათში ყველა გენი ჰომოზიგოტურ მდგომარეობაშია. ამჟამად დამტკიცებულია, რომ ნებისმიერი პოპულაცია, მათ შორის ადამიანების პოპულაციაც, ჰეტეროგენულია (გაჯერებულია ფარული რეცესიული მუტაციებით). იდეალური ანუ სრულიად „ნორმალური“ გენოტიპი არ არსებობს.

4. მცდარია ასევე შეხედულება, თითქოს ადამიანთა პოპულაციებში გენეტიკურად არასრულყოფილთა რაოდენობა სრულყოფილებს აჭარბებს. დასტურდება, რომ ნებისმიერ პოპულაციაში დიდი რაოდენობითაა და შთამომავლობას ტოვებენ რეპროდუქციულად სრულყოფილი და უკეთ ადაპტირებული ფორმები.

თუ ჩატარდებოდა მკაცრი გადარჩევა სპეციფიკური ნიშნების, კერძოდ, დაავადებების მიხედვით, რასაც ევგენიკის მომხრენი გვთავაზობდნენ, მაშინ მსოფლიო კულტურას არ ეყოლებოდა ისეთი გენიოსები, როგორებიცაა მხატვრები: **პოლ გოგენი, ვინსენტ ვან გოგი,** კომპოზიტორები: **რობერტ შუმანი, გუსტავ მალერი,** მწერლები: **ნიკოლაი გოგოლი, ედგარ ალან პო, მარკ ტვენი, ჰერმან ჰესე, ერნესტ ჰემინგუეი, თეოდორ დოსტოევსკი** და სხვ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაკოტრებული და იმიჯშელახული ევგენიკის ადგილი ევფენიკამ (euphenics – ფენოტიპის გაუმჯობესება) დაიკავა. ამჟამად დადგენილია, რომ ადრე შემოთავაზებული ევგენიკური პროგრამის განხორციელება გამორიცხულია, რადგან: 1. შეუძლებელია „ნორმის“ განსაზღვრა ანუ დადგენა ადამიანის „იდეალური“ გენოტიპისა, რომელსაც ეტალონად გამოიყენებენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ ადამიანს უნიკალური და განუმეორებელი გენეტიკური სტრუქტურა (გენოტიპი) მოეპოვება; 2. ადამიანთა ნებისმიერი პოპულაცია „გენეტიკური ტვირთის“ სახით საკმაო სიხშირით შეიცავს საზიანო რეცესიულ მუტაციას.



1. რობერტ შუმანი 2. გუსტავ მალერი 3. ედგარ ალან პო 4. ჰერმან ჰესე 5. ერნესტ ჰემინგუეი 6. თეოდორ დოსტოევსკი

ყოველი ადამიანის გენოტიპი საშუალოდ ატარებს ორიდან ოთხამდე რეცესიულ ლეტალურ მუტანტურ ალელს, რომლებიც ჰომოზიგოტების სიკვდილს იწვევს.

თანამედროვე ეტაპზე ევფენიკის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა მოლეკულური ბიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის სწრაფმა განვითარებამ. ადამიანის გენეტიკისა და, ბუნებრივია, ევფენიკის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამჟამად მსოფლიოში ახალშობილთა 4-5%-ს მემკვიდრული დარღვევები აქვს. ახალშობილთა შორის სიკვდილიანობის 10-20% მემკვიდრული პათოლოგიებითაა გამოწვეული. დაავადებულ ბავშვთა 25-30%-ს მემკვიდრული დაავადებები აღენიშნება. ამჟამად მემკვიდრული დაავადებები ინტენსიურად შეისწავლება, გამოვლენილია 4000-მდე დაავადება. ზოგიერთი მათგანი მაღალი სიხშირით გვხვდება პოპულაციაში,

ზოგიც მეტად იშვიათია. დიდი თანხა იხარჯება დაუნის სინდრომით დაავადებულ პაციენტებზე, თითქმის იმდენივე, რამდენიც გრიპის წინააღმდეგ. ადამიანის გენეტიკის ერთ-ერთი განხრის, სამედიცინო გენეტიკის, მიზანია მემკვიდრულ დაავადებათა პროფილაქტიკა, ჰეტეროზიგოტი ინდივიდების (რისკის ჯგუფის) გამოვლენა, ასეთი რისკის ჯგუფებში გარკვეული სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაციების ჩატარება. ჰეტეროზიგოტ ცოლქმრულ წყვილებში აუცილებელია პრენატალური დიაგნოსტიკა და სკრინინგი. საჭიროა ახალგაზრდებს განემარტოთ, რომ გვიან ასაკში ბავშვის გაჩენა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. კერძოდ, 35 წლის ზემოთ ქალებში იზრდება ქრომოსომათა რიცხვის ცვლილებით დაავადებული ბავშვის გაჩენის ალბათობა. ხანდაზმული მამაკაცების შემთხვევაში კი იზრდება უარყოფითი დომინანტური მუტაციების ალბათობა.

რისკის შემცველია ახლონათესაური ქორწინებაც (ინბრიდინგი). ადამიანში ახლონათესაური ქორწინებები ხელს უწყობს საზიანო რეცესიული მუტანტური ალელების გამოვლენას. გაანგარიშებულია, რომ ჰეტეროზიგოტურ პოპულაციაში ყოველ 70-ე ადამიანს 1 რეცესიული ალელი აქვს 1/70 X 1/70 = 1/4900 ე. ი. 4900 ცოლქმრული წყვილიდან მოსალოდნელია, რომ საშუალოდ ერთს ეყოლოს რეცესიული ნიშნის მქონე შვილი (ე. ი. 1/4 X 1/4900). ჰეტეროგენულ პოპულაციაში რეცესიული ნიშანი 20000 ინდივიდიდან მხოლოდ ერთ ბავშვში ვლინდება. ახლონათესაური ქორწინება ამ ალბათობას ზრდის. ინბრიდინგის ხარისხს ადგენენ რეცესიული გენების სიხშირით ბიძაშვილების, დეიდაშვილებისა და მამიდაშვილების ქორწინებისას (ასეთი ქორწინება ზოგიერთ სახელმწიფოში ნებადართულია). პოპულაციაში რეცესიული გენების გამოვლენის სიხშირე იზრდება. ასეთი ოჯახების შესწავლისას გამოირკვა, რომ შვილების სიკვდილიანობა მათში 4-ჯერ მეტია. აშშ-ში ახლონათესაური ქორწინების შედეგად დაბადებულთა ადრეულ ასაკში სიკვდილიანობა 22,5%-ია, საფრანგეთში – 9,3%, იაპონიაში – 4,6%. ინბრიდინგის ხარისხი პორტუგალიაში 1,4-ს შეადგენს, ესპანეთში – 4,8-ს, ბრაზილიაში – 19,6-ს, ინდოეთში – 12,9-ს, ფიჯის კუნძულებზე კი – 29,7-ს.

ზოგიერთი გენეტიკოსის შეხედულებით, ადამიანის გენეტიკაში ევგენიკური მიმართულება არ იძლევა ანტიჰუმანურ, ფსევდომეცნიერულ შეხედულებათა დამკვიდრების საფუძველს. სადღეისოდ აქტუალური მიმართულებაა საზიანო გენების მომავალ თაობებში გადაცემის შეზღუდვა (სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაციითა და პრენატალური დიაგნოსტიკის გამოყენებით), ადამიანის „გენეტიკური ტვირთის“ შემცირება, ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს დაცვა გარემოს მუტაგენური ფაქტორებისაგან. აქტუალურ პრობლემად რჩება გენმოდიფიცირებული საკვებისა და მისი გავლენის შესწავლა ადამიანის გენეტიკურ აპარატზე.

ისმის კითხვა: არის თუ არა ევგენიკა ამჟამად საბოლოოდ უარყოფილი? ინფორმაცია გენური თერაპიის შესახებ, ადამიანის ემბრიონიდან გამოყოფილი ღეროუჯრედების სამკურნალოდ გამოყენების მცდელობა, პრენატალური და პრეიმპლანტაციური გენეტიკური დიაგნოსტიკა, სასურველი სქესის მისაღებად მამაკაცის სპერმის სელექცია, „შეკვეთით“ სასურველი ბავშვის გაჩენა და მრავალი სხვა გენეტიკური მანიპულაცია არ გვაძლევს ზემოთ დასმულ შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის საშუალებას. ბესტსელერის ავტორი, მეტ რიდლი, წიგნში „გენომი“ წერს: „ევგენიკა, მეცნიერების ეს სამარცხვინო ფურცელი, ჯერ კიდევ ცოცხლობს“. გამოჩენილი ფილოსოფოსის, ფილიპ კიტჩერის, შეხედულებით, სადღეისოდ გამოყენებული გენეტიკური სკრინინგი და ზემოთ დასახელებული მანიპულაციები **პასიური ევგენიკის** არსებობის მიმანიშნებელია.

საილუსტრაციოდ კიდევ ერთ მაგალითს დავასახელებთ: ამჟამად სინგაპურში მთავრობა „მსუბუქ“ ევგენიკურ პოლიტიკას ატარებს. მთავრობამ შეიმუშავა „სელექციის“ გამოყენებით ინტელექტის გაზრდის პროგრამა. იგი მიზნად ისახავს კომპიუტერის მეშვეობით მაღალი ინტელექტის მქონე ცოლქმრული წყვილების შერჩევას, მაღალი IQ-ს მქონე მარტოხელა პირებისათვის „სასიყვარულო კრუიზების“ მოწყობას, დაბალი IQ-ს მქონე ახალგაზრდა ქალების დაყაბულებას სტერილიზაციაზე სხვადასხვაგვარი წახალისების სანაცვლოდ (სოციალური დახმარებები, ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და სხვ.).

პასიური ევგენიკა თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერ საავადმყოფოში „მძვინვარებს“. მისი მსხვერპლი, ძირითადად, ქრომოსომული დარღვევების მქონე ემბრიონებია. მათ შორისაა ებრიონები 21-ე ზედმეტი ქრომოსომით, რომელიც დაუნის სინდრომს განაპირობებს. რომ არა პრენატალური დიაგნოსტიკა და ხელოვნური აბორტი, დაუნის სინდრომიანი ბავშვების რაოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა. ისინი ბედნიერად იგრძნობდნენ თავს, სიყვარულსა და სითბოს გამოავლენდნენ მშობლებისა და ახლობლების მიმართ, მიანიჭებდნენ მათ დიდ სიხარულს...

მოდით, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ იმაზე, თუ რამდენად გამართლებულია ხელოვნური აბორტი მორალური თვალსაზრისით, თუნდაც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში? ირღვევა თუ არა ამით ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობის ფუნდამენტური უფლება?

ამ საკმაოდ რთულ სადისკუსიო თემაზე მტყუან-მართლის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია.



# სახლების მოშინაურება

ავტორი: ანიკა მექანიკური - თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

**შინ ვარ**

ველოსიპედის ტარება მამაჩემმა მასწავლა, ცურვაც. უთენია გამაღვიძებდა, ჭრელ კაბას გადამაცვამდა, თმასაც თვითონ ჩამომვარცხნიდა და მივდიოდით. თავიდან იმის ველოსიპედზე ვიჯექი, ზურგზე მივეკრობოდი, ხელებს მაგრად შემოვხვევდი და არაფრის მეშინოდა. დაღმართზე რომ დავეშვებოდით, მუხლებში ქარი გამივლიდა და ზღვის სურნელი მეცემოდა. ერთი სული მქონდა მამაჩემის ზურგზე დავწოლილიყავი და წყალში ისე შემეცურა, მარტო იმის მხრებისთვის მეყურებინა და არ მეფიქრა, რომ ზღვა შეიძლება ოდესმე დამთავრებულიყო. წვიმა მიყვარდა, შევიდოდი მუხლამდე თბილ ზღვაში და ვიდექი. მამაჩემი შორიდან მიყურებდა. მერე ქვებზე ზურგით გავწვებოდით და ვუცქერდით, ნაავდრალ ცაზე როგორ ირეოდნენ ჩიტები.

პატარა ჯადოსნური ყუთი ჰქონდა მამაჩემს, ხმებს ვიწერდით: ადრე გაზაფხულზე ბავშვები რომ წყალში შეცვივდებოდნენ, იმათ სიცილს, აღელვებული ზღვიდან რომ გემების სირენის ხმა ისმოდა, შემოდგომის ნისლი რომ ჩამოწვებოდა და ცეცხლს დავანთებდით – იმის ტკაცა-ტკუცს, დილით დედას საყვარელი ჩაიდანი რომ დაუსტვენდა და ჩვენ ჩვენთვის გვენატრებოდა მისი დასხმული ჩაი, ზაფხულის ქარი რომ გაებმებოდა ბაღში, მანდარინის ხეებს ფოთლებზე გადაევლებოდა, ააშრიალებდა. ბევრს არ ვლაპარაკობდით მე და მამაჩემი, შევუწვებოდი ლოგინში გაყინული ფეხებით და მეკავა იმის ხელი ჩაძინებამდე. მზიან ამინდში წყალზე თვალდახუჭულ ტივტივს გავდა ასე ძილი.

ხანდახან, როცა დედა ძალიან მოგვენატრებოდა, გადმოიღებდა მამა სხვენიდან ჩემოდანს, ამოვყრიდით ჭრელაჭრულა კაბებს, დიდ სახელოებიან ჟაკეტებს და ყვებოდა მერე, რომ ეს კაბა გოგო-დედას ჩემს გაჩენამდე ეცვა, ის ჟაკეტი კი – ზამთრის უთოვლო, მანდარინისგემოიან საღამოებში ერთად რომ ისხდნენ ცეცხლთან. ამოვიღებდი სათითაოდ და ვყნოსავდი: კვამლის სუნი ჰქონდა ერთს, მეორეს – მარწყვის მურაბის, მესამეს – დილის ზღვის. ვხუჭავდი თვალებს და დედაჩემის სუნს ვიხსენებდი, იმის ხელებს – სიზმარაბებს რომ დაიყრიდა ზედ და ყლაპავდა მძიმედ, ოღონდ ცოტა ხნით ჩაძინებოდა, ოღონდ ტკივილები გამოერეკა ტანიდან.

ამ სახლში ყველა კედელს დედაჩემის თვალები აქვს, ფანჯარაზე ჩამწკრივებულ ქოთნის ყვავილებს რომ გავხედავ, ასე მგონია, მისი იავნანაც იციან.

შინ ვარ!

**წასვლა დაიწყო**

აიკიდებდნენ სახლებს ზურგზე და მიდიოდნენ, რჩებოდა უფარდო, თვალებდათხრილი ფანჯრები და ძაღლები, გზისკენ რომ იყურებოდნენ. მე და მამაჩემიც ვრჩებოდით ან სად უნდა წავსულიყავით?! მივეყრებოდით ცეცხლთან, გავხუხავდით პურს და ვაყოლებდით შემწვარ ვაშლს. თოვლი თუ მოვა-მეთქი, ვეკითხებოდი. მივადებდი მხარზე თავს და მოიყვანე თოვლი, თოვაში ზღვის დაღმართზე თვალდახუჭული დავეშვათ-მეთქი. აქ თოვლს რა უნდაო, – მეტყოდა, გადამისვამდა თმაზე ხელს და ვჩუმდებოდი. მერე სულ უფრო გახშირდა სროლა და მამაჩემმაც გზისკენ ყურება დაიწყო.

მძიმედ დააბიჯებდა იმ დილით, ჯერ დედას ჩემოდნიდან სათითაოდ ამოალაგა კაბები, იწვა მერე წელში მოხრილი, მარტო დარდი იყო. ამოვუკოცნე თვალები და ქარს გაყვეს-მეთქი შენი სევდა, მამაჩემო. შევხედე და დარდის ხე იყო, უფოთლო, შუა ზამთარში იდგა – სიმარტოვეში. წამოდგა, გაიმართა მერე, როგორც ხეებმა იციან დიდი ქარების შემდეგ. დედას ჟაკეტი მომახვია, იმის ჩემოდანი ხელში დამაჭერინა, თბილი, თბილი პური და მანდარინები ჩამიწყო შიგნით და ის ჩვენი ჯადოსნური ყუთიც. ვიდექით მერე სახლის წინ, სანამ მანქანა არ მოვიდა, სანამ ფანჯარასთან არ დამსვა, სანამ კიდევ რაღაც არ ჩააცურა ჩემოდანში. ვუყურებდი და არ მოდიოდა, ვუყურებდი და ხე იყო მამაჩემი – ჩვენს სახლზე ფესვებშემოხვეული.

ღამდებოდა რომ წამოვედით.

იდგა მამაჩემი და ხელს მიქნევდა.

ციოდა, ციოდა მაგრად.

**გზაში ვარ**

ამდენი აკიდებული სახლის სიმძიმეს ვეღარ გაუძლეს გზებმა, სულ სხვა მხარეს გადაიხარნენ და დავრჩით ასე – მიწა არ იყო, ზურგზე გვქონდა ჩვენი სახლები. დიდი, დიდი ზამთარი გადმოვიარეთ. დავადებდი თავს დედაჩემის ჩემოდანს და ეგ იყო ჩემი სახლი, ერთ ლუკმა პურს გადავყლაპავდი, მამაჩემის მოკრეფილ მანდარინზე ხელს გავითბობდი. ძლივს გამოვათრიეთ ტანები ამ ზამთრის მდინარიდან. მერე ოთხი კედელი ვიპოვეთ და დავრჩით. მე ხეების მხარე ავირჩიე. ვიჯექი და ვუსმენდი, მერე ჯადოსნურ ყუთს ჩავრთავდი და ვიწერდი იმათ შრიალს. დედაჩემის კაბები კედელზე ჩამოვკიდე, ქოთნის ყვავილიც გავიჩინე და დავდიოდი მამაჩემივით ზურგზე ხელებდაწყობილი. საღამოს ჩაიც რომ ავადუღე და შემოვაწყვე ჭიქაზე ხელები, მაშინ ვთქვი: მოვიშინაურე-მეთქი ეს კედლები, ეს სახლი.

ამის თქმა იყო და მოვიდნენ, ჩემი ხმით ალაპარაკებული კედლები მიაჩუმეს და აბა რანაირი შენი სახლიაო, მოხვიეს ხელი დედაჩემის კაბებს, გამოყარეს გარეთ და დამტოვეს ქარში. ამის მერე ათასი მაღალი და დაბალი შენობის კართან ვიდექი, ათას წვერიან და უწვერო კაცს მოვუყევი, რომ იმ კედლებმა დედაჩემის კაბების სუნი აიღო, ჩემი ხელები, ჩემი უსიზმრო ღამეები დაიმახსოვრა. ქვები იყვნენ, არც მისმენდნენ, აფრიალებდნენ ფურცლებს და აბა შენი სახელი სად წერიაო ან მამაშენისო,

ამ მიწაზე ერთი ქვა მაინც თუ დაგიდიათ მეორე ქვისთვისო. ჩამიდგებოდა წყალი თვალებში და გავიშვერდი ხელს – ამ ზღვის იქით არის მამაჩემი, იქ აჭმევს-მეთქი მიწას თავის სისხლს, საღამოს მდინარესთან ჩამოჯდება და სიზმრებს ატანს ჩემთან, მაგრამ იმ სიზმრებსაც მიწა ჭამს, იმ მდინარესაც, მამაჩემსაც ეგ შეჭამს-მეთქი.

მერე არც არაფერი.

მოვდივარ და სხვა ოთხ კედელს ვეძებ, მოვათბუნებ ამ სახლს, მტვრიან მხრებზე ხელს გადავუსვამ, იმის გასაღების ხელში მაგრად ჩაბღუჯვას ვისწავლი, ვეტყვი: მოდი, შენ ჩემი სახლი იყავი, მე შენი გოგო ვიქნები-მეთქი, მოვიჩვევ, მოვიშინაურებ და მოდიან ისევ. მოდიან და ვრჩები ისევ გარეთ. ქოთნის ყვავილით და დედაჩემის ჩემოდნით. ყველა მხრიდან ქარი უბერავს. როცა ცარიელი სიმარტოვეა, ამოვაძვრენ დედაჩემის კაბაში დარჩენილ სიზმარაბებს და ვიკეცავ მუხლებს. სიზმარია ჩემი სახლი, იმ სიზმარში კიდევ მამაჩემი ნავით შედის ზღვაში, მერე თევზით სავსე ბადეებით ბრუნდება და საღამოს დედას საყვარელი ყვავილებიანი ჩაიდნით ვადუღებთ წყალს.

სიზმრები აბებივით გაილევა ხოლმე, მე კიდევ სულ ვრჩები. მოედინება დაღლილობის და სიმარტოვის მდინარე ჩემს მხრებს შორის, ჩემს ხელებს შორის. მდინარეა ჩემი ტანი. სულ გზაში ვარ.

**ამ ქალაქში თოვლი მოდის**

ამ ქალაქში რომ ჩამოვედი, მანდარინები დამხვდა, ყველა ქუჩის კუთხეში ყიდდნენ. მივიდოდი, დავყნოსავდი, იქნებ მამაჩემის ხელების სუნი ჰქონდეს-მეთქი რომელიმეს. აქ ძალიან მაღლა ვცხოვრობ, ხეებს სულ ზემოდან ვუყურებ. შორს ტბაც ჩანს. უნდა მივიდე. გამოვაღებ ხოლმე ფანჯარას და ვზივარ შემოდგომის მზეზე თვალდახუჭული. ჩავრთავ მერე ჯადოსნურ ყუთს და ვიწერ – როგორი ხმა აქვს ჩემს ყვავილს, როცა იზრდება, როგორ თამაშობს სახლობანას პატარა გოგო კედლის იქით.

მამაჩემს გავდა ერთი ხე, გავუჩერდი ქუჩაში და ავუტირდი, მეშინია, მეშინია, დაიგრძელე ჩემამდე ხელები, მოდი-მეთქი. მოვწყვიტე მერე ორი ფოთოლი და წამოვიღე, ამის გარეშე თოვლის წარმოდგენას ვინ მაჩვენებს-მეთქი. დაიწყო თუარა, გამოვაღე ფანჯარა და აი, შემოდგომაგავლილი ფოთლები გავუშვი ჰაერში, თოვლის ნახვა ხომ დავიმსახურეთ-მეთქი.

ჩავრთე მერე ჯადოსნური ყუთი და ჩავწერე, როგორ შრიალებდა თოვლი. მამაჩემს უნდა მოვასმენინო, როგორ თოვდა ამ ქალაქში.

გამთენიისას მოვიდნენ, ხეები ჯერ ქვემოთ მოჭრეს, მერე ჩემი ჯერიც დადგა. ვინ იცის, რამდენი მოშინაურებული სახლი გამიფრთხეს, იდგნენ კედლები მოშორებით, ჩუმად, სანამ დედაჩემის კაბებს აცლიდნენ, იდგა ფანჯარა თვალებახელილი, სანამ ჩემი ჯადოსნური ყუთი მიწისკენ მიფრინავდა. და დავინახე, როგორ მოიხარა წელში მამაჩემი იქ, ჩვენს სახლში, და არც ჩამიხედავს, ისე ამოვაძვრინე ჩემოდნიდან წამოსვლისას მამას ჩადებული წყლის თოფი. ამოვიღე და თვალდახუჭულმა დავიწყე სროლა, ეს დედაჩემის კაბებისთვის, ეს იმ ხმებისთვის, მამასთვის რომ უნდა ჩამეტანა, ეს კიდევ მოშინაურებული სახლების გაფრთხობისთვის-მეთქი. გავახილე თვალები და იდგნენ სველები, ზღვის წყლით სველები – მე რომ ვცურავდი შებინდებისას, იმ ზღვის წყლით.

ავდექი და წამოვედი. ამ ტბამ უნდა მიშველოს, უნდა შევცურო და ჩემს ზღვაში ამოვყვინთო. სველი თმით მივიდე შინ, მამაჩემს მივეყუდო და ვუთხრა, რომ არც ერთმა სახლმა არ მიმიღო, ვერც ერთი ვერ მოვიშინაურე, ყველას ისეთი გასაღები უნდოდა, მე რომ ხელში ვერ დამეტია.

უნდა მივიდე და ვუთხრა: ჩამოვედი. შინ ვარ.

# სიმსუქნის პრევენცია ქართველ ბავშვებში

## პური ჩვენი არსობისა – აკრძალული პროდუქტი

ავტორი: ქეთი კვიტატიანი

„დედები თუ ბებიები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ რაც შეიძლება უკეთესად გამოკვებონ თავიანთი პატარები. ბავშვი წონაში რომ იმატებს და ლოყები აუღაჟღაჟდება, ყველას უხარია, ცუდია, რომ ეს ზოგჯერ ადამიანებს ჯანმრთელობის კრიტერიუმი ჰგონიათ. ჭარბწონიანობა დღეს მსოფლიო პრობლემად იქცა და მასთან ბრძოლა ბავშვობიდანვე უნდა დავიწყოთ!“ – ბავშვთა ენდოკრინოლოგი მარინა გორდელაძე.

ენდოკრინოლოგები სიმსუქნეს, რომელიც ლამის ეპიდემიად იქცა, ძირითადად არაჯანსაღ კვებას მიაწერენ. ისინი ურჩევენ მშობლებს ისადილონ ბავშვებთან ერთად და აჩვენონ მათ, როგორ გემრიელად მიირთმევენ ჯანსაღ საკვებს. „ნუ დააჯილდოებთ მათ კარგი საქციელის გამო ტკბილეულით და თუ შეამჩნევთ, რომ ბავშვმა დროის მცირე მონაკვეთში მკვეთრად მოიმატა, კანზე გაუჩნდა პიგმენტური ლაქები ან ნახეთქები, დაუყოვნებლივ მიმართეთ ენდოკრინოლოგს“ (მარინა გორდელაძე).

ტკბილეულთან ერთად ენდოკრინოლოგები მშობლებს „პუტკუნა“ ბავშვის რაციონიდან, რა თქმა უნდა, თეთრი პურ-ფუნთუშეულის ამოღებასაც ურჩევენ.

**თუმცა, რადგან პურში შემავალი ვიტამინების ჩანაცვლება შეუძლებელია, ამიტომ გაღვივებული ხორბლის, შავი, ჭვავის, ქატოს ან ხრაშუნა პურის მიღება ყოველდღე აუცილებელია როგორც ბავშვისათვის, ასევე მოზრდილი ადამიანისათვის.**

რა განსხვავებაა თეთრსა და შავ პურს შორის და რა უპირატესობა აქვს მათთან შედარებით ჭვავისა და ქატოსაგან დამზადებულ ცომეულს? ხორბლის პური ხომ ოდითგანვე ყველაზე ძვირფას და მნიშვნელოვან საკვებად ითვლებოდა?..

ხორბლისაგან დამზადებულ პურს საქართველოს მთიან რეგიონებში დღესასწაულებზე  აცხობდნენ. სვანეთში ქერისაგან, თუშ-ფშავ-ხევსურეთში კი ერბოში მოშუშული ხალისაგან გამომცხვარ პურს მიირთმევდნენ. პურს ყოველთვის დიასახლისი აცხობდა. ეს წოდება რძლებს ერთი წლის ვადით მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭებოდათ, თუ დედამთილი შეუძლოდ იყო. დიასახლისის კურთხევა ყველიერის ან აღდგომის წინა კვირაში ხდებოდა. ვარცლი (პურის მოსაზელი ხის გობი) ამ დროს სავსე უნდა ყოფილიყო ხორბლით და კერიასთან მდგარიყო, საერთოდაც აქ ინახებოდა, დედაბოძის უკან, ოღონდ მარცხნივ, „საქალებო“




მხარეს. ის წმინდა ჭურჭლად ითვლებოდა და ოჯახის გაყრის შემთხვევაში დიასახლისს თან მიჰქონდა. ვარცლისა და პურის გობის დამზადების უფლება ყველას არ ჰქონდა, არსებობდა წოდება – მევარცლე. გაბზარული ან ჩამოვარდნილი ვარცლი დიასახლისის სიკვდილს მოასწავებდა. ტარდებოდა სპეციალური რიტუალები, რომ ამ საოჯახო ნივთს თვალი არ სცემოდა. ქართული სიტყვა „მეგობარი", გობში მოთავსებული საკვების (მეცნიერების აზრით, პურის) გამზიარებელს გულისხმობდა.

**XIX საუკუნის დასაწყისშიც კი, საქართველოს ბაზრებში პური არ იყიდებოდა. ის ყველა ოჯახში ცხვებოდა ან თუ ვერ ცხვებოდა, საჩუქრად მოჰქონდათ მეზობლებს. ამ „ღვთიური საკვების" დამზადებას აუცილებელი სავალდებულო რიტუალები ახლდა თან: პირველი რამდენიმე პური სახლში რჩებოდა, ხოლო ბოლოს გამომცხვარი გაიცემოდა.**

„პური, ბევრი სხვა საკვებისაგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა ტაბუდადებული. მისი მოყვანა და მოვლა ყველგან მუდამ კეთილშობილურ საქმედ ითვლებოდა... რომში ძვ. წ. 168 წელს მეპურეთა პირველი კავშირი (გილდია) შეიქმნა, რომლის წესების თანახმადაც, მეპურის შვილი აუცილებლად მეპურე უნდა გამხდარიყო, თუნდაც სხვაგან გადასულიყო საცხოვრებლად. მეპურეები თავისუფალი ადამიანები იყვნენ და პატივისცემით სარგებლობდნენ... განსაკუთრებული პურის გამოსაცხობად ისინი ხორბლის ფქვილს აბრეშუმის ნაჭერში ცრიდნენ" (რ. გორგილაძე, „კერძთაყვანისცემა").

თანამედროვე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ პურის მეშვეობით ადამიანი იღებს ნახშირწყლებს (40-

52%), ცილებს (5-9%), მინერალურ ნივთიერებებს (კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, ფოსფორს, რკინას) და ვიტამინებს. განსაკუთრებით მდიდარია პური B ჯგუფის ვიტამინებით, რომლებიც ნერვული სისტემის რეგულატორების როლს ასრულებს და უზრუნველყოფს სტრესისაგან დაცვას. გარდა ამისა, ხორბლის პურში შემავალი ცილები დიდი რაოდენობით შეიცავს გლუტამინის მჟავას (სწორედ გლუტამინის მჟავა განსაზღვრავს პურისა და სხვა სურსათის მიმზიდველ გემოს; იგი გემოს გამაძლიერებელი გავრცელებული საკვებდანამატია), რომელიც აუცილებელია ნერვული სისტემის გამართული მუშაობისათვის, სწავლის უნარისა და მეხსიერებისათვის.

**მაგრამ პრობლემა თურმე „უმაღლესი ხარისხის ფქვილშია“ – რაც უფრო მაღალია თანამედროვე ფქვილის ხარისხი, მით უფრო მეტია მასში სახამებელი და ნაკლებია უჯრედანა. მაღალი ხარისხის ფქვილისაგან გამომცხვარი პური, რა თქმა უნდა, უფრო ნოყიერია, მაგრამ უფრო დაბალი ბიოლოგიური ღირებულება აქვს, რადგან თითქმის არ შეიცავს ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს, რადგან ხორბალი ვერ იტანს წვრილად დაფქვას, ამ დროს თითქმის ნადგურდება მასში შემავალი A, E, B, F ჯგუფის ვიტამინები. გარდა ამისა, ფქვილის გასათეთრებლად იყენებენ: ქლორის დიოქსიდს, ბენზოლის ზეჟანგსა და სხვა ქიმიურ ნაერთებს. ასეთივე მავნე თვისებები აქვს შავ პურსაც თუ ის „შეღებილია“.** ენდოკრინოლოგების რჩევით, „პუტკუნა“ ბავშვების კვების დროს სჯობს უხეშად დაღერღილი მარცვლისაგან გამომცხვარ რუხ პურს მივანიჭოთ უპირატესობა. ჭვავის პური ბევრად მეტ მაგნიუმს, რკინასა და კალიუმს შეიცავს, ვიდრე ხორბლის, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და წმენდს ორგანიზმს შლაკებისაგან, თუმცა მისი ყოველდღიური მიღება რეკომენდებული არ არის. არც ქატოს პურის სისტემატური და ხანგრძლივი მიღებაა სასურველი, თუმცა ის ძალიან სასარგებლოა, განსაკუთრებით – ალერგიული ადამიანებისათვის, რადგან „შთანთქავს“ ტოქსინებსა და ალერგენებს, აძლიერებს იმუნიტეტს.

**ქართველი ბავშვების სიმსუქნის პრობლემა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორითაა განპირობებული, ისინი არასაკმარისად იღებენ ბოსტნეულს.**

ქართული კვების რაციონში თითქმის არ შედის, მაგალითად: სალათის ფოთოლი, ბროკოლი, იშვიათად ვიყენებთ ყვავილოვან კომბოსტოს... აღმოჩნდა, რომ წვნიანებსაც კი ქართველი ბავშვები არასწორი ფორმით მიირთმევენ. „ჩვენთან მიღებულია წვნიანში დიდი რაოდენობით პურის ჩალბობა, ზოგჯერ იმდენის, რომ წვნიანი თავის სახეს კარგავს და მის მიღებას აზრი არ აქვს. მშობლებმა უნდა მიაჩვიონ ბავშვები, რომ პური სუპებს მიაყოლონ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი პურის გარეშე ვერ ახერხებს მის ჭამას, რადგან სუპებში ისედაც არის რაიმე ბურღული და კართოფილი, რასთანაც პურის მიყოლება არ არის რეკომენდებული. მინდა მშობლებს ვურჩიო, რომ ბავშვის საკვებად სუპებსა თუ ფაფაში გამოიყენონ მუქი ფერის ბრინჯი. თეთრი პროდუქტი, შაქრიდან დაწყებული ბრინჯითა და ფქვილით დამთავრებული, არ არის სასარგებლო. თეთრი ფქვილის ნაწარმს „დანაწევრებული კვების“ ავტორი ჰერბერტ შელტონი „თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე დიდ წყევლას“ უწოდებს“ (ენდოკრინოლოგი თამარ არხოზაშვილი).

# ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲘ

## ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – **ვერბალური და მათემატიკური** – ნაწილისაგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეული დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

**არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე). ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.**

**ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.**
დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

**თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.**

ჩანაწერების ან ნახაზებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

**გისურვებთ წარმატებას!**

## I. ვერბალური ნაწილი

### ანალოგიები

*ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება. სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია, ასევე, მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.*

**1. წყალი : ზღვა**
(ა) ვარსკვლავი : ცა
(ბ) ქვიშა : უდაბნო
(გ) ყვავილი : მინდორი
(დ) ფოთოლი : ტყე

**2. რიკულებიანი : ქონგურებიანი**
(ა) მღვრიე : გაზავებული
(ბ) ტენიანი : წვიმიანი
(გ) გამჭვირვალე : გამჭოლი
(დ) უჯრედებიანი : ცალხაზიანი

**3. რეკლამა : ინტერესი**
(ა) აცრა : იმუნიტეტი
(ბ) მატიანე : ისტორია
(გ) ამოცანა : მინიშნება
(დ) ქარაგმა : საიდუმლო

**4. მარშრუტი : წინასწარ დასახული გზა**
(ა) მანევრი : სტრატეგია
(ბ) ტრაექტორია : მოძრაობა
(გ) გეზი : მიმართულება
(დ) ორიენტირი : ტენდენცია

**5. ბურჯი : ქვაკუთხედი**
(ა) ციხე : კოშკი
(ბ) გუმბათი : სახურავი
(გ) ჯებირი : მოაჯირი
(დ) ფუძე : საძირკველი

### წინადადებების შევსება

*ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.*

*სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.*

**6. ნურავინ იტყვის, რომ სინამდვილე _____ . არამც და არამც! _____ ძლიერი პოეტი, რომ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბავში, უბრალო საგანში _____ .**
(ა) არ არის საინტერესო პოეტისთვის / იმით როდია / დაიწყებს შთაგონების წყაროს ძებნას
(ბ) არ არის საინტერესო პოეტისთვის / სწორედ იმითაა / საინტერესო მხარეს შეამჩნევს და ასახავს
(გ) ღირებულ მასალას გვაძლევს პოეზიისთვის / იმით როდია / ვერ შეძლებს შთაგონების წყაროს პოვნას
(დ) ღირებულ მასალას გვაძლევს პოეზიისთვის / სწორედ იმითაა / ეძებს საინტერესო მხარეებს

**7. ქვეყნის _____ არ გვაძლევს საფუძველს ფიქრისთვის, რომ, რაკი ქვეყანა _____ , აკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება. _____ , მას, როგორც მოქალაქეს, _____ , ვიდრე ჰქონდა მანამდე, სანამ _____ ქვეყნის მოქალაქე გახდებოდა.**

(ა) დაპყრობა / თავისუფლებას კარგავს, ადამიანს აღარ აქვს უფლება / მართლაც / მოქმედებისთვის უფრო ფართო ასპარეზი ეძლევა / დაპყრობილი

(ბ) გათავისუფლება / თავისუფალია, ადამიანს აქვს უფლება / პირიქით / კიდევ უფრო მეტი საპასუხისმგებლო მოვალეობა უჩნდება / დამოუკიდებელი და თავისუფალი

(გ) გათავისუფლება / თავისუფალია, ადამიანს აღარ ეძლევა უფლება / მართლაც / კიდევ უფრო მეტი საპასუხისმგებლო მოვალეობა უჩნდება / დაპყრობილი

(დ) დაპყრობა / თავისუფლებას კარგავს, ადამიანს ეძლევა უფლება / პირიქით / მოქმედებისთვის ნაკლებად ფართო ასპარეზი რჩება / დამოუკიდებელი და თავისუფალი

**8. ძალაუფლების ცენტრალიზაციის _____ ამტკიცებენ, რომ მთავრობა _____ განაგებს სხვადასხვა ტიპის დასახლებულ ადგილებს, _____ მათი მკვიდრნი თავად შეძლებდნენ ამას. ეს შეიძლება მართალიც იყოს, თუკი _____ განათლებითა და აქტიურობით გამოირჩევიან, ხოლო _____ უსწავლელი, ინერტული, მორჩილებას ჩვეულია.**

(ა) მომხრეები / უკეთ / ვიდრე / ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები / მოსახლეობა

(ბ) მოწინააღმდეგენი / ისე კარგად ვერ / როგორც / ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები / მოსახლეობა

(გ) მომხრეები / ისევე კარგად / როგორც / დასახლებათა მკვიდრნი / ცენტრალური ხელისუფლების თანამშრომელთა უმრავლესობა

(დ) მოწინააღმდეგენი / უკეთ / ვიდრე / დასახლებათა მკვიდრნი / ცენტრალური ხელისუფლების თანამშრომელთა უმრავლესობა

**9. _____ , ადამიანები დაარწმუნო, რომ _____ – მათ _____ უფრო იოლად დააინტერესებთ, ვიდრე _____ .**

(ა) არ არის ძნელი / საკუთარი საქმე თავად აკეთონ / პოლიტიკური დაპირებებით / თავიანთივე სახლის შეკეთებით

(ბ) არ არის ძნელი / მათ გასაკეთებელს ახალი და კარგი მთავრობა გააკეთებს / თავიანთი საქმის თავად გაკეთების პერსპექტივით / პოლიტიკური დაპირებებით

(გ) ერთობ რთული ამოცანაა / საკუთარი საქმე თავად აკეთონ / სამეფო კარის ეტიკეტის წვრილმანებით / თავიანთივე სახლის შეკეთებით

(დ) ერთობ რთული ამოცანაა / მათ გასაკეთებელს ახალი და კარგი ხელისუფლება გააკეთებს / სამეფო კარის ეტიკეტის წვრილმანებით / თავიანთი საქმის თავად გაკეთების პერსპექტივით

## ლოგიკა

*ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.*

*ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.*

**10. მოცემულია:**
- **ყველა სათავგადასავლო რომანი საინტერესოა.**
- **ამ ავტორის ყველა რომანი სათავგადასავლო ჟანრისაა.**

**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს მოცემული დებულებებიდან?**

(ა) ყველა საინტერესო რომანი სათავგადასავლო ჟანრისაა
(ბ) ყველა საინტერესო რომანი ამ ავტორისაა
(გ) მხოლოდ სათავგადასავლო რომანებია საინტერესო
(დ) ამ ავტორის ყველა რომანი საინტერესოა

**11. ანა, მარი, სოფო და ნინო მრგვალი მაგიდის ირგვლივ სხედან. მწვანეკაბიანი, რომელიც არც ანაა და არც – მარი, ცისფერკაბიანსა და ნინოს შორის ზის.**
**თეთრკაბიანი კი ზის ვარდისფერკაბიანსა და მარის შორის.**
**ქვემოთ მოცემულია გოგონების კაბების ფერების ორი შესაძლო განაწილება:**
**1. ანა – ვარდისფერი, მარი – თეთრი, სოფო – მწვანე, ნინო – ცისფერი**
**2. ანა – თეთრი, მარი – ცისფერი, სოფო – მწვანე, ნინო – ვარდისფერი**
**რომელი მათგანია შესაძლებელი ამოცანის პირობების თანახმად?**

(ა) პირველი
(ბ) მეორე
(გ) არც ერთი
(დ) შეუძლებელია დადგენა

**12. მოცემულია სამი წინადადება:**
**I. არც ერთ ნიანგს არ შეუძლია ფრენა.**
**II. ყველა ნიანგი ზარმაცია.**
**III. არც ერთ ზარმაც ცხოველს არ შეუძლია ფრენა.**
**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება აღწერს სწორად ამ წინადადებებს შორის მიმართებას?**

(ა) I და II წინადადებებიდან გამომდინარეობს III
(ბ) I და III წინადადებებიდან გამომდინარეობს II
(გ) II და III წინადადებებიდან გამომდინარეობს I
(დ) ამ სამი წინადადებიდან არც ერთი არ გამომდინარეობს დანარჩენი ორიდან

**13. ევოლუციური ბიოლოგიის ზოგიერთი მკვლევარი სპილოს განსაკუთრებით დიდი ყურების ჩამოყალიბებას ხსნის იმით, რომ *დიდი ყურები სპილოს სხეულის ტემპერატურის რეგულირებაში ეხმარება* – ყურების მოძრაობის შედეგად მათში სისხლი გრილდება, რაც სხეულის ტემპერატურის შემცირებასაც იწვევს.**
**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტის დადასტურება *განამტკიცებდა* ამ ვარაუდს?**

(ა) სპილოს აფრიკული და აზიური სახეობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან სხეულისა და ყურების ზომით, თუმცა, ყურებისა და სხეულის ზომის თანაფარდობა ორივე სახეობაში ერთნაირია.
(ბ) სპილოს აფრიკული სახეობა გაცილებით უფრო სოციალურია და უფრო აქტიურად იყენებს კომუნიკაციისთვის ბგერით სიგნალებს, ვიდრე აზიური სახეობა, რომელსაც უფრო პატარა ყურები და ნაკლებად განვითარებული სმენის აპარატი აქვს.
(გ) სპილოს აფრიკული და აზიური სახეობები დაახლოებით ერთნაირ კლიმატურ პირობებში არსებობენ, თუმცა, ისინი მრავალი გარეგნული ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგალითად, ბეწვის სიხშირით, ეშვებისა და ყურების ზომით და სხვა.
(დ) სპილოს აფრიკული სახეობის საარსებო გარემო უფრო ცხელი კლიმატით ხასიათდება, ვიდრე აზიური სახეობისა, რომელსაც, მრავალ სხვა ნიშანთან ერთად, ბევრად უფრო მცირე ზომის ყურებიც განასხვავებს აფრიკელი „თანამოძმისგან“.

**14. მოცემულია წინადადებათა წყვილები:**
**I. თბილისში არც ერთი სანაყინე არ არის „ცისარტყელაზე“ უკეთესი.**
**„ცისარტყელაზე“ უკეთესი სანაყინე არ არსებობს.**
**II. არ შეიძლება მანქანის დაძვრა, როდესაც შუქნიშანზე წითელი ანთია.**
**თუ შუქნიშანზე წითელი არ ანთია, შეიძლება მანქანის დაძვრა.**
**III. ყოველთვის სცადე, არ გაანაწყენო სხვა ადამიანები.**
**ყოველთვის სცადე, ასიამოვნო სხვა ადამიანებს.**
**IV. არ არის მართალი, რომ გუშინ არ იწვიმა.**
**ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ გუშინ არ იწვიმა.**
**რომელი წყვილი შედგება ერთი და იმავე შინაარსის მქონე წინადადებებისგან?**

(ა) I
(ბ) II
(გ) III
(დ) IV

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

არქაიკის* ეპოქაში ბერძენთა განფენამ მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზში, მრავალრიცხოვანი კოლონიების დაარსებამ ბიძგი მისცა ელინთა მიერ აღმოსავლური კულტურული ტრადიციების აქტიურად ათვისებას. აღმოსავლური, პირველ რიგში კი ეგვიპტური სკულპტურის გავლენით, თანდათან იწყებს ჩამოყალიბებას საკუთრივ ელინური ქანდაკება. საბერძნეთში პოპულარული ხდება როგორც სკულპტურული ბარელიეფები, ასევე, ე. წ. მრგვალი ქანდაკებები. ამ პერიოდის ხელოვნების ძეგლებში გამოსახულ ადამიანებს სახეზე ღიმილი აღბეჭდვიათ, არქაული ღიმილი, რომელსაც შეუმცდარად შეუძლია გვიკარნახოს, თუ რომელი ეპოქის ნაწარმოებია ჩვენ თვალწინ.

არქაიკის ეპოქის ქანდაკებისთვის ყველაზე ნიშანდობლივი გახდა ჭაბუკთა ანუ **კუროსების** და ქალწულთა ანუ **კორეების** მთლიანი ქანდაკებების შექმნა. არქაული** ქანდაკების ორივე ტიპისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი ფრონტალურობა – არქაული ფიგურა აბსოლუტურად უმოქმედოა და გამოსახულია ანფასში. ქანდაკების ცენტრალურ არეში წარმოსახვითი ღერძი რომ გავავლოთ, იგი ფიგურას ორ სიმეტრიულ ნაწილად გაყოფს. სხეულის ფორმები ანატომიური თვალსაზრისით სწორად არის აგებული, მაგრამ ხაზების ერთგვარი კუთხოვანება, სხეულის ნაწილების, აგრეთვე, ვარცხნილობის „გაქვავებულობა“ მოქანდაკეს ჯერ კიდევ არ აძლევს საშუალებას, „სული შთაბეროს თავის ქმნილებას“. შესაძლოა, ამ მიზნის მისაღწევად უძრავ სხეულში მას შემოაქვს ერთი არსებითი შტრიხი – ღიმილი, რომელიც არის ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების პლასტიკაში ადამიანის გამოსახულების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტიპური ნიშანი. ამგვარი პირობითი ღიმილი ქანდაკებას თითქოს სიცოცხლეს ანიჭებს. არქაიკის ეპოქის ქანდაკების ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ მომღიმარი „კორე ბროწეულით“. აქ ჯერ კიდევ დიდია აღმოსავლური სქემების გავლენა, მაგრამ შეინიშნება გამოსახულების სიმეტრიული უძრაობის დარღვევის ცდებიც – კორეს ოდნავ მოხრილ ხელში უჭირავს ბროწეული. ძვ. წ. VI საუკუნიდან სკულპტორი უკვე ცდილობს, გამოსახოს მოძრაობა, რაც თანდათან ათავისუფლებს მას ფრონტალურობის დაცვისგან და გამოქანდაკებულ სხეულს ნაკლებად შებოჭილს ხდის. გვიან არქაულ პერიოდში მოქანდაკე უკვე სავსებით ბუნებრივ ფორმებს ანიჭებს ადამიანის ფიგურას. ძვ. წ. 500 წლისთვის კორეთა სახიდან ნელ-ნელა ქრება ღიმილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ არქაული სტილი თანდათან ადგილს უთმობს კლასიკურს. კუნძულ ეგინაზე აფაიას ტაძრის ფრონტონებს*** ამკობს

სკულპტურული კომპოზიციები, რომლებიც გადმოსცემს ტროას ომის ეპიზოდებს. ორი ძველი ფრონტონი დაახლოებით ძვ. წ. 510 წლით თარიღდება, ხოლო მესამე, რომლითაც ძველი აღმოსავლეთ ფრონტონი შეუცვლიათ, დაახლოებით ოცი წლით უფრო გვიანდელია. დასავლეთის ფრონტონზე გამოსახული ქალღმერთ ათენას მშვიდი, ფრონტალური ფიგურა კონტრასტს ქმნის ბრძოლის შედარებით დინამიკურ სცენებთან. ახალ, აღმოსავლეთის ფრონტონზეც ტროას ბრძოლებია გამოკვეთილი, ცენტრში კვლავ ათენა ჩანს. თითქოს ოცი წელი, რომელიც აფაიას ტაძრის ქანდაკებათა აღმოსავლეთის ჯგუფს აშორებს დასავლეთის ფრონტონის სკულპტურებისგან, არ არის დიდი დრო, მაგრამ განსხვავება მათ შორის სტილსა და ტექნიკაში მნიშვნელოვანია. აღმოსავლეთის ფრონტონის სკულპტურებში მეტი თავისუფლება და დინამიზმია, სხეულთა მოდელირება გვიჩვენებს ადამიანის გამოქანდაკების ახალ კონცეფციას, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი გახდება კლასიკური ეპოქის მონუმენტური სკულპტურისათვის. არქაული ღიმილი ოდნავღა თუ გაიკიაფებს ზოგიერთი ფიგურის ბაგეზე.

*არქაიკა – ბერძნული ცივილიზაციის განვითარების პერიოდი – ძვ. წ. VII-VI საუკუნეები.
**არქაული – აქ: იგულისხმება – არქაიკის ეპოქის.
***ფრონტონი – შენობის ფასადის ზედა, ჩვეულებრივ, სამკუთხა ნაწილი.

**15. რამ შეუწყო ხელი არქაიკის პერიოდის ბერძნული ქანდაკების ფორმირებას?**

(ა) სკულპტურული ბარელიეფების პოპულარობამ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში
(ბ) აღმოსავლური კულტურული ტრადიციების ინტენსიურად ათვისებამ
(გ) ეგვიპტური ე. წ. მრგვალი ქანდაკებების გავრცელებამ საბერძნეთში
(დ) ხმელთაშუა ზღვის აუზში მრავალრიცხოვანი ბერძნული კოლონიების არსებობამ

**16. რის საილუსტრაციოდ არის შემოთავაზებული ტექსტში ქანდაკების ცენტრალურ არეში წარმოსახვითი ღერძის გავლება?**
**რათა თვალსაჩინო გახდეს, რომ:**

(ა) აბსოლუტურად უმოქმედო არქაული ფიგურის სხეულის ფორმების სიმეტრია დარღვეულია
(ბ) არქაულ ფიგურას ახასიათებს ხაზების ერთგვარი კუთხოვანება და სხეულის ნაწილების, მაგალითად, ვარცხნილობის „გაქვავებულობა“
(გ) არქაული ქანდაკება, ძირითადად, წარმოდგენილია ანფასში, არ გამოსახავს მოძრაობას, სტატიკურია
(დ) ფრონტალური ფიგურების გამოსახვა საშუალებას აძლევს არქაიკის პერიოდის მოქანდაკეს, შექმნას დინამიკური კომპოზიციები

**17. არქაული პერიოდის ხელოვნების ძეგლებში გამოსახულ ადამიანებს სახეზე ღიმილი აღბეჭდვიათ, რადგან:**

(ა) ეს არის არსებითი შტრიხი კუროსებისა თუ კორეების მკაცრი ფრონტალურობის ხაზგასასმელად
(ბ) ეს არის ტიპური ნიშანი, რომელმაც უნდა შეუმცდარად გვიკარნახოს ამა თუ იმ ქანდაკების შექმნის დრო
(გ) მოქანდაკე, სავარაუდოდ, ცდილობს, ამ შტრიხით „სული შთაბეროს თავის ქმნილებას“
(დ) მოქანდაკე ცდილობს, გამოიყენოს ამ პერიოდის პლასტიკურ ხელოვნებაში დამკვიდრებული ერთგვარი პირობითი გამომსახველობითი საშუალებები

**18. რა ფუნქცია აქვს ტექსტში ეპიზოდს – „კორე ბროწეულით“?**
(ა) გამოკვეთს ტენდენციას, გათავისუფლდეს მოქანდაკე სიმეტრიული უძრაობის დაცვისგან და გამოსახოს ფიგურა ანატომიური სიზუსტით
(ბ) გამოკვეთს ტენდენციას, შეინარჩუნოს მოქანდაკემ აღმოსავლური სქემების ერთგულება და დაიცვას ფიგურის ტრადიციული ფრონტალურობა
(გ) გამოკვეთს ორ მნიშვნელოვან ფაქტორს: ძველი აღმოსავლური სქემების რადიკალურად შეცვლის მცდელობას და კორეს სახიდან ღიმილის გაქრობას
(დ) გამოკვეთს ორ მნიშვნელოვან ფაქტორს: ტრადიციული სქემების გავლენას არქაული ქანდაკების გამოკვეთისას და ახალ ნიშანს – მოხრილი ხელი „აცოცხლებს“ კორეს

**19. აფაიას ტაძრის ფრონტონებზე გამოსახულია ტროას ომის ეპიზოდები. დასავლეთის ფრონტონზე გამოსახულია ბრძოლაში დაცემული მეომარი, რომელიც იღიმება, აღმოსავლეთის ფრონტონზეც არის გამოსახული ბრძოლაში დაცემული მეომარი, მაგრამ ის არ იღიმება. მისი დაძაბული სხეული ტკივილს, განცდას გამოხატავს. რით შეიძლება ავხსნათ ეს განსხვავება?**
(ა) დასავლეთის ფრონტონზე გამოსახული მეომარი ბრძოლაში დაეცა, თუმცა ის ძლიერ მეტოქეზე იმარჯვებს და იღიმება, აღმოსავლეთის მეომარი კი – დამარცხებულია
(ბ) დასავლეთის ფრონტონზე გამოსახული დაცემული მეომრის ღიმილი ამ ეპოქისთვის ნიშანდობლივი შტრიხია, აღმოსავლეთის მეომარი კი უკვე გარდამავალ ეპოქას ეკუთვნის
(გ) დასავლეთის ფრონტონზე გამოსახული დაცემული მეომარი ბრძოლაში მარცხდება და ეს სიმწრის სიცილია, აღმოსავლეთის მეომარი კი ვერ მალავს ტკივილს
(დ) დასავლეთის ფრონტონზე გამოსახული დაცემული მეომრის ღიმილი უჩვეულო დეტალია არქაიკისათვის, აღმოსავლეთის ფრონტონის მეომარი კი ზუსტად მიგვანიშნებს კლასიკური სკულპტურის პრინციპებზე

**20. რაზე მიგვანიშნებს ტექსტის ბოლო ფრაზა: „არქაული ღიმილი ოდნავღა თუ გაიკიაფებს ზოგიერთი ფიგურის ბაგეზე“?**
(ა) ბრძოლის ეპიზოდების გადმოცემისას მოქანდაკე აღარ გამოსახავს მომღიმარ მეომრებს, რადგან უპირატესობას ანიჭებს ქანდაკების შინაარსის შესაბამისი ემოციის გამოსახვას
(ბ) სხეულთა მოდელირება გვიჩვენებს ადამიანის გამოქანდაკების ახალ კონცეფციას, რაც გულისხმობს ფრონტალურობის შენარჩუნებას
(გ) არქაულ ეპოქაში ჩამოყალიბებული ხელოვნების სტილი და ტექნიკა კიდევ უფრო იხვეწება კლასიკური ეპოქის მონუმენტურ სკულპტურაში
(დ) არქაული ეპოქა ადგილს უთმობს კლასიკურს, ხელოვნებაში ადამიანის სტატიკურ გამოსახულებას ცვლის – ბუნებრივი, პლასტიკური

## ანალოგიები

*ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.*

*სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია, ასევე, მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.*

**21. აკრობატი : წონასწორობას იცავს**

(ა) არლეკინი : ნიღაბს იკეთებს
(ბ) კომედიანტი : პოლიტიკოსს დასცინის
(გ) ჯამბაზი : არენაზე გამოდის
(დ) ილუზიონისტი : შთაბეჭდილებას ქმნის

**22. აპათია : ინტერესი**

(ა) სასოწარკვეთა : იმედი
(ბ) შიში : რისკი
(გ) წარმატება : სიხარული
(დ) ეიფორია : დისკომფორტი

**23. სინჯარა : კოლბა**

(ა) გემი : კაიუტა
(ბ) აკვანი : ჰამაკი
(გ) ანბანი : ბგერა
(დ) თარიღი : რიცხვი

**24. საფუძველი : ფუნდამენტი**

(ა) ფენა : შრე
(ბ) დედამიწა : ქანები
(გ) კვალი : ნაფეხური
(დ) ხმელეთი : მიწა

**25. ჯაჭვი : ჯაჭვური რეაქცია**

(ა) თაღი : თაღოვანი გადახურვა
(ბ) კენჭი : კენჭოვანი დაავადება
(გ) ვერტიკალი : ვერტიკალური ღერძი
(დ) საზღვარი : ზღვრული სიჩქარე

## წინადადებების შევსება

*ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.*

*სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.*

**26. როდესაც დაპყრობილი ხალხი _____ , დამპყრობი კი _ _____ , გამარჯვება _____ იმას, რომ ადრე თუ გვიან იგი _____ და _____ მიიჩნევს.**

(ა) განათლებულია / ნახევრად ველური / ბარბაროსისთვის უზრუნველყოფს / ცივილიზებულის დონეზე ამაღლდება / დაპყრობილ ხალხს თავის ტოლ-სწორად
(ბ) ნახევრად ველურია / განათლებული / დამპყრობლისათვის სულაც არ გულისხმობს / დაპყრობილი ხალხის განვითარების დონეს მიაღწევს / მას თავის ტოლ-სწორად
(გ) განათლებულია / ნახევრად ველური / ბარბაროსისთვის უზრუნველყოფს / დაპყრობილი ხალხის განვითარების დონეს დასწევს / მას თავისზე უფრო მაღლა მდგომად
(დ) ნახევრად ველურია / განათლებული / დამპყრობლისათვის სულაც არ გულისხმობს / ცივილიზებულის დონეზე ამაღლდება / დაპყრობილ ხალხს თავისზე უფრო მაღლა მდგომად

**27. _____ იქნებოდა, ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში არსებული თანასწორობა პოლიტიკის _____ გავრცელებულიყო. _____ , მრავალი თვალსაზრისით _____ დარჩენილიყვნენ და _____ მიეღწიათ ყველა სფეროში თანასწორობისათვის.**

(ა) გაუგებარი / სფეროშიც რომ არ / წარმოუდგენელია / თანასწორი ადამიანები ერთ რომელიმე სფეროში რომ არათანასწორნი / ადრე თუ გვიან არ
(ბ) გასაკვირი / სფეროშიც რომ / უფრო იოლი წარმოსადგენია / თანასწორობის მიუხედავად, ადამიანები პოლიტიკაში არათანასწორნი / ოდესმე მაინც
(გ) გასაკვირი სულ არ / სფეროშიც რომ / უფრო წარმოუდგენელია / უთანასწორობის მიუხედავად, ადამიანები უთანასწორონი პოლიტიკაში მაინც არ / ოდესმე მაინც
(დ) გაუგებარი სულ არ / სფეროში რომ არ / იოლი წარმოსადგენია / უთანასწორობას შეჩვეული ადამიანები პოლიტიკაშიც არათანასწორნი / ადრე თუ გვიან მაინც

**28. ზოგჯერ უცხოური დახმარების შედეგად წარმოქმნილი კავშირი იღებს _____ ურთიერთდამოკიდებულების სახეს, რომელშიც _____ სახელმწიფოზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ბერკეტები მოეპოვება. ეს ბერკეტები კიდევ უფრო _____ , როცა დონორი სახელმწიფო ავტორიტარული ან ტოტალიტარულია.**

(ა) სიმეტრიული / თითოეულ სახელმწიფოს მეორე / არაეფექტურია
(ბ) ასიმეტრიული / თითოეულ სახელმწიფოს მეორე / ეფექტურია
(გ) ასიმეტრიული / დონორ სახელმწიფოს დახმარების მიმღებ / ძლიერია
(დ) სიმეტრიული / დონორ სახელმწიფოს დახმარების მიმღებ / ძლიერია

**29. პლატონი სოკრატეს მიაწერდა პოეზიის შესახებ შემდეგ აზრს: ის, რაც პოეტებს ლექსების წერის უნარს აძლევს, არის _____ ინსტინქტი ან შთაგონება, _____ , რასაც წინასწარმეტყველებსა თუ მისნებთან ვხვდებით – _____ ხომ თავიანთ სათქმელს ისე გვამცნობენ, რომ _____ ესმით მისი მნიშვნელობა.**

(ა) არა სიბრძნე, არამედ თავისებური / რაღაც იმის მსგავსი / ეს უკანასკნელნი / ოდნავადაც არ
(ბ) თავისებური სიბრძნე, და არა – / რაღაც იმის მსგავსი / მათგან განსხვავებით, პოეტები / ოდნავადაც არ
(გ) არა სიბრძნე, არამედ თავისებური / ძალიან განსხვავებული იმისგან / მათგან განსხვავებით, პოეტები / ძალიან კარგად
(დ) თავისებური სიბრძნე, და არა – / ძალიან განსხვავებული იმისგან / ეს უკანასკნელნი / ძალიან კარგად

## ლოგიკა

*ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.*

*ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.*

**30. საქართველოში ნაძვის ხეების დაზიანებისა და გახმობის პროცესმა საკმაოდ დიდი მასშტაბები მიიღო. სპეციალისტების ერთი ჯგუფის აზრით, ამის ძირითად მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ლაფნიჭამია ხოჭოს გავრცელება, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილ კედრის მორებს შემოჰყვა. თუმცა, ზოგიერთი ეკოლოგი ვარაუდობს, რომ *ნაძვების ინტენსიური დაზიანება განპირობებულია ხოჭოების ბუნებრივი მტრების მკვეთრი შემცირებით.***

**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი *განამტკიცებს* ამ ვარაუდს?**

(ა) უცხოეთიდან შემოყვანილმა ციყვის ერთ-ერთმა სახეობამ განდევნა ადგილობრივი ჯიშის ციყვები, რომლებიც, პირველისგან განსხვავებით, არ ემტერებოდნენ კოდალებს და სხვა ფრინველებს

(ბ) უცხოეთიდან მრავლად შემოიტანეს სხვადასხვა ჯიშის ხის მორები, რომლებსაც, ლაფნიჭამიას გარდა, ხის მავნებელი მწერების სხვა სახეობებიც შემოჰყვა

(გ) ნაძვნარის ინტენსიური დაზიანების პერიოდს დაემთხვა სხვა რეგიონებიდან როგორც ლაფნიჭამიას, ისევე კალიების შემოჭრა, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მცენარეულ საფარს

(დ) ხის მავნებლების გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა ე. წ. მონოკულტურის, ანუ ერთი სახეობის ხეებისგან შემდგარი ტყეების გაშენება, ნაძვნარი სწორედ მონოკულტურული ტყის კატეგორიას მიეკუთვნება

**31. ქვემოთ მოცემულ მსჯელობაში დაშვებულია შეცდომა ლოგიკის თვალსაზრისით:**

***არც ერთი კეთილი ადამიანი არ არის ეგოისტი და ყველა ეგოისტი ადამიანი უბედურია, მაშასადამე, არც ერთი კეთილი ადამიანი არ არის უბედური.***

**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა შეიცავს იმავე ტიპის შეცდომას?**

(ა) არც ერთი ციური სხეული არ მოძრაობს სინათლის სიჩქარით და ზოგიერთი ციური სხეულის ორბიტა ელიფსურია, მაშასადამე, სინათლის სიჩქარით მოძრავი არც ერთი სხეულის ორბიტა არ არის ელიფსური.

(ბ) არც ერთი რეპტილია არ არის თბილსისხლიანი და ყველა რეპტილია ხერხემლიანია, მაშასადამე, ზოგიერთი თბილსისხლიანი ცხოველი არ არის ხერხემლიანი.

(გ) ზოგიერთ ბალახს სამკურნალო თვისებები აქვს და ტრადიციული მედიცინა სამკურნალო თვისებების მქონე ყველა ბალახს იყენებს, მაშასადამე, ტრადიციული მედიცინა არ იყენებს არც ერთ ბალახს, რომელსაც სამკურნალო თვისებები არ აქვს.

(დ) არც ერთი კარგი მეცნიერული თეორია არ არის აბსოლუტურად უტყუარი და ყველა აბსოლუტურად უტყუარი თეორია ტრივიალურია, მაშასადამე, არც ერთი კარგი მეცნიერული თეორია არ არის ტრივიალური.

**32. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კერძო სექტორში დასაქმებული სპეციალისტის შემოსავალი საშუალოდ 50%-ით აღემატება იმავე კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის შემოსავალს საჯარო სამსახურში. ამის მიუხედავად, საჯარო სამსახურში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ნაკლებობა არ არის. ამის საფუძველზე ექსპერტმა ივარაუდა, *რომ საჯარო მოხელეების მუშაობის ძირითადი მოტივი არ არის ფინანსური დაინტერესება.***

**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება *განამტკიცებს* ამ ვარაუდს?**

(ა) კერძო სექტორში დასაქმებული სპეციალისტებისთვის თანამდებობრივი დაწინაურების და, შესაბამისად, ანაზღაურების გაზრდის ალბათობა უფრო მცირეა, ვიდრე – საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის

(ბ) საჯარო სამსახურში სპეციალისტების კვალიფიკაციის მიმართ არ არის იმდენად მაღალი მოთხოვნები, როგორიც – კერძო სექტორში

(გ) კერძო სექტორში დასაქმებული სპეციალისტების სამუშაო, საზოგადოდ, უფრო სტრესულია, ვიდრე საჯარო სამსახურში დასაქმებულ სპეციალისტთა სამუშაო

(დ) საჯარო მოსამსახურეები დამატებითი შეღავათებით სარგებლობენ, რაც შედარებით დაბალი ხელფასების ერთგვარი კომპენსაციაა

**33. დაბადების დღეზე სალომეს მეგობარმა ლამაზად შეფუთული კოლოფით საჩუქარი მიუტანა და სთხოვა, გამოეცნო, თუ რა იდო მასში. სალომემ იცის, რომ საჩუქარი ორიდან ერთ-ერთია – ხელთათმანების წყვილი ან ქუდი; ამასთან, საჩუქარი ან ლურჯია ან ყვითელი.**
**კოლოფს აწერია ორი წინადადება:**
**• ეს ხელთათმანებია.**
**• ეს ყვითელი ნივთია.**
**დამატებით, მეგობარმა სალომეს მიაწოდა შემდეგი ცნობა: თუ საჩუქარი ლურჯი ხელთათმანები ან ყვითელი ქუდია, მაშინ ყველაფერი, რაც კოლოფს აწერია, მართალია.**
**წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყველაფერი, რაც მას აწერია, ტყუილია.**
**რა აჩუქა მეგობარმა სალომეს?**
(ა) ლურჯი ხელთათმანები
(ბ) ყვითელი ხელთათმანები
(გ) ლურჯი ქუდი
(დ) ყვითელი ქუდი

**34. მოცემულია:**
**• თუ ჩინეთი გაზრდის კომპიუტერული ტექნიკის ექსპორტს, მაშინ ტაივანის ან კორეის ეკონომიკა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.**
**• ტაივანის ეკონომიკას საფრთხე არ ემუქრება. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა აუცილებლად ჭეშმარიტი, თუ დავუშვებთ,**
**რომ მოცემული წანამძღვრები ჭეშმარიტია?**
(ა) ჩინეთი აღარ გაზრდის კომპიუტერული ტექნიკის ექსპორტს
(ბ) კორეის ეკონომიკა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება
(გ) ჩინეთი კომპიუტერული ტექნიკის ექსპორტს აღარ გაზრდის ან კორეის ეკონომიკა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება
(დ) თუ კორეის ეკონომიკა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ჩინეთს კომპიუტერული ტექნიკის ექსპორტი გაუზრდია

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

„გაქვავებულობა“ ციურ სხეულთა ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და შთამბეჭდავი ნაირსახეობაა კომეტები. ძველად მათ „კუდიან ვარსკვლავებს“ უწოდებდნენ და ხან მოსალოდნელი უბედურების, ხანაც სიკეთის მაუწყებლად მიიჩნევდნენ. გრძელი მნათი კუდის მქონე ციური სხეულები ზოგჯერ გამოჩნდებიან ხოლმე ცაზე და შემდეგ ისევ გაუჩინარდებიან. კომეტები, ასტეროიდების მსგავსად, ერთგვარი კოსმოსური ნარჩენებია. ასტეროიდები იმ ობიექტების ნარჩენებია, რომლებიც პლანეტებად ვერ ჩამოყალიბდნენ. ზოგიერთი კომეტაც შეიძლება ჩამოყალიბდეს ასტეროიდად, თუ ის დაკარგავს ყინულის გარსს და მისგან მხოლოდ მყარი ბირთვი დარჩება.

მზისგან მოშორებით კომეტები ვიზუალურად არ განირჩევიან ასტეროიდებისგან. მაგრამ ზოგჯერ, როდესაც ისინი გიგანტი პლანეტების თუ მახლობელი ვარსკვლავების გრავიტაციული შეშფოთების გამო მიმართულებას იცვლიან და მზეს უახლოვდებიან, მათი ზედაპირი ხურდება, მასში ჩაყინული მსუბუქი აირები ორთქლდება და მყარი ბირთვის გარშემო ქმნის ღრუბელს – ე. წ. კომას (რაც ბერძნულად თმას ნიშნავს – აქედანაა სახელწოდება „კომეტა“). მზის გამოსხივების წნევა და მზის ქარი – მისგან მომდინარე დამუხტული ნაწილაკების ნაკადი – მოქმედებენ ამ აირზე, ასე ვთქვათ, „უბერავენ“ „თმას“ და წარმოიქმნება ე. წ. კუდი,

რომელიც, ჩვეულებრივ, მზისგან საწინააღმდეგო მხარესაა მიმართული.

კომეტები, როგორც წესი, მოძრაობენ მეტად გაწელილ ორბიტებზე, რომელთა გარშემო ერთ ბრუნს სხვადასხვა (რამდენიმე წლიდან რამდენიმე მილიონ წლამდე) დროს ანდომებენ. ერთ-ერთი კომეტა, რომელიც დედამიწიდან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და რომელსაც ჰალეის კომეტა ეწოდა, ყოველ 75-76 წელიწადში ერთხელ გამოჩნდება ცაზე. ზოგიერთი კომეტა თავის არსებობას მზესთან ან პლანეტებთან შეჯახებით ამთავრებს. ასე მოხდა 1994 წელს, როდესაც იუპიტერს შუმეიკერ-ლევის კომეტა დაეცა. ეს იყო პირველი შემთხვევა კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ადამიანმა თავისი თვალით იხილა ორი ციური სხეულის შეჯახება კოსმოსში. ის, რაც დღეს ესოდენ იშვიათია, დაახლოებით 4 მილიარდი წლის წინ, მზის სისტემის ჩამოყალიბების დროს, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შემდგომ პლანეტები თანდათანობით ჩამოყალიბდნენ და მდგომარეობა სტაბილური გახდა. ახლა შეჯახებები, საბედნიეროდ, უაღრესად იშვიათად ხდება. დედამიწაზე ასეთი რამ უკანასკნელად 1908 წელს მოხდა, როდესაც ციმბირში „ტუნგუსკის მეტეორიტი" ჩამოვარდა (უფრო სწორად, ჰაერშივე აფეთქდა) და 2 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობზე მთელი ტყე მიწასთან გაასწორა. ითვლება, რომ ეს იყო მცირე ზომის კომეტა ან მისი ნატეხი.

1986 წელს ჰალეის კომეტის მტვრის ნაწილაკების ანალიზმა აჩვენა, რომ ის იყო ორგანული ნაერთებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სხეული მზის სისტემაში. ამიტომაც გაჩნდა მოსაზრება, რომ დედამიწასთან შეჯახებისას კომეტებმა წყალი და ორგანული ნივთიერებები – ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი ნაწილი – მზის სისტემის განაპირა რეგიონებიდან შემოიტანეს. რადგან კომეტები ყინულის, ჩაყინული აირისა და მყარი ნაწილისგან შედგება, დედამიწაზე მათი დაცემისას და ყინულის დნობისას გამოთავისუფლებულმა წყალმა და აირებმა ხელი შეუწყო სიცოცხლის წარმოშობას ჩვენს პლანეტაზე. მთვარის ზედაპირიც დასერილია კომეტებისგან მიყენებული „ჭრილობებით". ასტრონომები დიდი ხანია, ვარაუდობდნენ იქ წყლის არსებობას, რაც აშშ-ს კოსმოსური სივრცის კვლევის სააგენტოს ერთ-ერთმა მისიამ მართლაც დაადასტურა.

კომეტების მიერ სიცოცხლის შემოტანის თეორიას ყველა მეცნიერი არ იზიარებს. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ კომეტები ვერ „მოზიდავდნენ" იმ რაოდენობის წყალს, რამდენიც დედამიწაზეა. მომავალი კვლევები გვიჩვენებს, უნდა ვუმადლოდეთ თუ არა ჩვენს არსებობას იმ ციურ სხეულებს, რომელთა გამოჩენისაც ადამიანს მრავალი საუკუნის განმავლობაში პანიკურად ეშინოდა.

**35. კომეტებისა და ასტეროიდების შედარებიდან ირკვევა, რომ:**

(ა) ასტეროიდები, კომეტებისგან განსხვავებით, მზეს, როგორც წესი, არ უახლოვდებიან და მათზე არ მოქმედებს მახლობელი ვარსკვლავების მიზიდულობის ძალა

(ბ) ასტეროიდები და კომეტები გარეგნულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ კომეტები კოსმოსური ნარჩენებია, ხოლო ასტეროიდები – არშემდგარი პლანეტები

(გ) ასტეროიდებს და კომეტებს განსხვავებული სტრუქტურა აქვთ, თუმცა, გარეგნულად შეიძლება ერთნაირად გამოიყურებოდნენ და მსგავსი წარმოშობისაც იყვნენ

(დ) ასტეროიდებს, კომეტებისგან განსხვავებით, მყარი ბირთვი აქვთ, მაშინ როდესაც კომეტები მზესთან მიახლოებისას ორთქლდებიან და ღრუბლად იქცევიან

**36. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი *არ არის მართებული?***
**იუპიტერთან შუმეიკერ-ლევის კომეტის შეჯახების შემთხვევა მოყვანილია:**

(ა) იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი შეიძლება იყოს კომეტის სიცოცხლის დასასრული

(ბ) როგორც მაგალითი იმისა, რამდენად იშვიათად ხდება კომეტის შეჯახება პლანეტებთან მას შემდეგ, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჩვენი მზის სისტემა

(გ) იმის საჩვენებლად, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა პლანეტების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებზე

(დ) იმ როლის ხაზგასასმელად, რომელსაც კომეტები და ასტეროიდები ასრულებდნენ მზის სისტემის ფორმირებისას

**37. ტექსტში რამდენიმე სიტყვა ბრჭყალებშია ჩასმული:**
**I – „უბერავენ“ , II – „თმა“ , III – „ჭრილობები“ , IV – „ტუნგუსკის მეტეორიტი“ , V – „მოზიდავდნენ“ .**
**ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია სწორად მითითებული, თუ რატომაა თითოეული მათგანი ჩასმული ბრჭყალებში?**

(ა) II და III სიტყვები გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული, ხოლო I, IV და V კომეტებთან დაკავშირებული პროცესის ხატოვან აღწერას ემსახურება
(ბ) I, III და V სიტყვების მეშვეობით დახასიათებულია კოსმოსში მიმდინარე პროცესები, ხოლო II და IV – კომეტის აღსანიშნავადაა გამოყენებული
(გ) I, II, III და V სიტყვები უჩვეულო კონტექსტში – უსულო ობიექტების მიმართაა გამოყენებული, ხოლო IV – ერთ-ერთი კომეტის სახელია
(დ) IV – იმ ადგილის სახელია, სადაც კომეტა ჩამოვარდა, ხოლო ყველა დანარჩენი სიტყვა კომეტების სპეციფიკური ნიშნების აღსაწერადაა გამოყენებული

**38. რა მიმართებაა ბოლო ორ აბზაცს შორის?**

(ა) IV აბზაცში ხაზგასმულია კომეტების როლი პლანეტებზე სიცოცხლის წარმოშობაში, ხოლო V აბზაცში ამ საკითხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების დადასტურების იმედია გამოთქმული
(ბ) IV აბზაცში წარმოჩენილია კომეტების სტრუქტურის ის თავისებურებები, რომლებიც გარკვეულ ჰიპოთეზას დაედო საფუძვლად, V აბზაცში კი ამ ჰიპოთეზის მიმართ გამოთქმულ ეჭვთან ერთად საკითხი ღიად არის დატოვებული
(გ) IV და V აბზაცებში არსებითად ერთსა და იმავე პრობლემაზეა საუბარი, თუმცა, პირველში ეს საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი, ხოლო მეორეში – უარყოფითად
(დ) ორივე აბზაცში კომეტებისა და პლანეტების ურთიერთკავშირზეა საუბარი, თუმცა, IV აბზაცში ამ კავშირის არსებობა ახსნილია კომეტების სტრუქტურული თავისებურებებით, V-ში კი – მხოლოდ თეორიული მოსაზრებების მოშველიებით

**39. რა მიზანს ემსახურება IV აბზაცში მოყვანილი მთვარის ეპიზოდი?**

(ა) იმ ვარაუდის უარყოფას, რომ კომეტებს შეეძლოთ დადამიწაზე სიცოცხლის შემოტანა
(ბ) იმ ვარაუდის გამყარებას, რომ კომეტებს შეეძლოთ დადამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობის შექმნა
(გ) იმის ჩვენებას, თუ რამდენად უფრო ხშირად სტუმრობდნენ კომეტები მთვარეს, დედამიწისგან განსხვავებით
(დ) კვლევის იმ მეთოდების ჩვენებას, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია პლანეტებზე სიცოცხლის წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა

**40. ტექსტის დანიშნულებაა:**

(ა) გაგვაცნოს ერთ-ერთი ტიპის ციურ სხეულთა ბუნება და მის შესახებ არსებული ვარაუდები
(ბ) წარმოაჩინოს კოსმოსური სხეულების განსხვავებული არსი და მათი ურთიერთქმედების შესაძლო შედეგები
(გ) ციური სხეულების ერთ-ერთი უიშვიათესი წარმომადგენლის მაგალითზე დაგვანახოს, რა პროცესები უძღოდა წინ მზის სისტემის ჩამოყალიბებას
(დ) დაგვანახოს ერთ-ერთი კოსმოსური სხეულის შესაძლო როლი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობაში

# II. მათემატიკური ნაწილი

**ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:**

- ნახაზები, რომლებიც თან ერთვის ზოგიერთ დავალებას, არ არის შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

**მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:**

**1. ნული** არც დადებითია და არც უარყოფითი;
1 არ არის მარტივი რიცხვი.

**2. პროცენტი:** $a$ რიცხვის $k\%$ არის $a \cdot \frac{k}{100}$.

**3. ხარისხი:** $a^n = a \cdot a \cdot a \cdot ... \cdot a$ ($n$-ჯერ)

$a^n \cdot a^m = a^{n+m}$

$a^n : a^m = a^{n-m}$

$(a^n)^m = a^{n \cdot m}$

**4. პროპორცია:** თუ $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$, მაშინ $ad = bc$.

**5. სიჩქარე:** $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

**6. საშუალო არითმეტიკული:**

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$

**7.** ალბათობა: თუ ყველა ელემენტარული ხდომილობა თანაბრად მოსალოდნელია, მაშინ **ხდომილობის ალბათობა** ტოლია ამ ხდომილობის ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილობათა რაოდენობის შეფარდებისა ელემენტარულ ხდომილობათა საერთო რაოდენობასთან.

თუ ამოცანის პირობაში საწინააღმდეგო არაა ნათქვამი, **ყოველთვის იგულისხმება, რომ ელემენტარული ხდომილობები თანაბრად მოსალოდნელია.**

**8. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:**

$(a+b)^2 = a^2 + 2ab + b^2$

$(a-b)^2 = a^2 - 2ab + b^2$

$(a+b)(a-b) = a^2 - b^2$

**9.** ნახაზზე კუთხე შეიძლება მონიშნული იყოს კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით, მართი კუთხე კი – პატარა კვადრატით.
$\angle A$ აღნიშნავს $A$ კუთხის სიდიდეს.




**10. პარალელური წრფეები:**




ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია: $\alpha = \beta$.

**11. სამკუთხედი:**




- სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 180°-ის ტოლია;
- პითაგორას თეორემა: მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრატი კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის ტოლია: $AB^2 = AC^2 + BC^2$
- სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია: $S = \frac{ah}{2}$

**12. ოთხკუთხედი:**

- ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 360°-ის ტოლია;
- მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია: $S = ab$;
- პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $S = ah$.

**13. წრე, წრეწირი:**




- წრეწირის სიგრძე მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით: $L = 2\pi r$;
- $\pi$ რიცხვი, მეასედის სიზუსტით, 3,14-ის ტოლია;
- $r$ რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით: $S = \pi r^2$.

**14. მართკუთხა პარალელეპიპედი:**




- მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $V = abc$;
- კუბის შემთხვევაში: $a = b = c$.

## რაოდენობრივი შედარება

*შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.*

*თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);*

*თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);*

*თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);*

*თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).*

| | A | B | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **41.** | $\frac{2}{3}$ | $0,68$ | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | $n$ ნატურალური რიცხვია | | | | | |
| **42.** | $\frac{5}{n+2}$ | $\frac{6}{n+1}$ | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | კუბის ყველა წიბოს სიგრძეთა ჯამია 42 სმ. | | | | | |
| **43.** | კუბის ერთი წახნაგის პერიმეტრი | 14 სმ | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| **44.** | სამნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამი 25-ის ტოლია | 700 | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | ფუნთუშა 40 თეთრი ღირს. ხაჭაპური 80 თეთრით ძვირია ღვეზელზე. | | | | | |
| **45.** | 2 ხაჭაპურის და 2 ღვეზელის ღირებულება | 1 ხაჭაპურის, 3 ღვეზელისა და 2 ფუნთუშის ღირებულება | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | მართკუთხედის დიდი გვერდის სიგრძეა $a$, ხოლო დიაგონალისა – $d$. | | | | | |
| **46.** | $a$ | $d$ | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |

## ამოცანები

**47. 12 მილიონი მეტია 4 მილიონ 700 ათასზე:**

(ა) 6 მილიონ 700 ათასით
(ბ) 7 მილიონ 300 ათასით
(გ) 7 მილიონ 700 ათასით
(დ) 8 მილიონ 300 ათასით
(ე) 8 მილიონ 700 ათასით

**48. წრიულ დიაგრამაზე მოცემულია, ქალაქის მცხოვრებთა რამდენ პროცენტს არ აქვს განათლება და რამდენ პროცენტს აქვს დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო ზოგადი, საშუალო პროფესიული თუ უმაღლესი განათლება.**

**ქალაქის მცხოვრებთა რამდენ პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება?**




(ა) 22,5%
(ბ) 22,8%
(გ) 23,2%
(დ) 23,5%
(ე) 24,3%

**49. 6 წლის წინ ანა 28 წლის იყო. რამდენი წლის იყო ანა $x$ წლის წინ?**

(ა) $x - 34$ (ბ) $x - 22$ (გ) $34 - x$ (დ) $22 + x$ (ე) $22 - x$

**50. $ABCD$ მართკუთხედის $AD$ გვერდის სიგრძეა 12 სმ, ხოლო $AB$-სი – 8 სმ. $M$ წერტილი $BC$ გვერდის შუაწერტილია. რის ტოლია $AM$ მონაკვეთის სიგრძე?**

(ა) $8$-სმ (ბ) $9$-სმ (გ) $10$-სმ (დ) $11$-სმ (ე) $12$-სმ




**51. მაღაზიაში 1 კილოგრამი ვაშლი 5 ლარი ღირდა, გარგარი – 2-ჯერ ნაკლები ნინომ ამ მაღაზიაში ვაშლი და გარგარი იყიდა, რომელთა საერთო წონა 6 კილოგრამი იყო. ვაშლის წონა ნაყიდი ხილის წონის მესამედს შეადგენდა. სულ რამდენი ლარის ხილი უყიდია ნინოს?**

(ა) $12{,}5$ (ბ) $14$ (გ) $16{,}5$ (დ) $18$ (ე) $20$

## მონაცემთა ანალიზი

*ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ მენეჯერთა საკუთარი პროფესიული წარმატებით კმაყოფილების ხარისხის დადგენა. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მენეჯერები – სულ 150 რესპონდენტი. გამოკითხულთა ნახევარი ქალი იყო, ნახევარი – მამაკაცი.*

*პირველ დიაგრამაზე წარმოდგენილია სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ რესპონდენტთა განაწილება პროფესიული წარმატებით კმაყოფილების ხარისხის მიხედვით.*




*მეორე დიაგრამაზე კი წარმოდგენილია სხვადასხვა სქესის რესპონდენტთა განაწილება პროფესიული წარმატებით კმაყოფილების ხარისხის მიხედვით.*




*დიაგრამების მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 4 შეკითხვას:*

**52. რომელი სფეროა ისეთი, რომელშიც დასაქმებულ მენეჯერთაგან *არც ერთი* არაა *ძალიან კმაყოფილი* საკუთარი პროფესიული წარმატებით?**

(ა) განათლება (ბ) ჯანდაცვა (გ) ეკონომიკა (დ) სოფლის მეურნეობა (ე) არც ერთი

**53. რამდენით აღემატება მენეჯერთა რაოდენობა, რომლებიც საკუთარი პროფესიული წარმატებით ნაკლებად კმაყოფილნი არიან, იმ მენეჯერთა რაოდენობას, რომლებიც საკუთარი პროფესიული წარმატებით ძალიან უკმაყოფილონი არიან?**

(ა) 8-ით (ბ) 10-ით (გ) 12-ით (დ) 14-ით (ე) 16-ით

**54. კმაყოფილების რომელი ხარისხობრივი კატეგორიის შემთხვევაშია დასაქმებულ მენეჯერ ქალთა რაოდენობა 5-ით მეტი მენეჯერ მამაკაცთა რაოდენობაზე?**

(ა) ძალიან უკმაყოფილო
(ბ) ნაკლებად კმაყოფილი
(გ) კმაყოფილი
(დ) ძალიან კმაყოფილი
(ე) არც ერთი კატეგორიის შემთხვევაში

**55. გამოკითხულ მენეჯერ მამაკაცთაგან საკუთარი პროფესიული წარმატებით *ძალიან კმაყოფილნი* აღმოჩნდნენ სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული 6 მენეჯერი და ეკონომიკის სფეროში დასაქმებული 15 მენეჯერი. რის ტოლია განათლების სფეროში დასაქმებულ მენეჯერ მამაკაცთა რაოდენობა, რომლებიც საკუთარი პროფესიული წარმატებით *ძალიან კმაყოფილნი* არიან?**

(ა) 1 (ბ) 2 (გ) 3 (დ) 4 (ე) 5

## ამოცანები

**56. $c$=26·48·39·126·501. რომელი ციფრით ბოლოვდება $c$ რიცხვის ციფრული ჩანაწერი?**

(ა) 0 (ბ) 2 (გ) 4 (დ) 6 (ე) 8

**57. კვადრატის ფართობია 36 სმ$^2$. მისი თითოეული გვერდი დაყოფილია სამ ტოლ ნაწილად და დაყოფის წერტილები შეერთებულია მონაკვეთებით (იხ. ნახაზი). რის ტოლია მიღებული რვაკუთხედის ფართობი?**



(ა) 24 სმ$^2$ (ბ) 26 სმ$^2$ (გ) 28 სმ$^2$ (დ) 30 სმ$^2$ (ე) 32 სმ$^2$

**58. ტრაქტორით მიწის ნაკვეთის $\frac{5}{12}$ ნაწილის მოხვნას 2,5 საათი სჭირდება. რამდენი საათია საჭირო ამ ტრაქტორით იმავე ნაკვეთის $\frac{2}{3}$ ნაწილის მოსახნავად?**

(ა) 3 (ბ) 3,5 (გ) 4 (დ) 4,5 (ე) 5

**59. $m$, $n$ და $k$ ერთმანეთის მომდევნო ნატურალური რიცხვებია, ამასთან $m<n<k$. ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა მართებული?**

**I. $m+k$ ლუწია**
**II. $n+k$ კენტია**
**III. $n \cdot k$ ლუწია**

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ I და II
(დ) მხოლოდ II და III
(ე) I, II და III

**60. ორი ქალაქიდან ერთმანეთის შესახვედრად ორი ავტობუსი ერთდროულად გამოვიდა. ორივე ავტობუსი თანაბარი სიჩქარით, შეფერხებების გარეშე მოძრაობდა. პირველმა ავტობუსმა, რომლის სიჩქარე 70 კმ/სთ იყო, შეხვედრამდე 1,4-ჯერ მეტი მანძილი გაიარა, ვიდრე მეორემ. რის ტოლი იყო მეორე ავტობუსის სიჩქარე?**

(ა) 50 კმ/სთ (ბ) 60 კმ/სთ (გ) 65 კმ/სთ (დ) 80 კმ/სთ (ე) 98 კმ/სთ

## რაოდენობრივი შედარება

*შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.*

*თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);*

*თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);*

*თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);*

*თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).*

| | *A* | *B* | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | $m$ ნატურალური რიცხვია | | | | | |
| **61.** | $m$-ის 4-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი | $m$-ის 8-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | 6, 12, 7, ... მიმდევრობის წევრებს ნიკა და თამარი რიგრიგობით წერდნენ. პირველი წევრი ჩაწერა ნიკამ, მეორე – თამარმა და ასე შემდეგ. თამარის მიერ ჩაწერილი ყოველი წევრი მიმდევრობის წინა წევრზე 2-ჯერ მეტი იყო, ხოლო ნიკას მიერ ჩაწერილი – წინა წევრზე 5-ით ნაკლები. | | | | | |
| **62.** | მიმდევრობის მე-4 წევრი | მიმდევრობის მე-7 წევრი | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | წრის ცენტრი იმ მართკუთხედის ერთერთ წვეროს ემთხვევა, რომლის ერთი გვერდი წრის რადიუსის ტოლია, ხოლო მეორე – დიამეტრისა.  | | | | | |
| **63.** | წრის ფართობი | მართკუთხედის ფართობი | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | ბოსტნეულით სავსე 10 ერთნაირი ყუთის გადატანას 4 ურიკა დასჭირდა. თითოეული ურიკით 150 კილოგრამამდე ტვირთის გადატანაა შესაძლებელი. | | | | | |
| **64.** | გადატანილი ბოსტნეულის წონა | 400 კგ | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |
| | უჯრიდან, რომელშიც 3 თეთრი და რამდენიმე წითელი ბურთულაა, უნდა ამოიღონ ერთი ბურთულა. ალბათობა იმისა, რომ უჯრიდან ამოღებული ბურთულა წითელი იქნება, მეტია $\frac{2}{3}$-ზე. | | | | | |
| **65.** | წითელი ბურთულების რაოდენობა | 8 | (ა) | (ბ) | (გ) | (დ) |

## ამოცანები

**66. საკლები 9-ით მეტია მაკლებზე, ხოლო მაკლები 9-ით მეტია სხვაობაზე. რის ტოლია საკლები?**

(ა) 18-ის (ბ) 24-ის (გ) 27-ის (დ) 30-ის (ე) 36-ის




**67. სარბენ ბილიკს წესიერი ხუთკუთხედის ფორმა აქვს (იხ. ნახაზი). ბილიკის სიგრძე 250 მეტრია. სპორტსმენმა სირბილი დაიწყო $A$ წვეროდან ისრით მითითებული მიმართულებით. ბილიკის რომელ მონაკვეთზე აღმოჩნდება სპორტსმენი 680 მეტრის გარბენის შემდეგ?**

(ა) $AB$-ზე (ბ) $BC$-ზე (გ) $CD$-ზე (დ) $DE$-ზე (ე) $EA$-ზე

**68. იმ ნატურალური რიცხვებიდან, რომლებიც მეტია 22-ზე, მაგრამ ნაკლებია 84-ზე, რამდენია ისეთი, რომლის 5-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 3-ის ტოლი იქნება?**

(ა) 13 (ბ) 12 (გ) 11 (დ) 10 (ე) 9

**69. ნაკრძალში მხოლოდ ნაძვის და ფიჭვის ხეებია. ფიჭვის ხეების რაოდენობის შეფარდება ნაძვის ხეების რაოდენობასთან $\frac{2}{3}$-ის ტოლია. ნაკრძალში ხეების საერთო რაოდენობის რა ნაწილია ნაძვის ხეების რაოდენობა?**

(ა) $\frac{1}{3}$ (ბ) $\frac{3}{5}$ (გ) $\frac{3}{4}$ (დ) $\frac{5}{7}$ (ე) $\frac{5}{6}$

**70. $m$ და $n$ ისეთი რიცხვებია, რომ $2n + 1 < 2m + 1$. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიმართება არ შეიძლება იყოს მართებული?**

(ა) $m > n + 1$
(ბ) $n = \frac{m}{3}$
(გ) $n > m + 1$
(დ) $n = m - 1$
(ე) $m = 4n$

**71. პირველი მართკუთხედის სიგრძე 2-ჯერ მეტია მეორე მართკუთხედის სიგრძეზე, ხოლო ფართობი 6-ჯერ ნაკლებია მეორე მართკუთხედის ფართობზე. რამდენჯერ ნაკლებია პირველი მართკუთხედის სიგანე მეორე მართკუთხედის სიგანეზე?**

(ა) 12-ჯერ (ბ) 8-ჯერ (გ) 4-ჯერ (დ) 3-ჯერ (ე) 2-ჯერ

## მონაცემთა საკმარისობა

**72. ფაკულტეტზე სულ 600 სტუდენტი სწავლობს.**

**მოცემულია ორი პირობა:**

**I. სტუდენტთა $\frac{1}{15}$ ნაწილი უცხოელია.**

**II. უცხოელი სტუდენტების $\frac{1}{4}$ ნაწილი გოგონებია.**

**იმის გასარკვევად, თუ რამდენი უცხოელი სტუდენტი ვაჟი სწავლობს ფაკულტეტზე:**

(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

**73.** $ABCD$ **ოთხკუთხედია.**
**მოცემულია ორი პირობა:**
**I.** $\angle A + \angle B = 100^0$.
**II.** $\angle B + \angle C = 200^0$.
**იმის გასარკვევად, თუ რის ტოლია** $\angle A + \angle C$:




(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

**74.** $x$ **და** $y$ **რიცხვების ჯამი 8-ის ტოლია.**
**მოცემულია ორი პირობა:**
**I.** $x$**-ის შეფარდება** $y$**-თან 3-ის ტოლია.**
**II.** $x$**-ისა და** $y$**-ის სხვაობა 4-ის ტოლია.**
**იმის გასარკვევად, თუ რის ტოლია** $x + 2y$ **:**
(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

**75. ნინოს შვილებიდან ყველაზე უმცროსია ეკა, რომელიც 3 წლისაა, ყველაზე უფროსი კი - სანდრო. მათ გარდა ნინოს კიდევ ჰყავს 2 გოგონა და 1 ვაჟი, რომელთა საშუალო ასაკი 13 წელია.**
**მოცემულია შემდეგი ორი პირობა:**
**I. ვაჟებს შორის ასაკში განსხვავება 5 წელია.**
**II. ნინოს შვილების საშუალო ასაკი 12 წელია.**
**იმის გასარკვევად, თუ რამდენი წლისაა სანდრო:**
(ა) I პირობა საკმარისია, II კი - არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი - არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

## ამოცანები

**76. თორნიკეს გასული წლის განმავლობაში თავისი ხელფასის 6% ბანკში შეჰქონდა. წელს თორნიკეს ხელფასი 20%-ით გაეზარდა, რის გამოც მან ბანკში თავისი ხელფასის 9%-ის შეტანა დაიწყო. გასული წლის განმავლობაში ბანკში შეტანილი თანხის რამდენი პროცენტი იქნება თორნიკეს მიერ ამ წლის განმავლობაში შეტანილი თანხის რაოდენობა?**

(ა) 120% (ბ) 135% (გ) 150% (დ) 165% (ე) 180%-ის

**77. ნებისმიერი ნატურალური $x$ რიცხვისათვის $x^*$-ით აღნიშნულია რიცხვი, რომელიც მიიღება შემდეგი სქემის მიხედვით:**




**მაგალითად, სქემის მიხედვით $5^* = 5 \cdot 3 \cdot 2 - 4 = 26$.**
**რის ტოლია $9^* - 4^*$ ?**

(ა) 26 (ბ) 32 (გ) 35 (დ) 40 (ე) 45

**78. 4 მ სიღრმის მქონე კუბის ფორმის აუზის $\frac{1}{8}$ ნაწილი ავსებულია წყლით. რის ტოლია ასევე კუბის ფორმის მქონე უფრო მცირე აუზის სიღრმე, თუ დიდ აუზში არსებული წყლით მცირე აუზი ბოლომდე ივსება?**

(ა) $\frac{1}{2}$მ (ბ) 1მ (გ) $1\frac{1}{2}$მ (დ) 2მ (ე) $2\frac{1}{2}$მ

**79. $A$, $B$, $C$ და $D$ რიცხვთა ღერძის სხვადასხვა წერტილებია, ხოლო $a$, $b$, $c$ და $d$, შესაბამისად, მათი კოორდინატებია. $B$ წერტილი თანაბრადაა დაშორებული $A$ და $D$ წერტილებიდან, ხოლო $C$ წერტილი - $A$ და $B$ წერტილებიდან. რის ტოლია $\frac{c-d}{a-b}$ ?**

(ა) $\frac{1}{3}$ (ბ) $\frac{2}{3}$ (გ) $\frac{3}{4}$ (დ) $\frac{4}{3}$ (ე) $\frac{3}{2}$

**80. ანსამბლის წევრთა 15%-ს ბიჭები შეადგენდნენ. როცა ანსამბლს 12 ახალი წევრი დაემატა, ბიჭების რაოდენობა გაიზარდა, პროცენტული წილი კი შემცირდა. რამდენი გოგონა დაემატა ანსამბლს?**

(ა) 11 (ბ) 10 (გ) 9 (დ) 8 (ე) 7

# ზოგადი უნარების ტესტის პასუხების ფურცელი

## ვერბალური ნაწილი

| | ანალოგიები | | | | | წინადადებები | | | | ლოგიკა | | | | | ტექსტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | |
| ა | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ა |
| ბ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ბ |
| გ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | გ |
| დ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☒ | დ |

| | ანალოგიები | | | | | წინადადებები | | | | ლოგიკა | | | | | ტექსტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | |
| ა | ☐ | ☒ | ☐ | ☒ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ა |
| ბ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ბ |
| გ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☒ | ☒ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | გ |
| დ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დ |

## მათემატიკური ნაწილი

| | რაოდენობრივი შედარება | | | | | | ამოცანები | | | | | მონაცემთა ანალიზი | | | | ამოცანები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | |
| ა | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ა |
| ბ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ბ |
| გ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | გ |
| დ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დ |
| ე | | | | | | | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ე |

| | რაოდენობრივი შედარება | | | | | ამოცანები | | | | | | მონაცემთა საკმარისობა | | | | ამოცანები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 | 71 | 72 | 73 | 74 | 75 | 76 | 77 | 78 | 79 | 80 | |
| ა | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ა |
| ბ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ბ |
| გ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | გ |
| დ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☒ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☒ | ☐ | ☐ | დ |
| ე | | | | | | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ე |











ჟურნალის შეძენა შესაძლებელია „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში

**მთავარი რედაქტორი:**
გიორგი მაჭავარიანი

**გარეკანზე:**
მამუკა თავაქარაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურა

**ნომერზე მუშაობდნენ:**
თეიკო ანჯაფარიძე
ქეთი კვიტატიანი

**დაკაბადონება:**
ლევან მაჭავარიანი

**გამომცემლობა:**
„კოლორი“

ჟურნალი „Naec.ge“ VII ნომერი, ივნისი 2015.

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი
მისამართი: მინდელის N9.
ტელ: 2 47 33 33.
info@naec.ge
www.naec.ge

# IMEDI.FM

RADIO IMEDI

რადიო იმედი




WWW.NAEC.GE

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საინფორმაციო მხარდამჭერი

**ყოველ სამშაბათს**

**14 საათსა და 10 წუთზე**

წარმოგიდგენთ გადაცემას

**„გამოცდებიდან გამოცდებამდე“**

თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად



## „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“ აცხადებს ფოტოკონკურსს!

საკონკურსო ნამუშევრები გამოგზავნეთ ელ. ფოსტაზე: konkursi@naec.ge 2015 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით;

გამარჯვებული ავტორების ფოტონამუშევრები გამოქვეყნდება ცენტრის ჟურნალის, „Naec.ge“-ს სხვადასხვა ნომერში;

სახელის, გვარისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითების გარეშე ნამუშევრები არ მიიღება;

უპირატესობა მიენიჭება ავტორის მიერ გამოგზავნილ იმ ფოტოკოლაჟს, რომელსაც საერთო კონცეფცია და სათაური ექნება. იდეის სიცხადისათვის შეგიძლიათ ფოტოებს დაურთოთ ტექსტიც, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას.

გისურვებთ წარმატებას!

ISSN 2346-7509

მისამართი: მინდელის N9. | ტელ: 2 47 33 33. | info@naec.ge | www.naec.ge